დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 7 - 13 აპრილი

N 15 1586

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# სკინტლაურის ცეკვა რძენაკლულ საქართველოში




ქართულ პოლიტიკაში სკინტლის სუნი დიდი ხანია, დგას!

## 50-ანელები

ვინც კი მოიპარა ხალხის ანაბარი, სასჯელი ეკუთვნის ყველას თანაბარი!

5




## „ბაბვა-ნახევრეს!“

## ჩვენება, რომელმაც საქართველო შეძრა

## ჰალსტუხიანი ხვლიკი და უჰალსტუხო გველი




## ემზარ კვიციანი:

ქართველები, რომლებმაც კოდორის ხეობაში ჩამიტყუეს, იყვნენ — იგორ გიორგაძე, ტარიელ ონიანი და ბონდო შალიკიანი!

19






## ელიზბარ ჯაველიძე:

ბატონ იგორ გიორგაძეს მხოლოდ ერთს მოვუწოდებ — თუ კიდევ შეგრჩათ ის ქართველობა, როგორადაც მე გიცნობდით,

# დაასახელეთ ზვიადის მკვლელი!

# როდემდე

**რძისა და სკინტლის სკანდალმა საქართველოს ცუნამივით გადაუარა და მოსახლეობის ყველა ფენა აღაშფოთა, რადგან რძესა და რძის პროდუქტებს მოსახლეობის ყველა ფენაში მოიხმარენ!**




**საქართველოს მოსახლეობა ქოცი ბიზნესმენის მიერ ნაცი ბიზნესმენისაგან ნაყიდი სკინტლით ნაკვები ძროხების რძეს სვამდა!**




# სკინტლაურის ცეკვა რძენაკლულ საქართველოში



მთელი ამბავი კი ის არის, რომ **ბიზნესმენ ლაშა პაპაშვილის „ყვარლის ბაგაში“** ძროხებს **ბიზნესმენ რევაზ ვაშაკიძის კომპანია „ჩირინასაგან“** შეძენილი ქათმის სკინტლით კვებავდნენ.

არადა, საქართველოში ისევე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებში, საქონლის საკვებ დანამატად **ქათმის სკინტლის** გამოყენება კანონით არის აკრძალული.

თუმცა, ეს ხომ საქართველოა, სადაც ზოგჯერ და **ზოგიერთებისათვის კანონს სკინტლის ფასიც არა აქვს!**

როგორც გაირკვა, **ქათმის სკინტლით გამოკვებილი ძროხების ნაწველ რძეს** კომპანია **„ყვარლის ბაგისაგან“** რძის პროდუქტების მწარმოებელი ისეთი მსხვილი და ცნობილი კომპანიები ყიდულობდნენ, როგორებიც **„სანტე“** და **„სოფლის ნობათი“** არიან.

ის კი არა, სკინტლით **ნასუქი ძროხების რძის მუშტარი ცნობილი და პრესტიჟული ჰიპერმარკეტების ქსელი „აგროჰაბიც“ ყოფილა!**

ჰოდა, ატყდა ერთი ამბავი!

წალეკა საინფორმაციო სივრცე **სკინტლიანი რძის** ამბავმა!

სკინტლის სუნი გადმოიფრქვა ტელეეკრანებიდან და **სკინტლის სუნი** დადგა სოციალურ ქსელებში!

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამ **რძისა და სკინტლის ამბავშიც** პოლიტიკა, **ქოცობა** და **ნაცობა** ურევია.

ურევია კი არა, შეიძლება, **ქოცობა და ნაცობა სკინტლიანი რძის ამბის** თავიდათავიც კი იყოს, რადგან **აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის** მიერ დაფინანსებაგაუქმებული **„რადიო თავისუფლების“** თბილისის ფილიალი, რომელმაც **სკინტლიანი რძის** საქმეზე ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა, ხაზგასმით აღნიშნავს — **ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი,** რომელიც თავის ძროხებს ქათმის სკინტლით კვებავდა, **„ქართული ოცნების“** მხარდამჭერია, **ხოლო ბიზნესმენი რევაზ ვაშაკიძე,** რომლისგანაც პაპაშვილმა 2700 ტონამდე ქათმის სკინტლი შეიძინა, **„ქართულ ოცნებას“** აკრიტიკებს, საპროტესტო აქციებზეც დადის და მთავრობის გადადგომას ითხოვსო!

ესე იგი, გამოდის, რომ **სკინტლის გამყიდველი ბიზნესმენი ნაცია, ხოლო სკინტლის მყიდველი ბიზნესმენი — ქოცი.**

შესაბამისად, ასეთ სურათს ვიღებთ: **საქართველოს მოსახლეობა ქოცი ბიზნესმენის მიერ ნაცი ბიზნესმენისაგან ნაყიდი სკინტლით ნაკვები ძროხების რძეს სვამდა!**

**ნაცი ბიზნესმენი** ტონობით **სკინტლის** გაყიდვით ხეირობდა, ხოლო **ქოცი ბიზნესმენი — ნაცი ბიზნესმენისაგან** შეძენილი **სკინტლით** დანაყრებული ძროხების რძის გაყიდვით!

ერთადერთი, ვინც ამ ყველაფრით დაზარალდა, **საქართველოს მოსახლეობაა!** ამ მხრივ,

# მოგვწამლეს

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**სალომე ზურაბიშვილს** ისევ ოპოზიცია დაუპირისპირა **დიფ სთეითმა.** მას, როგორც **ვადაგასულ პროდუქტს,** ჩამოწერენ ქართული პოლიტიკიდან.

„იმედინიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაიდინა ღალატი,** მათი უგუნური პოლიტიკის შედეგად, **დავკარგეთ ტერიტორიები, დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა, ჩვენი გმირი ჯარისკაცები** და, რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან მძიმე. საქართველოში **ქვეყნის მტრებს, აგენტურას,** იმ ადამიანებს, **ვინც ებრძვის ქართულ სახელმწიფოებრიობას,** არანაირი პერსპექტივა არა აქვთ მომავალში და **ისინი პოლიტიკურ ველზე ყოველთვის დამარცხებულები იქნებიან.**

„იმედინიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ყველაფერს, რასაც ვამბობდით, **სიტყვასიტყვით იმეორებს ამერიკის ახალი ადმინისტრაცია** — მათგან ჩვენ მოველით სწორი დასკვნების გამოტანას, რაც **ავტომატურად მიგვიყვანს ურთიერთობების აღდგენამდე.**

„იმედინიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



**როდესაც ქვეყანა დამოუკიდებელია, მას ყველა ებრძვის.** რუმინეთში, პოლონეთში, საფრანგეთში რაღაც მოვლენები რომ ხდება, **ამის კრიტიკას ვერც ბედავენ** იმიტომ, რომ ეშინიათ, მაგრამ, როცა საქართველოში ხდება, **იმას პოლიტიკურ დევნას უწოდებენ.**

„მარშალპრესი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*



არცერთ ნორმალურ ქვეყანაში **არ იარსებებდა ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც საკუთარ ქვეყანას ებრძოდა** ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც და ოპოზიციაშიც.

„პირველი არხი“

# გაგ-რძე-ლდება?

**სკინტლიანი რძის ამბავი, როგორც ქოთისა და ნაცის ორმხრივი სარგებლისა და ცალმხრივად დაზარალებული მოსახლეობის**



*მეორე კვირაა, საქართველოში არნახული სკანდალი აგორდა — სარეალიზაციოდ გამოტანილ რძის პროდუქტებში კიბოს გამომწვევი* ***აფლატოქსინი*** *დაფიქსირდა და მოსახლეობა უდიდეს საგონებელში ჩააგდო —* ***ნუთუ უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ქათმის სკინტლით გამოკვებილი ძროხებისაგან მოწველილი რძით დამზადებულ ყველს, მაწონს, არაჟანსა და ნაყინს გვაჭმევდნენ?***

*ნებსით თუ უნებლიეთ, ჩრდილი მიადგათ რძის პროდუქტების პატიოსან მწარმოებლებს, რომელთა უმრავლესობამ მართლაც მოგვიანებით შეიტყო, რომ ავისმქმნელთა ბოროტ ბადეში გაეხვა. შესაძლოა, ყველა კომპანიის პროდუქტი არ იყო მოწამლული, მაგრამ როგორი საქმეა, საზოგადოებამ არკვიოს, ბოლო წლების მანძილზე „სანტეს“ არაჟანი მიირთვა, „სოფლის ნობათის“ ხაჭო თუ „აგროჰაბის“ ყველი? შხამიანმა მატარებელმა, რომ იტყვიან, ჩაიარა და ერთი აღშფოთებული თანამოსაუბრის ენით თუ ვიტყვით —* ***მოგვწამლეს ამ ოხრებმა!***

## ქართულ პოლიტიკაში სკინტლის სუნი ისედაც ძალიან დიდი ხანია, დგას!

**საგა, თანამედროვე ქართული პოლიტიკის მთელს რაობას გამოხატავს!**

მითუმეტეს, რომ ქართულ პოლიტიკაში **სკინტლის სუნი** ისედაც ძალიან დიდი ხანია, დგას!

ახლა კი მთლად **სკინტლაურის ცეკვა** ატყდა!

**სკინტლაურის ცეკვა რძენაკლულ საქართველოში!**

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში თბილისში სტუმრად ჩამოსულ რუს მწერალს **ვიქტორ ასტაფიევს** ქართველი კოლეგები **სკინტლიანი რძითა** და მისგან დამზადებული ყველით არ გამასპინძლებიან, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვანაირად აწყენინეს და მოსკოვში დაბრუნებულმა ქართველების მიწაში ჩამდები მოთხრობა **„ციმორის ჭერა საქართველოში“** დაწერა.

დღეს კი ვხედავთ **სკინტლაურის ცეკვას** საქართველოში!

**რძენაკლულ ქვეყანაში!**

და არავინ იცის, ეს როდემდე გაგ-**რძე**-ლდება!

***ჯაბა ხუბუა***



# ამ ოხრებმა!

**— როცა ლენინგრადის ბლოკადის დროს საჭმელი არ იყო, ადამიანები ვირთხებსაც კი ჭამდნენ!** — გაიხსენა ჩვენი რედაქციის თანამშრომლის 90 წელს მიღწეულმა ბაბუამ და ეშმაკური ღიმილით დაამატა: **ასეა ძროხაც — თუ ბალახს არ დაუყრი, მოშივდება და ღორივით ქაქსაც შეჭამს!**

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

**რადიო „თავისუფლების“** ინფორმაციით, 2018 წლის ზაფხულში საქართველოში ნედლი რძის მწარმოებელი უდიდესი ფირმის **„ყვარლის ბაგის“** მფლობელი შეუთანხმდა ქათმის ხორცის ყველაზე მსხვილ კომპანია **„ჩირინას“,** რათა მისგან ქათმის ნაკელი ეყიდა. ერთი წლის განმავლობაში **„ყვარლის ბაგამ“** მართლაც შეიძინა 2700 ტონა ნედლი, გადაუმუშავებელი ნაკელი, თუმცა, მოგვიანებით პარტნიორ კომპანიას წაუყენა პრეტენზია, რომ მისგან ნაყიდმა ნარჩენებმა, რომლებსაც, თურმე, ძროხებს აჭმევდნენ, საქონელი დახოცა, ხოლო ზარალმა 1,65 მილიონი ლარი შეადგინა. „ჩირინამ“ პრეტენზიები არ მიიღო, რადგან, მისი განმარტებით, ნაკელს სასუქად ყიდდა და არა ძროხების საკვებად! და აი, 2020 წელს **ლაშა პაპაშვილის „ყვარლის ბაგამ“ „ჩირინას“** სასამართლოში უჩივლა. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ **„ყვარლის ბაგა“** ნედლ რძეს აწვდიდა **„სანტეს“, „სოფლის ნობათს“, „რძის ლაბორატორიას“** და ჰიპერმარკეტების ქსელ **„აგროჰაბს“.**

კომპანიებმა, ცხადია, უარყვეს ის ფაქტი, რომ მათთან დაბინძურებული რძე შეიძლება მოხვედრილიყო და, თავის მხრივ, **„ყვარლის ბაგამაც“** განაცხადა, რომ მათი რძის ხარისხი აღემატება ბევრი დასავლური ქვეყნის რძის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ცნობილი გახდა ისიც, რომ 2015-2020 წლებში **შპს „ყვარლის ბაგას“** მართავდა ისრაელიდან მოწვეული ვეტერინარიის პროფესორი, რომლის გადაწყვეტილებით, ისრაელში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, 2018-2019 წლებში კვების რაციონს დაემატა **გადამუშავებული ქათმის ნარჩენი,** როგორც საკვები დანამატი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, *სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა 28 მარტს* ***შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველოში“*** *(ს/კ 204 546 553* ***„სოფლის ნობათი“)*** *სახელმწიფო კონტროლი განახორციელეს.*

***შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველოს“*** *დაევალა აზერბაიჯანში წარმოებული რძის 5 ნიმუშის აღება* ***(რომლიდანაც ერთი არის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი)*** *და* ***აფლატოქსინ M1****-ზე გამოკვლევა; ასევე არასწო-*

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**პაატა სალია**
*იუსტიციის მინისტრი*



**საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობას** და ჩვენების მიცემისგან თავის არიდებაზე **პასუხისმგებლობას განსაზღვრავს კანონი.** ყველი ინდივიდის გადასაწყვეტია, რას ირჩევს. **ხაზარაძემ და ჯაფარიძემ არჩიეს, რომ კანონი დაერღვიათ.**

„იმედინიუსი“

**ანრი ოხანაშვილი**
*სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი*



მადლობა პრემიერსა და სამთავრობო გუნდს გამოცხადებული ნდობისთვის, **ვაცნობიერებ იმ დიდ პასუხისმგებლობას,** რომელიც დაკავშირებულია სამსახურის საქმიანობასთან და **ამ პოზიციიდან სამშობლოს ეროვნული ინტერესების დაცვასთან.**

„იმედინიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**„კოლექტიური ნაცმოძრაობის“** აზრით, რევოლუციური პროცესის განვითარების გზაზე **ზურაბიშვილი ლიდერობისთვის არ გამოდგება,** ამიტომ დაუდგეს გვერდით **სააკაშვილის პორტრეტი.** „REZONANSIDEILI“

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



ერთი ფაქტი მაინც გაიხსენეთ, **რა გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ რუსული საქმე, ან რით გაზარდა რუსული გავლენები საქართველოში?** ვერ გაიხსენებთ!

„იმედინიუსი“

# მოგვწამლეს ამ ოხრებმა!

დასაწყისი მე-3 გვერდზე

*რად ეტიკეტირებული სურსათის ბაზრიდან გამოთხოვა.*

*ლაბორატორიული კვლევის შედეგად აფლატოქსინ M1-ის გადაჭარბებული ოდენობა დაფიქსირდა ხუთ ნიმუშში. კერძოდ,*

1. ***სასმელი რძე საბავშვო, ულტრაპასტერიზებული, 2,5% ცხიმიანობით*** *— დამზადების თარიღი: 04.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 03.08.2025;*
2. ***სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 1,5% ცხიმიანობით*** *— დამზადების თარიღი: 12.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 11.08.2025;*
3. ***სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 1,5% ცხიმიანობით*** *— დამზადების თარიღი: 10.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 09.08.2025;*
4. ***სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 2,5% ცხიმიანობით*** *— დამზადების თარიღი: 09.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 08.08.2025;*
5. ***სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 3,2% ცხიმიანობით*** *— დამზადების თარიღი: 02.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 01.08.2025.*

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მოუწოდა მომხმარებელს, არ გამოიყენოს აღნიშნული რძე და ისიც ამცნო, რომ **აფლატოქსინი** წარმოიქმნება ობის სოკოებისაგან, ხოლო **აფლატოქსინ B1**-ით დაბინძურებული საკვები ხვდება ცხოველის ორგანიზმში, საიდანაც გადადის რძეში და გარდაიქმნება **M1 აფლატოქსინად,** რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

**კომპანია „ჩირინამ“** ქვა აგდო და თავი შეუშვირა — ჩვენი ქათამი ყველა სახის ჰორმონული დანამატისგან და სტეროიდისგან თავისუფალი არისო. უფრო მეტიც, პროდუქცია პერიოდულად მოწმდება ანტიბიოტიკების კვალზე სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ და ამ კუთხითაც სუფთააო. არც **ტეტრაციკლინი** გვიფიქსირდება და შესაბამისი საბუთიც იხილეთო... რაც მთავარია, დაუშვებელია ქათმის ნაკელი ადამიანების ან ცხოველების საკვებად იქნეს გამოყენებულიო.

მოკლედ, როგორც გალაკტიონი იტყოდა, **ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის!**

ცნობილი ექიმი, ონკოლოგი და გენეტიკოსი **ალექსანდრე თავართქილაძე** აცხადებს, რომ ***აფლატოქსინი B1*** *ღვიძლში მეტაბოლიზდება და გარდაიქმნება აქტიურ მეტაბოლიტებად, მათ შორის,* ***აფლატოქსინი M1-დ,*** *რომელიც შემდეგ ხვდება რძესა და რძის პროდუქტებში. ქრონიკული მოხმარებისას მცირე დოზებიც კი თანდათანობით სხეულში დაგროვებას იწვევს, რაც დაზიანების რისკს ზრდის.*

***აფლატოქსინები,*** *განსაკუთრებით* ***B1 ფორმა,*** *მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ბუნებრივ კანცეროგენად. ის ძირითადად ზრდის:*

*1.* ***ღვიძლის კიბოს*** *(ჰეპატოცელულარული კარცინომა) განვითარების რისკს.*

*2. DHA-ის დაზიანებისა და გენური მუტაციების ალბათობას, რამაც შესაძლოა, სხვა სიმსივნური პროცესებიც გამოიწვიოს.*



აფლატოქსინები

50 ენა

სტატია განხილვა შემოწმებული სტატია რედაქტირება წყაროს რედაქტირება ისტორია ხელსაწყოები

მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია

**აფლატოქსინები** — სიცოცხლისთვის სახიფათო მიკოტოქსინები, რომლებიც განეკუთვნებიან პოლიკეტიდების კლასს.

ტოქსინების წარმომქმნელი ასპერგილების გვარის სოკოების რამდენიმე სახეობა (ძირითადად *A. flavus* და *A. parasiticus*) იზრდება დიდი რაოდენობის ზეთის შემცველი მცენარეების მარცვლეულებზე, თესლსა და ნაყოფზე (მაგალითად, არაქისის თესლზე) და ზოგიერთ სხვა სუბსტრატზე[1].



(–)-აფლატოქსინ $B_1$-ის ქიმიური სტრუქტურა

უფრო მეტად სოკოებით ავადდება პროდუქტები, რომლებსაც ინახავენ ცხელ და ტენიან კლიმატში. აფლატოქსინები დროთა განმავლობაში და არასწორი შენახვის პირობებში წარმოიქმნება ჩაისა და სხვა ბალახების გამხმარ ფოთლებში. ტოქსინი აგრეთვე წარმოიქმნება იმ ცხოველების რძეში, რომლებიც იკვებებიან ინფიცირებული საკვებით.



*რაც შეეხება* ***აფლატოქსინის M1*** *ფორმას, რომელიც რძეში გადადის, B1-თან შედარებით ნაკლებად, თუმცა, მაინც კანცეროგენულია და შეუძლია, გამოიწვიოს ჯანმრთელობის პრობლემები, განსაკუთრებით ბავშვებში და ქრონიკულად მომხმარებელ პირებში.*

***აფლატოქსინების*** *არსებობის რისკი მაღალია კუსტარულად* ***(სახლის პირობებში, ტრადიციული წესით)*** *დამზადებულ ჩირსა და ჩაიში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროდუქტი ინახება არასწორად ან მოუხერხებელ პირობებში, სადაც ტენიანობა და ტემპერატურა მაღალია.*

***აფლატოქსინი*** *წარმოიქმნება Aspergillus-ის ტიპის სოკოების (ძირითადად Aspergillus flavus და Aspergillus parasiticus) მოქმედების შედეგად. მათი ზრდისთვის ხელსაყრელი პირობებია: მაღალი ტენიანობა (70%-ზე მეტი), სითბო (20-40°C) და ჰაერის ცირკულაციის ნაკლებობა.*

**სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი ხდება,** რომ მეძუძური საქონლის რაციონში მოხვედრისას **აფლატოქსინით** დაბინძურებული საკვები **აფლატოქსიკოზის** მიზეზი შეიძლება გახდეს. ძირითადად ავადდება ახალგაზრდა საქონელი, რომელსაც ახასიათებს სისუსტე, წონის კლება, გაუხეშებული ბეწვი და მსუბუქი დიარეა. სახეზეა კანქვეშა სისხლჩაქცევები და გამოხატული ანემია, ესტრალური ციკლის დარღვევა, სწორი ნაწლავის გამოვარდნა, ასევე ღვიძლის ფიბროზი და ნაღვლის ბუშტის შეშუპება.

**აფლატოქსიკოზის** პროფილაქტიკის აუცილებელი პირობაა საკვების შეძენა მხოლოდ იმ კომპანიებიდან, რომლებიც ზედმიწევნით აკონტროლებენ თავიანთ პროდუქტს და მისი შენახვის პირობებს, განსაკუთრებით სოკოს წარმოქმნის აღსაკვეთად.

დაუშვებელია საქონლის გამოკვება დაძველებული, დაობებული, ხშირ შემთხვევაში მომწვანო ან შაბიამნისფერი დამბალ-დამპალი პურით. ამით სრულიად თავისუფლად შეიძლება შევქმნათ სიმსივნური დაავადებების წარმოქმნის რეალური პირობები, განსაკუთრებით კერძო სექტორში, სადაც არც თუ იშვიათად საქონელი არ ექვემდებარება მკაცრ კონტროლს!!!

უამრავი მოქალაქე სისტემატურად აგროვებს პურის ნარჩენებს და ხშირად 1 ან 2 თვის თავზე აძლევს საკვებად საქონელს, რაც **უპატიებელი დანაშაულია! აფლატოქსინი** ასევე წარმატებით წარმოიქმნება ჩაობებულ ჩირში, ქიშმიშში, ფინიკში, კურაგაში და ა.შ.

**დაუშვებელია ხბოების კვება იმ ძროხების რძით, რომელთა რძეშიც 20 მკგ/კგ-ზე მეტი აფლატოქსინია!**

რაც უფრო ღრმად ჩავიხედავთ **აფლატოქსინის** პოტენციური რისკების ნუსხაში, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება იმ საშიშროებათა სპექტრი, რამაც სრულიად უწყინარ მომხმარებელს, ასე ვთქვათ, მოწმენდილ ცაზე კიბო შეიძლება დამართოს. **რა ზიანი მოუტანა საქართველოს მოსახლეობას ქათმის სკინტლით ნაკვები ძროხებისაგან მოწველილი რძით დამზადებულმა პროდუქციამ, ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ უსაგნოდ შეიძლება ვიმარჩიელოთ.** ამასთან, განგაშის ზარის ტოლფასია ერთი ჩვენი ზომიერად ხუმარა კოლეგის შიშნარევი რეპლიკა —

**ამ ოხრების გადამკიდე, ამიერიდან არც ყველს შევჭამ და აღარც რძეს დავლევ!**

# როდემდე გაგ-რძე-ლდება?

# 50-ანელები



## პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მუშაობის საბოლოო შედეგი ქართული პოლიტიკიდან 50-ანელების სამუდამოდ ამოძირკვა უნდა იყოს!

*ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, წინდაწინვე განვმარტავთ, რომ 50-ანელებში არ ვგულისხმობთ ქრისტიანული პროტესტანტიზმის ერთ-ერთი მიმართულების — 50-ანელობის მიმდევრებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში — სულიწმინდის მოფენის ეკლესიას, ხოლო საქართველოში სახარების რწმენის ეკლესიას მიეკუთვნებიან.*



წინამდებარე წერილი **„50-ანელები“** არც **1950-ან წლებში დაბადებულ თაობას** ეხება, რომელიც, თავის დროზე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჩარეცხილად გამოაცხადა და **50 წელს მიღწეულ თუ გადაცილებულ ადამიანებს** საზოგადო და სახელმწიფო საქმიანობაში გამოუსადეგარის დამღა დაარტყა.

ჩვენი პუბლიკაცია **„50-ანელები“** არ გადასწვდება **არც მე-19 საუკუნის 50-ან წლებს, რომელიც მსოფლიოში და საქართველოშიც მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული მოვლენებით იყო დახუნძლული,** რადგან სწორედ მაშინ დაარსდა ქართული თეატრი, გამოიცა ჟურნალ „ცისკრის“ პირველი ნომერი, იმპერატორ **ალექსანდრე მეორის** ბრძანებულებით, დამტკიცდა დებულება სანავსადგურო ქალაქ ფოთის დასახლებისა და მმართველობის შესახებ, დაიწყო და დასრულდა ყირიმის ომი, მოხდა ინდოელების აჯანყება ბრიტანული კოლონიალიზმის წინააღმდეგ და ა.შ.

ჩვენ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **სულ სხვა 50-ანელობაზე** ვლაპარაკობთ და **სულ სხვა 50-ანელებზე** ვწერთ!

ჩვენ **50-ანელებში** ვგულისხმობთ ქართულ **პოლიტიკას მიკედლებულ იმ თაღლითებს, ბანდიტებსა და უთოფო ყაჩაღებს,** რომლებსაც წინა და იმის წინა კვირას ქართულმა სასამართლომ **50-50 ათასი ლარის გირაო** შეუფარდა.

ესენი არიან **„თიბისი ბანკის“ მეწილეები და პოლიტიკური პარტია „ლელოს“ ლიდერები — მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე,** რომელთათვისაც აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს — 50 ათასი ლარის შეფარდება საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ იმიტომ მოითხოვა, რომ სისხლის სამართლის მორიგი დანაშაული ჩაიდინეს.

კერძოდ, **ხაზარაძე და ჯაფარიძე,** ოფიციალურად დაბარების მიუხედავად, არ გამოცხადდნენ **საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის** სხდომებზე, სადაც სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2003-2012 წლებში ჩადენილ დანაშაულებს იძიებენ.

ვინაიდან **პარლამენტის საგამოძიებო კომისიასთან** თანამშრომლობა სავალდებულოა და მისთვის ახსნა-განმარტებების მიცემაზე უარის თქმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მათ შორის, 1-წლიან პატიმრობასაც იწვევს, პროკურატურამ **ხაზარაძე-ჯაფარიძეს** ბრალი წაუყენა და სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, მათთვის წინასწარი პატიმრობის ნაცვლად უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება — **50 ათასი ლარის გირაო** შეეფარდებინა.

**50 ათასი ლარის გირაოს** „მსუბუქს“ იმიტომ ვუწოდებთ, რომ ციხეში გამოკეტვას ნამდვილად სჯობს და მეორეც, **მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძისათვის,** რომლებმაც საქართველოს მოსახლეობას კაბალური და მევახშური საბანკო პროცენტებით ამოხადეს სული, ხოლო არაერთი წარმატებული ქართველი ბიზნესმენი **სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის** თანამზრახველობით გააკოტრეს, **50 ათასი ლარი,** როგორც იტყვიან, მზესუმზირის ფულია.

როგორც **პარლამენტის საგამოძიებო კომისიის** სხდომებიდან იკვეთება, **სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმისა და ხაზარაძე-ჯაფარიძის დუეტის** მიერ სხვადასხვა ბიზნესის ხელში ჩაგდება შემდეგი სქემით ხდებოდა: **კონკრეტულ ბიზნესმენს, რომლის ბიზნესის ხელში ჩაგდებასაც სააკაშვილის რეჟიმის რომელიმე კეზერაშვილი გადაწყვეტდა, ადეიშვილის პროკურატურა სისხლის სამართლის საქმეს შეუკერავდა და დაიჭერდა ან დაჭერით დაემუქრებოდა, შემდეგ კი, საპროცესო გარიგებითა თუ გირაოთი გათავისუფლების სანაცვლოდ, ხაზარაძე-ჯაფარიძის „თიბისი ბანკიდან“ ასეულათასობით ან მილიონობით დოლარის სესხს აღებინებდა;** დაპატიმრებული ან დაპატიმრების მუქარით დაშინებული ბიზნესმენის მიერ „თიბისი ბანკში“ დაგირავებული ქონება ზოგ შემთხვევაში პირდაპირ გადადიოდა **ხაზარაძე-ჯაფარიძის ხელში,** ზოგჯერ კი ისე ხდებოდა, რომ დატერორებული ბიზნესმენი თავის ქონებას სახელმწიფოს გადაუფორმებდა, სახელმწიფო კი პირდაპირი მიყიდვის წესითა და რეალურ საბაზრო ღირებულებაზე ბევრად იაფად გადასცემდა **ხაზარაძე-ჯაფარიძის კომპანიებს.**

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რაც **პარლამენტის საგამოძიებო კომისიის** სხდომებზე ჯერ არ გამოკვეთილა, მაგრამ უსათუოდ უნდა გამოიკვეთოს, რადგან საქმე **მამუკა ხაზარაძის** მიერ **„საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციიდან“** მოსახლეობის ანაბრების მითვისებას ეხება. საერთოდ,

**როგორც „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში ვწერდით, ანაბრების მიტაცების საკითხი აუცილებლად უნდა გახდეს საპარლამენტო კომისიის გამოძიების საგანი, მითუმეტეს, რომ მეანაბრეთა გაძარცვაში ხაზარაძე მარტო არ ყოფილა და უშუალო თანამზრახველები თუ არა, სიტუაციური მოკავშირეები ნამდვილად ჰყავდა.**

ამდენად:

## ვინც კი მოიპარა ხალხის ანაბარი, სასჯელი ეკუთვნის ყველას თანაბარი!



„ასავალ-დასავალი“. 2025 წლის №14

განურჩევლად იმისა, დღეს ვინ რომელ პოლიტიკურ ბანაკშია, ვინ ვის უღრენს და ვინ ვის ელაქუცება!

თუმცა, **სანამ ხალხის ანაბრების სხვადასხვა ქურდი** თანაბარ სასჯელს მიიღებს, **მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ** პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე გამოცხადებასა და მათ მიმართ არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემას არჩიეს, კანონი დემონსტრაციულად დაერღვიათ, კიდევ ერთ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის სტატუსი მიეღოთ და გირაოს სახით, **50 ათასი ლარი** გადაეხადათ.

კაცმა რომ თქვას, მარტივი გამოსავალია — **როცა კითხვებზე პასუხი არა გაქვს, მაგრამ გაქვს ბევრი ფული, გირჩევნია, 50 ათასი ლარი გადაიხადო და ამით, სულ მცირე, გადაავადო სავარაუდო სასჯელი,** რომელიც საგამოძიებო კომისიის საბოლოო დასკვნის საფუძველზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეებით გემუქრება.

**ხაზარაძე-ჯაფარიძის** გარდა, ამ პრინციპით, ალბათ, სხვებიც იხელმძღვანელებენ და საქართველოში მივიღებთ ახალ პოლიტიკურ კასტას, რომლის პირობითი სახელიც **50-ანელები** იქნება!

მაგალითად, პარლამენტის საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო ბრალი უკვე წაყენებული აქვს სააკაშვილის რეჟიმის ყოფილ გენერალურ პროკურორსა და თავდაცვის მინისტრს **ირაკლი ოქრუაშვილს,** რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით იყო დაბარებული, მაგრამ არ მივიდა.

ბრალი ჯერ არა აქვთ წაყენებული, მაგრამ კომისიასთან თანამშრომლობას რომ არ აპირებენ, ამის შესახებ უკვე საჯაროდ განაცხადეს **ზურაბ ჭიაბერაშვილმა, გოკა გაბაშვილმა, გიგი თარგამაძემ, გიორგი თარგამაძემ და ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემ,** რომლებიც, სავარაუდოდ, **ხაზარაძე-ჯაფარიძის** მსგავსად, **50-ანელები** გახდებიან!

პარლამენტის საგამოძიებო კომისია მუშაობას მაისის თვეში დაასრულებს და იქამდე შეიძლება, იმდენი **50-ანელი** მივიღოთ, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი რამდენიმე ათეული ან, სულაც, რამდენიმე ასეული მილიონით გამდიდრდეს!

თუმცა, **პოლიტიკური 50-ანელობა** ნამდვილად არ უნდა იყოს იმის გარანტია, რომ ვინმეს ჩადენილი დანაშაული შერჩება და მართლმსაჯულებისაგან თავის დაძვრენას **50 ათასი ლარის** სანაცვლოდ მოახერხებს!

**პარლამენტის საგამოძიებო კომისიის** მუშაობის საბოლოო შედეგი კი ქართული პოლიტიკიდან **50-ანელების** სამუდამოდ ამოძირკვა უნდა იყოს!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**თეა წულუკიანი**

*2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე*



ჩვენი კომისია არ ემსახურება **მამუკა ხაზარაძის დისკრედიტაციას,** იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ **ის უკვე არის დისკრედიტირებული.**

ვინც არ უნდა მოხვიდეთ, ახალგაზრდებო, მომავალში პოლიტიკაში, უნდა იცოდეთ, რომ ჯარი არ არის სათამაშო, **სააკაშვილმა ჯარიც და მშვიდობიანი მოსახლეობაც საკუთარ სათამაშოდ აქცია.**

ჟურნალისტი **გიორგი თარგამაძისა** და პოლიტიკოსი **გიორგი კანდელაკისგან** ჩვენ გვჭირდება პასუხი, პირველ რიგში, რეზოლუციაზე, **2008 წელს რატომ დააბრალეს ქართულ ჯარს, თითქოს ქართველმა ჯარისკაცმა ჩაიდინა ომის დანაშაული?**

„პირველი არხი“

**ბაჩო ოდიშარია**

*ეროვნული კინოცენტრის ფონდების მოძიების დეპარტამენტის უფროსი*



რეზოლუციას მოაწერეს ხელი, სადაც **ქართულ ჯარს ომის დანაშაული დააბრალეს.** ამ მოცემულობის შემოსატრიალებლად ისევ **თეა წულუკიანს** მოუწია ბრძოლა, ამიტომ **ყალბი ნარატივი, თითქოს ნაცების რეჟიმის წარმომადგენლების გამოკითხვა ნიშნავს ქვეყნის ომის დაწყებაში დადანაშაულებას,** ემსახურება ნაცების ჩადენილის დაფარვას.

„რეპორტიორი“

**მეუფე იაკობი**

*ბოდბელი ეპისკოპოსი*



როგორ უნდა მაჯობო, **ბალტიისპირელი იქნები, პოლონელი, უკრაინელი, ბრიტანელი თუ ევროპის ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელი.** მათი საქმე არ არის, ჩვენთან არჩევნები როგორ და როდის ჩატარდება.

„იმედინიუსი“

**გიორგი ზარქიძე**

*ნაცმოძრაობის რეჟიმის პატიმარი*



სრული პასუხისმგებლობით ვიძახი, **ჩემი 47 წლის მამა,** რომელიც ჯან-ღონით სავსე იყო, **ციხის ტუალეტში გაგუდეს.**

„TV იმედი“

***საქართველოს პარლამენტში თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით მოქმედი დროებითი საგამოძიებო კომისიის მორიგ სხდომაზე, რომელიც 2025 წლის 3 აპრილს გაიმართა, ქართველმა საზოგადოებამ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი კიდევ ერთი სასტიკი დანაშაულის შესახებ შეიტყო და მოისმინა შემზარავი ისტორია, რომელიც 20 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, გაუხმაურებელი იყო.***



კახა დაბრუნდაშვილი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე. 2025 წლის 3 აპრილი

# ჩვენება, რომელმაც

## ნაცმოძრაობის გასამართლებასა და აკრძალვას მარტო კახა დაბრუნდაშვილისა და ვამეხ აბულაშვილის შემაძრწუნებელი ისტორიაც ეყოფა!

2025 წლის 3 აპრილს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე წარდგა **სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლი, თბილისის მკვიდრი კახა დაბრუნდაშვილი**, რომლის მიერ მოყოლილი ისტორიაც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს **სანდრო გირგვლიანის** წამებისა და მკვლელობის საქმეს, რამაც თავის დროზე სრულიად საქართველო შეძრა და საბოლოოდ ჩამოხადა ნიღაბი სააკაშვილის რეჟიმს, როგორც მკვლელებისა და ჯალათების სისხლიან ბანდას.

**თბილისი, სოლოლაკი, ტაბიძის ქუჩა!** — ეს არის ადგილი, საიდანაც **2005 წლის სექტემბრის მიწურულს** შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (**კუდ**-ის) მაღალჩინოსნებმა **კახა დაბრუნდაშვილი** და მისი მეგობარი **ვამეხ აბულაშვილი** გაიტაცეს!

**თბილისი, სოლოლაკი, შარდენის ქუჩა!** — ეს არის ადგილი, საიდანაც **2006 წლის იანვრის მიწურულს** კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (**კუდ**-ის) მაღალჩინოსნებმა **სანდრო გირგვლიანი** და მისი მეგობარი **ლევან ბუხაიძე** გაიტაცეს!

**ოქროყანის ტყე!** — ეს არის ადგილი, სადაც **კუდ**-ის მაღალჩინოსნებმა **კახა დაბრუნდაშვილი** და მისი მეგობარი **ვამეხ აბულაშვილი** საწამებლად წაიყვანეს!

**ოქროყანის ტყე!** — ეს არის ადგილი, სადაც **კუდ**-ის მაღალჩინოსნებმა **სანდრო გირგვლიანი** და მისი მეგობარი **ლევან ბუხაიძე** საწამებლად წაიყვანეს!

**კუდ-ის დირექტორი დათა ახალაია, კუდ-ის პირველი განყოფილების უფროსი გერონტი (გია) ალანია და კუდ-ის მესამე განყოფილების უფროსის მოადგილე ოლეგ მელნიკოვი!** — ესენი არიან სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნები, რომლებიც **კახა დაბრუნდაშვილისა** და მისი მეგობრის **ვამეხ აბულაშვილის** გატაცებისა და წამების ორგანიზებასა და შესრულებაში მონაწილეობდნენ!

**კუდ-ის დირექტორი დათა ახალაია, კუდ-ის პირველი განყოფილების უფროსი გერონტი (გია) ალანია და კუდ-ის მესამე განყოფილების უფროსის მოადგილე ოლეგ მელნიკოვი!** — ესენი არიან სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნები, რომლებიც **სანდრო გირგვლიანისა** და მისი მეგობრის **ლევან ბუხაიძის** გატაცებისა და წამების ორგანიზებასა და შესრულებაში მონაწილეობდნენ!

**ვამეხ აბულაშვილისა** და **კახა დაბრუნდაშვილის** სოლოლაკიდან გატაცების, ოქროყანის ტყეში წაყვანისა და წამების მოტივი **დათა ახალაიასთან ქალის გამო მომხდარი შელაპარაკება** იყო!

**სანდრო გირგვლიანისა** და **ლევან ბუხაიძის** სოლოლაკიდან გატაცების, ოქროყანის ტყეში წაყვანისა და წამების მოტივიც დათა ახალაიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნებთან **ქალის გამო მომხდარი შელაპარაკება** გახლდათ!

**შერშე ლა ფამ!** — როგორც იტყვიან ფრანგები — **ეძიე ქალი!**

თუმცა, ამ ორივე ამბავში ქალზე უფრო მნიშვნელოვანი **სააკაშვილის რეჟიმის ჯალათური ბუნება და სისტემური ბოროტებაა,** რომელიც **დათა ახალაიების, ოლეგ მელნიკოვებისა და გერონტი ალანიების** მსგავს კაციჭამიებზე იდგა!

პირველ შემთხვევაში, **ახალაიას, მელნიკოვის, ალანიასა** და მათი ხელქვეითების მიერ სასტიკად ნაწამებ **კახა დაბრუნდაშვილსა და ვამეხ აბულაშვილს** გაუმართლათ, რომ ორივენი ცოცხლად გადარჩნენ, მეორე შემთხვევაში კი, ოქროყანის ტყიდან ცოცხალი მარტო **ლევან ბუხაიძე** დაბრუნდა, ხოლო **სანდრო გირგვლიანი** მოკლეს და ხევში გადააგდეს!

ზუსტად იმ ხევში, რომლის პირასაც ოთხი თვით ადრე **კახა დაბრუნდაშვილი და ვამეხ აბულაშვილი** აწამეს!

ისე გამოდის, რომ **სააკაშვილის რეჟიმმა სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის გატაცებისა და წამების გენერალური რეპეტიცია ოთხი თვით ადრე ვამეხ აბულაშვილსა და კახა დაბრუნდაშვილზე გაიარა!**

რაკი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე წარმდგარმა **კახა დაბრუნდაშვილმა** განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რომ თავს გადახდენილი საზარელი ისტორია დეტალურად და სკრუპულოზურად მოეყოლა, ჩვენც უპრიანად მივიჩნევთ, მისი მონათხრობი სტენოგრაფიული სახით და მხოლოდ უმნიშვნელო შემოკლებით შემოგთავაზოთ:

— მე ვარ **კახა დაბრუნდაშვილი.** დავიბადე 1975 წლის 5 დეკემბერს, ქალაქ თბილისში. ვარ მშრომელების ოჯახში გაზრდილი, დავამთავრე სამედიცინო-პედიატრიული უნივერსიტეტი, პარალელურად — ფიზკულტურული. დავოჯახდი, მყავს ორი ვაჟი, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი უნდა ცხოვრობდეს, ვცხოვრობ ამ რეჟიმით, მაგრამ დადგა ის საუბედურო, საშინელი დღეც. **ტაბიძის 3/5-ში ვცხოვრობ, ორი თვის შეძენილი მყავს უმცროსი ვაჟი. მირეკავს ჩემი მეგობარი ვამეხ აბულაშვილი** — კახა, რაღაც უცნაური ზარი შემომივიდა და შენთანაც ვინმეს ხომ არ დაურეკიაო? მე ვუთხარი — ჩემთან არავის დაურეკია და რა ზარი იყო-მეთქი ასეთი?

**თეა წულუკიანი:** — როდის ხდება ეს?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — ეს ხდება 2005-ის სექტემბერში. რა გესაუბრა, რაში შეიტანე ეჭვი-მეთქი? ჯერ ის, რომ ამოუცნობი ნომრით დამირეკა და მიბარებს კონსტიტუციურ დეპარტამენტშიო, ვაჟაზე. რაღაც სამსახურებრივი თემიდან გამომდინარეო, მიზეზს ამას მეუბნებაო. ცნობისთვის: **ვამეხ აბულაშვილს** დღე არა აქვს არსად ნამუშევარი, ანუ გამორიცხულია რამე სამსახურებრივი შეხება და ამან დააეჭვა. შუა საუბარში მეკითხება **ვამეხი,** რომ **კახა, სად ხარ ახლა ტერიტორიულადო?** ტაბიძეზე სახლში ვარ — მე ვუთხარი. მეც ამ პერიმეტრში ვარ, ამოვალ მაშინ და გავისაუბროთო. მე ვუთხარი — კარგი იქნება-თქო. სადღაც 10-15 წუთის ინტერვალში მოვიდა, დავჯექით, ვისაუბრეთ, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ და ვართ ამოცნობის რეჟიმში — რა უნდა ხდებოდეს? რომ დამირეკა ამ პიროვნებამ, თავი გამაცნო, რომ ვარო კონსტიტუციური უსაფრთხოების სამმართველოს მუშაკი, სახელი, გვარი არ უთქვია და პირდაპირ მითხრაო — **უნდა გამონახოთ რაღაც პატარა პერიოდი და მობრძანდეთ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტშიო.** ჩემ კითხვაზე — რა მინდა, რისთვის უნდა მოვიდე, რისთვის მიბარებთ? — პასუხი ასეთი იყოო — აქ რომ მოხვალთ, გაიგებთო! მაშინ მე არ მოვალო! — ვამეხიმ უთხრა. ერთი საუბარი ამით დამთავრდა. სადღაც 5-10 წუთის ინტერვალში ისევ ურეკავს ეს პიროვნება და უკვე ეუბნება, რომ რაღაც დოკუმენტში არი თქვენი სახელი და გვარი ნახსენებიო და, უბრალოდ, მინდა, რომ ეს დოკუმენტი გაგაცნოთო, თქვენი ხელმოწერა მინდა, მეტი არაფერი, სულ პატარა დროს წაგართმევთო.

ჩემთან რომ ვზივართ უკვე სახლში, ვამეხი რომ ჩემთან მოვიდა, კიდევ რეკავს ეს ამოუცნობი ნომერი, უკვე ტონით — **სადამდე გელოდოთ, ვერ მოიფიქრე?!** ვამეხიმ ტონზეც მიუთითა — **რა ტონით მესაუბრები, რას ჰქვია, ვერ მოვიფიქრე? რა უნდა მომეფიქრებინა, არ მოვდივარ და „ვსიო“!** — აი, პირდაპირ ეგეთი პასუხი. **ახ, არ მოდიხარ? კარგი მაშინ!** — და გათიშა. ანუ მუქარის ტონით გათიშა ტელეფონი. არ გადის 5-10 წუთი, ისევ რეკავს — **სად ხარ ტერიტორიულად, მე მოვალ და ადგილზე გაგაცნობ ამ დოკუმენტსო!** — ეუბნება. ვამეხიმ სთხოვა რაღაცა პერიოდი, თუ შეიძლება, 10 წუთში დამირეკეთ და გეტყვით ჩემ ადგილმდებარეობასო. **კარგი, არ არის პრობლემაო!** — და გათიშა ტელეფონი.

ახლა უკვე ჩვენ ვმსჯელობთ — მე და ვამეხი. სამსახურებრივი გამორიცხულია — ვამეხი მეუბნება — იმიტომ რომ მე დღე არ მაქვს არსად ნამუშევარი და რამე დოკუმენტში... რაღაც ფინანსურ დოკუმენტზე იყო საუბარი... გამორიცხულია ასეთი რაღაცაო. თან რჩევას მეკითხება — კახა, რა გავაკეთო? არ ვიცი, ვამეხ — მე ვუთხარი — **მე შენს ადგილზე არ შევხვდებოდი, იმიტომ, რომ კონკრეტიკა არ შეაქვს, რაზე უნდა შენთან შეხვედრა. რაღაც დოკუმენტს გიხსენებს და ორაზროვნად კი არა, ათაზროვნად, ვერ იგებ, რა დოკუმენტზეა საუბარი...** ამ საუბარში ვართ და რეკავს ეს პიროვნება, პირდაპირ ითხოვს მისამართს. აი, კონკრეტულად გეტყვით საუბარს, ზუსტად აი, ასე: **ხო, მიდი, მიდი ერთი, მითხარი მისამართი და მოვალ ეხლა მე.** ტაბიძეზე ვაროო — ვამეხიმ. სად,

## კვირგვინოსნები

**ლიკა შარტავა**
*პარლამენტარი*



**მინდა, მივმართო ახალგაზრდებს,** მათ, ვისაც გული შესტკივათ ჩვენი ქვეყნის მომავალზე, **თვალყური ადევნონ კომისიის მსვლელობას,** რადგან კომისია კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს, **ვინ გვესაუბრება სამშობლოს ვითომ სიყვარულზე.**

„რეპორტიორი“

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ოპოზიციის ყველაზე ბინძურ ტყუილს ვუსმენთ ეს დღეები, **თითქოს ანწუხელიძეს და სხვა გმირებს ომის დაწყებას აბრალებს ხელისუფლება.** პირიქით, **ეს ბიჭები ნაცმოძრაობის მოღალატეობრივი პოლიტიკის მსხვერპლნი არიან.**

„რეპორტიორი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**2007 წლის სამშობლოს ღალატის მუხლი გააქრო ნაცმოძრაობამ** და მას ტექნიკური საკითხი უწოდა. რაც მათთვის ტექნიკურია, ჩვენთვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და **ამ მუხლით სამშობლოს შიდა საფრთხეებისგან დავიცავთ.**

„იმედინფო“

**ნიკა მელია**
*საზოგადოება „ქართლოსის“ წევრი, ბლოგერი*



ვერ და არ იქნებიან გულწრფელნი ის ხალხი, **ვინც 2008 წლის ომს უნიკალურ, ფენომენალურ ნაბიჯს უწოდებს. გიორგი ანწუხელიძე** გმირია, თქვენ კი **ისტორიას როგორც მოღალატეები, ისე დარჩებით, ნაცპოლიტიკოსებო!**

„იმედინფო“

# საქართველო შეძრა!

## სააკაშვილის რეჟიმმა სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის გატაცებისა და წამების გენერალური რეპეტიცია ოთხი თვით ადრე ვამეხ აბულაშვილსა და კახა დაბრუნდაშვილზე გაიარა!





სანდრო გირგვლიანი, ლევან ბუხაიძე

კონკრეტულად, რომელ ტაბიძეზე? ანუ ვაკე თუ სოლოლაკი? სოლოლაკში, ტაბიძის 3/5-ში ვარო. კარგი, კარგი 10 წუთი მაქსიმუმ და მანდ ვარ... და თიშავს ტელეფონს.

ვამეხ! — მე ვუთხარი — მე მგონი, შეცდომას ვუშვებთ. მრავლობითში იმიტომ ვსაუბრობ, ვამეხი რომ ჩავიდეს, ორი აზრი არ არის, მეც მივყვები, მე იმას მარტო არ გავუშვებ, ხომ? ბოლოს ასეთი აზრი მოვიფიქრეთ, რომ ჩავიდეთ... **ვამეხ** — მე ვუთხარი — **ეხლა კონსტიტუციურმა შენი ფოტო კი არა, შენი ჯიშ-ჯილაგი იცის, რახან დაინტერესდნენ, შენ გიცნობენ. მოდი, ასეთი რაღაცა გავაკეთოთ — ჩვენი იტალიური ეზოა — შენ ეზოში გაჩერდი, მე გავალ „არკაში“...** ნუ, ეს ახლა თავის დაზღვევის მიზნით... ნუ, რაც უცებ მოგვაფიქრდა, რა, მოკლედ... გავალ, თუ რაიმე საეჭვოს შევამჩნევ, ხალხმრავლობას ან მანქანებში რაღაცას, ტელეფონით გაცნობი, **არ გაინძრეთ, გაგჭრიტავთ...** სიტყვასიტყვით, როგორც იყო... ხომ შეიძლება, ყველაფერი ისე ვთქვა, როგორც იყო? მე მგონი, ეს საჭიროც არის.

პირველივე ეცნენ ვამეხს. ანუ ის ჩემი ვარაუდი, რომ ფიზიკურად ვამეხი ამათ უკვე იცოდნენ, სწორი იყო. მეც, რა თქმა უნდა, გაბოჭილი ვარ, მაგრამ ვამეხი უკვე მოგრეხილი მანქანაში ჩატენეს, ასე რომ ვთქვათ. მე ვისაც ვყავარ ორს გაკავებული, ეკითხებიან ამ პიროვნებას, ვინც ესაუბრებოდა ვამეხს — შეფ, ესო? „დავაი“, ეგეცო! და მეც მომათავსეს ვამეხთან ერთად მანქანაში.

**სოზარ სუბარი:** — ეს „შეფს“ რომ მიმართავენ, ვინ არის, იცით?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — **ალანია!** და ამ სპეცოპერაციას **მელნიკოვი** ხელმძღვანელობდა, **ოლეგ მელნიკოვი.** მე მინდა, რომ ყველა დეტალი გაცნობოთ, რა... ჩემი „არკიდან“ ბებ და ადი ეგრევე სახლში-მეთქი. მე, ნუ, ჩემი ინტერესი არ აქვთ, როგორც ასეთი... ნუ, კარგი, შევთანხმდით ამაზე, ვამეხი დარჩა ეზოში, მე გავედი მარცხენა მხარეს, ძველი მერიისკენ ნელი ნაბიჯით ჩავუყევი, თან იქ მდგომ ავტომობილებში ვათვალიერებ, დაჟინებით არა, ისე, ზერელედ. სიმართლე გითხრათ, ვერანაირი ეჭვი... ჩავედი, იქ წყალი დავლიე, შემოვბრუნდი და ამოვდივარ უკან ჩემ „არკასთან“ და უკვე ვხედავ სურათს შორიდან, რომ ვამეხი უკვე ვიღაც პიროვნებას ესაუბრება. ეს პიროვნება არის პიჯაკით, ჯინსის შარვლით და რაღაც შავი სასაბუთე უჭირავს ხელში. ნუ, მივხვდი, რომ ეს პიროვნებაა უკვე მოსული და ცოტა ნაბიჯს მოვუჩქარე. რომ მივუახლოვდი, მივესალმე — გამარჯობა-თქო და ცივი სახით შემომხედა და ვამეხის ეკითხება — **ეს ვინ არიო?** ჩემი მეგობარიაო. ამ დროს გააგრძელეს ამათმა საუბარი, მე იქვე ვდგავარ და ვამეხი ეკითხება, სულ უმახვილებს ყურადღებას ამ პიროვნებას, რომ მაჩვენეთ ის საბუთი, რა საბუთზეც მიბარებთ... იმას აშკარად დრო გაჰყავს — აი, კი, ხო, ახლავე და რაღაცა... ძალიან აბსურდული პასუხებით დროს წელავს, ასე რომ ვთქვათ.

მაქსიმუმ, 5-6 წუთის საუბარი და ხდება ასეთი რამე, მართლა მარტო ფილმებში მინახია, სიმართლე რომ გითხრათ — **ოთხი მანქანა გიჟური სიჩქარით შემოდის ტაბიძის ქუჩაზე, პირველი მანქანა დგება ირიბად, ანუ კეტავს მოძრაობას, მომდევნო ორი მანქანის ოთხივე კარი იღება, ყველა იარაღამოღებული ხტება მანქანიდან, მეოთხე მანქანა კეტავს ტაბიძეზე შემოსასვლელ გზას და სროლე-**

ერთი 20 მეტრის მოშორებით (ამას უკვე ჩემი მეგობრები მიყვებიან, რომ დავბრუნდი), არის გაჩერებული შავი „ტოიოტა ქემრი“, იმ დროს ყველასთვის ცნობილი **დავით ახალაია** არის გადმოსული, გამოღებულ კარებზე დაყრდნობილი, ტყავის გადაჭრილი ხელთათმანები, იფშვნიტავს თითებს და გვიყურებს, ყველაფერს, თურმე, ამას აკვირდება.

როგორც კი მოხდა ჩვენი მანქანაში მოთავსება, ძაან მსუბუქად ნათქვამია, ჩატენვა, **ახალაია** ჯდება მანქანაში და მანქანა იძვრება კოჯრის მიმართულებით (მე ეს არ დამინახია, მაგრამ ამას მეუბნებიან თვითმხილველები). ჩვენ მანქანაში რომ ჩაგვტენეს, ჩაგვიტარეს პატარა ინსტრუქტაჟი: **ხელები — ფეხების ქვეშ, თავები ფეხების შუაში ჩაყოფილი, არავითარი კონტაქტი, უნდა ვიყოთ ამ პოზიციაში, სადამდეც საჭირო იქნება,** მოკლედ, მართლაც ეგრე მოვიქეცით, სხვა გზა არ იყო.

მოკლედ, კოჯორში მიმავლებს, ამათ ერთ-ერთ ნიჭიერ მძღოლს *(ეცინება. რედ.)* აერია გზა და პურის მოედნისკენ წავიდა, რა, ქვევით. ერთ-ერთი პიროვნება, დაბალი, ცოტა მოგრძო თმებით, ხელმძღვანელობდა უკვე აი, ამ ჯგუფს, ჩვენს მანქანაში ვინც იჯდა. მძღოლის გარდა, გვერდზე ორნი ჩაჯდნენ. ამ მანქანას, რომელიც კეტავს ტაბიძის შემოსასვლელს, უკან პატრული მოადგა და რუპორით უძახის — **გზა გაანთავისუფლე, გზა გაანთავისუფლე!** ამაზე არანაირი რეაგირება ამ პატრულთან. შემდეგ ერთ-ერთი მივარდა, რაღაც აჩვენა, მობრუნდა ისევ... პატრული არ ჩერდება, თავს არ გვანებებს, რა. ჩვენ რომ დავიძარით, მოკლედ, პატრული უკან მოგვყვება და აი, განუწყვეტლივ იძლევა მითითებას, რომ მანქანა გააჩერონ, რაზეც ესენი არ ეთანხმებიან. მანქანაში ეს ე.წ. მეთაური ვინც იყო, მძღოლს კარგად, გემრიელად აგინა — აქ რა მინდა, ბიჭო, სად მივდივართ...

მოკლედ, დავდექით იმ გზაზე, როგორც იქნა, და უკვე აი, დავითაშვილის ქუჩა, იცით ყველამ... ეს პატრული თავს არ გვანებებს... ერთი გაჩერება ამათმა გააჩერეს და ეს, ვინც უფროსობდა მანქანაში, გინებით გადახტა, მივიდა, საბუთი აჩვენა... ჩვენ ვერაფერს ვერ ვხედავთ, მაგრამ რომ ჯდება მანქანაში — ამათი დედაო, ქსივაც არ ჭრის, ხედავ, ამათთანო! კიდევ არ გვანებებს პატრული თავს, მოგვყვება ბოლომდე. **დავითაშვილზე როგორც კი შევდივართ, ყველა მიმართულებიდან გვკეტავს საპატრულო ეკიპაჟები, მინიმუმ, 6-7 მანქანა. უკვე გზას არ უტოვებენ და გავჩერდით.** გაჩერდნენ, უფრო სწორად. ჩვენ იქ ვერაფერს ვერ ვწყვიტავთ, ვართ ტყვეები. ისევ ეს ჩვენს მანქანაში მჯდომი აქტიურობს და ვისაც ელაპარაკება, ესენი ეუბნებიან — **ახლა უფროსი მოვა, ჩვენ ვერ ვწყვიტავთ, ჩვენ დავალებას ვასრულებთ.** ეს ჩვენ ყველაფერი გვესმის, ფანჯრები ჩაწეულია, ვერ ვხედავთ უბრალოდ, თორემ გვესმის ყველაფერი. მოდის ეს უფროსი, ვინც ახსენა ამ საპატრულოს თანამშრომელმა, ჩვენი ვარაუდით, ასმეთაური.

და აი, მინდა, აქედან ეხლა უდიდესი მადლობა გადავუხადო. მან გვაჩუქა ჩვენ სიცოცხლე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და შემდგომში აგიხსნით, რატომ ვამბობ ამას. მე მივმართავ იმ ადამიანს — აი, უღრმეს მადლობას გიხდი მთელი ცხოვრება!

**თეა წულუკიანი:** — ვინ იყო, არ იცით?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — არა!

**თეა წულუკიანი:** — საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, რომელიც, სავარაუდოდ, ასმეთაური იყო.

**კახა დაბრუნდაშვილი:** — დიახ, დიახ! ჩვენს მანქანაში მჯდომი ეს აქტიური პირი მივარდა და ტელეფონს აწვდის ეგრევე. **თქვენ ძალიან განაგლეხულხართო რაღაცო და მოგივლითო** — ეუბნება.

**თეა წულუკიანი:** — პატრულის თანამშრომელს ეუბნება კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, რომელმაც მოგიტაცათ!

**კახა დაბრუნდაშვილი:** — დიახ, დიახ, დიახ! მართლაც ვაჟკაცი ადამიანი, რა... ქცევაში, პასუხში ხომ ეტყობა ადამიანს, ვინ არის? პირველ რიგში, პირდაპირ ტონზე მიუთითა — ეგ ტელეფონი ჩაიდე ჯიბეშიო, არავითარ შემთხვევაში არ მაქვს მე უფლება, შენი ტელეფონით ვინმეს ვესაუბროო! გამობრუნდა, ჩვენ მანქანასთან მოვიდა და ესაუბრება **დათა ახალაიას** ეს ჩვენთან მჯდომი შეფი.

**თეა წულუკიანი:** — ეს არის **გერონტი ალანია?**

**კახა დაბრუნდაშვილი:** — არა, ეს სხვა არი.

**თეა წულუკიანი:** — გვარი არ იცით?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — არა! სპიკერზეა ამის ტელეფონი ჩართული და გაჰკივის — ამათი დედა... „ამათი დედა“-ზე მერე ეს პიროვნება მოდის და ქეჩოში კიდებს ხელს და...

**თეა წულუკიანი:** — პატრული?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — პატრულის ეს უფროსი! და ახლა დაგანარცხებ მიწაზეო, რა...

**თეა წულუკიანი:** — ესე იგი, თქვენი გატაცების ამბავთან დაკავშირებით, შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ქუჩაში.

**კახა დაბრუნდაშვილი:** — დიახ! აი, ეს ე.წ. ჩვენთან დომინანტი პირი ეუბნება — **იცი, რა სპეცოპერაციას გვიშლი, ბიჭო?! — ბიჭო არა, ჯერ ეგ ერთი, წოდებით მომმართე...** ანუ ის სულ ტონს უსწორებს და მიუთითებს, რომ ის მასზე არაფრით მეტი არ არის, თუ ნაკლები არა. **შენ ისიც არ იცი, გეტყობაო, რა, რომ ყველა დაგეგმილი ოპერაცია ჩვენთან თანხმდებაო — საპატრულოსთან.** ამ დროს **ახალაია** უძახის ამას — **მე შენი დედა... ბორტის ნომერი მითხარი დროზეო!**

**თეა წულუკიანი:** — საპატრულოს ეუბნება?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — საპატრულოს, ხო, უფროსს. ეს კარნახობს ბორტის ნომერს და ირეკება უკვე ამ პიროვნებასთან. პასუხობს — რა თქმა უნდა, გიცანით! არა, გამორიცხულია, ვერ გამოვუშვებ! მე გეუბნებით ეხლა პასუხებს, იქიდან ხომ არ მესმის, ვინ რას ეუბნება...

**თეა წულუკიანი:** — მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ **დათა ახალაია** ურეკავს უკვე საპატრულო პოლიციის თანამშრომელს.

**კახა დაბრუნდაშვილი:** — კი, კი, ამან ბორტის ნომერი მიაწოდა და რეკავს ეგრევე... **აუ, ნუ იმუქრები, კაცურადო!** — აი, ბოლო ეგ იყო და გათიშა ტელეფონი ამ პიროვნებამ. ამასობაში, ეს დომინანტი ბრუნდება ჩვენთან მანქანაში და მძღოლს ეუბნება — **„დავაი“, დროზე ახლა ეს ყველაფერი გაამზადე!** მანქანაში სანათური როა წინ, კარები რომ იღება და რომ ანათებს, ამან ეს ჩამოწია და რამდენიმე აბი ნარკოტიკი ჩამოიღო იქიდან. უკვეო? როცა მე გეტყვი, მერეო! ანუ უკვე ჩავუდოთო თუ... ეგ საუბარი იყო. ბიჭო, მე როცა გეტყვი, მერეო! — აი, ზუსტად ასე.

ახლა რატომ ვამბობ, პატივცემულებო, რომ მე იმ ადამიანს მთელი ცხოვრება მადლობას ვუხდი-თქო. არავითარი არც მუქარით, არაფრით ამან თავისი პოზიციები არ დათმო და ახლა ხდება საოცრება — აი, ყველა, ვინც კი იმ ორ მანქანაში იყო, ეს კონსტიტუციურის ე.წ. თანამშრომლები... ეს პიროვნება, უფროსი, ავალებს მეორეს, ალბათ, თავის თანაშემწეს — ყველას დოკუმენტი კაპოტზე და ამომიწერე ყველას ნომრებიო! და შეასრულა. აი, ამან გადაგვარჩინა ჩვენ.

**თეა წულუკიანი:** — საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა.

**კახა დაბრუნდაშვილი:** —

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



რა ქნას ხელისუფლებამ, **ოპოზიციის გაქრობის შიშით** დამნაშავეებს პასუხი არ აგებინოს?!

„კვირის პალიტრა“

**გოგიტა მეურცხვალიძე**
*შშ პირის მშობელი*



2006 წელი იყო. **სანდრა რულოვსს** ოფისი ჰქონდა გახსნილი მეტრო „რუსთაველის“ თავზე, კოსტავას ეზოსთან ახლოს. ოფისს ერქვა — **საქველმოქმედო ფონდი „სოკო“.** გაჭირვება რას არ გაგაკეთებინებს და გადავწყვიტე **სანდრა რულოვსთან** მისვლა. რომ მოვუყევი ჩემი მდგომარეობა და ვუთხარი, **ძვირადღირებული ოპერაციისთვის ვემზადებით-მეთქი,** ქალბატონმა გადაკვრით, თუმცა, გასაგებად მითხრა: **შენ ვერ შეძლებ ამ ბავშვის მოვლასო;** აშკარად კი შემომთავაზა: **ჩემს ამერიკელ მეგობრებს სურთ ინვალიდი ბავშვის აყვანა და თუ თანახმა იქნები, მივაშვილოთ შენი ბიჭი, რომელშიც 15 ათას დოლარს გადაგიხდიო.** მაშინ ჩემი **ჯაბა** 14 წლის იყო. 14 წლის ჭაბუკის შვილება რისთვის შეიძლება უნდოდეს ადამიანს თუ არა **ექსპერიმენტებისთვის ან ორგანოების გამოყენებისთვის?** დიდი ეჭვი მაქვს, რომ **ჩემი შვილი შავი ტრანსპლანტაციისთვის სჭირდებოდათ** და არა — ფუფუნებაში საცხოვრებლად. ისე გავმწარდი, აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, ენა ჩამივარდა, პასუხიც ვერ დავუბრუნე, რადგან დახმარების ნაცვლად, **ქალმა, რომელიც მაშინ უკვე ორი შვილის დედა იყო, შვილის შავ ბაზარზე გაყიდვა შემომთავაზა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“,

**მაია ნიკოლეიშვილი**
*სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი*



დიახ, **ნაცები უნდა აიკრძალონ** ისევე, როგორც ფაშიზმი!

„საერთო გაზეთი“

**არჩილ გამზარდია**
*პოლიტოლოგი*



ივანიშვილი უფრო **რთული პოლიტიკური მოთამაშეა,** ვიდრე მთლიანი ოპოზიცია ერთად აღებული.

„ახალი თაობა“

დასაწყისი მე-6 გვერდზე




კახა დაბრუნდაშვილი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე. 2025 წლის 3 აპრილი

# ჩვენება, რომელმაც

## „ვამეხმა თვალი დაკარგა, გაგვანახევრეს, რა, ხალხო, კარგად გამიგეთ, გაგვანახევრეს! მე გავხდი პირველი ჯგუფის ინვალიდი, შეძენილი ეპილეფსია მაქვს, გულყრები. ვამეხს ჯანმრთელობა აქვს მომსპარი!“

მეორე დღისთვის ის აღარ იყო არავინ, ამასაც გეტყვით.

**სოზარ სუბარი:** — ვერ გავიგე, რას ნიშნავს, არავინ არ იყო?

**თეა წულუკიანი:** — დასაჯეს!

**კახა დაბრუნდაშვილი:** — დასაჯეს!

**სოზარ სუბარი:** — პატრულის თანამშრომელი? გაუშვეს სამსახურიდან ანუ, ხომ?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — კი! ამის შემდგომ ეს საბუთები, როგორც ამან უბრძანა, ამოწერეს ყველაფერი, ეს ჩვენი მანქანის ლიდერი ამას თან ვერც უბედავს, რომ პირდაპირ ეკონტაქტოს. ამაზე იმანაც იმოქმედა, იმან **დათასთან** როგორ ისაუბრა. ამის გასაგონად თავისიანებთან საუბრობს — ბიჭო, ეს აზრზე არ არის, სად გაყო თავიო! ბოლოს უკვე, რომ გაგრძელდა ამის გადარტყმითი მუქარები, ეს პიროვნება მოდის მანქანასთან — **შენ ახლა გაჩერდები თუ ხელბორკილები დაგადოო!** მაპატიეთ, ეს გამომრჩა — **სპეცოპერაცია რაში მდგომარეობსო, დაინტერესდა, რა სპეცოპერაციას ატარებთო?** — ამას ვერ გეტყვითო, კონფიდენციალურიაო.

**თეა წულუკიანი:** — ბოდიში, თქვენ ამ დროს ისევ თავი გაქვთ...

**კახა დაბრუნდაშვილი:** — კი, კი, კი, კი.

**თეა წულუკიანი:** — და ამას ხედავს, სავარაუდოდ, ის პატრულის თანამშრომელი.

**კახა დაბრუნდაშვილი:** — მოვიდა მანქანასთან, არ უშვებდნენ, მაგრამ მოვიდა მანქანასთან.

**თეა წულუკიანი:** — და ჩაიხედა მანქანაში.

**კახა დაბრუნდაშვილი:** — ჩაიხედა და ბოლოს ასეთ რამეს ეუბნება — **კარგით, სპეცოპერაციას ატარებთ, კოჯორში კონსტიტუციურს რომელი განყოფილება აქვს, ერთი მითხარითო, რა გინდათ კოჯორშიო?!** ახლა ამ ორ დაკავებულს გადმომიჯენთ მე მანქანაში, მე გამოგყვებით და მე წამოვიყვან, სადაც მიგყავთო. ნუ, ამაზე ატყდა ერთი ამბავი, აქეთ, იქით და არ დაგვთმეს. კიდევ ზარი განმეორდა ამ პიროვნებასთან, მერე ერთმანეთში საუბრობდნენ ეს პატრულის თანამშრომლები და, ბოლოს და ბოლოს, გაგვიშვეს.

ავდივართ... მოგეხსენებათ, **ბირბვლიანი,** ცხონებული, სადაც აწამეს, მივყავართ ზუსტად იმ ადგილზე.

**თეა წულუკიანი:** — სასაფლაოზე, ოქროყანაში.

**კახა დაბრუნდაშვილი:** — დიახ, ოქროყანის სასაფლაოზე. მივყავართ ზუსტად იმ ადგილზე და მანქანა რომ ჩერდება, გვიტარებენ ასეთ ინსტრუქციას: **ახლა, აი, ამ მდგომარეობაში, როგორც ხართ, სირბილით გამოგვყვებითო!** უკვე იქ ადგილზე **მელნიკოვი** გამოგვეცხადა და გასცა ბრძანება — **ეს ქვემოთ, ეს აქ გყავდეთ, სანამ მე არ გეტყვით!** ვამეხი, ასე მოხრილ მდგომარეობაში, ორს უკავია და სირბილით... პატარა ხევია იქ და მიჰყავთ იმ მიმართულებით. მე უცბად უკნიდან ფეხებში მხვდება, ვიკეცები, მერე — კეფაში, ვვარდები მიწაზე, მადგამს მუხლს ზურგზე და იარაღს მაბჯენს კისერზე.

**თეა წულუკიანი:** — მელნიკოვი?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — არა, ვინც მანქანიდან გადმომიყვანა. **მელნიკოვმა** მარტო ბრძანება გასცა... მარტო ბრძანება არა... ვამეხი რომ გაატარეს, ერთგვარი კორიდორი მოუწყეს, წიხლის ჩარტყმა და... შენი ვითომ ძველი ბიჭი დედა... და ნუ, ასეთი გინებებით და ფიზიკური შეურაცხყოფებით ჩაიყვანეს ვამეხი დაბლა.

**თეა წულუკიანი:** — ეს რომელი საათია?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — უკვე სადღაც 5-6 საათისკენ არის ეს, რა.

**თეა წულუკიანი:** — დღის ბოლოს, დღის მეორე ნახევარში.

**კახა დაბრუნდაშვილი:** — კი. ჩემზე ეუბნება **მელნიკოვი,** რომ ამას ჯერ არაფერიო, გყავდეს ესე, სანამ მე არ გეტყვიო! ნუ, ჩემთან დარჩა სამი პიროვნება და დანარჩენი დაიძრა ხევისკენ, საითაც ვამეხი წაიყვანეს. აი, აბსოლუტურად ყველაფერი მესმოდა, ყველა დარტყმა, ყველა გინება, რაც იქ ხდებოდა, მოკლედ. რომ ვიწექი, სახე ხომ მედო დაბლა იმ მიწაზე, სახის მხარე შევცვალე და ამაზე შემდგნენ, ანუ როგორ გავბედე, რომ თავი შევაბრუნე. ესენი მირტყამენ და ამ ჩემი ცემის დროს ამოდის **მელნიკოვი** და იგინება რაღაც საშინლად ამათ მიმართ — მე თქვენ რა გითხარით, თქვენი... მე გითხარით, რომ ხელი დააკარეთო? რამდენიმე წუთი ამათი გინება გაგრძელდა და **„დავაი“, ახლა ეს წამოიყვანეთ დაბლაო!** — გასცა ბრძანება.

მეც ვამეხის გზით ჩამიყვანეს და ვხედავ სურათს — ვამეხი მუხლებზე გდია. აი, წარმოიდგინეთ, რომ თვალების ადგილზე აი, „ბრიტვა“ რომ გაუსვა ადამიანს და მარტო ის ხაზი როა. **აი, ნაცემიც მინახია, ყველაფერი, მაგრამ ეგეთი არაფერი მინახია, რა.** აი, გარწმუნებთ, რომ ვერც თქვენ ვერ წარმოიდგენთ ეხლა იმას, რასაც მე გეუბნებით, **ეს უნდა გენახათ, სწორად გამიგეთ, რა.** პირველი ჩემი რეაქცია რაც იყო, მაისური გავიხადე და მივედი და სისხლებს ვწმინდავ, რა. ეს ვეღარც ხედავს, ვეღარც ლაპარაკობს, სისხლები სდის პირიდან, ყურიდან, თვალიდან... **თვალი დაკარგა, სხვათაშორის. თვალი ამოუგდეს.** ვამეხი არის მოთავსებული... მოთავსებული ახლა ლამაზად ნათქვამია... დაჩოქილი და ვამეხის უკან არის ხევი. ორი ვერზილა უდგას. არის ერთი 40 სული, რომ არ შევცდე, თუ მეტი არა. ვამეხი ერთს უკავია თმებით და მეორე განუწყვეტლივ ურტყამს. ბოლოს, ეტყობა, ხელი ეტკინა თუ რაღაც, გადაიხვია მაისური თუ სპორტული და მერე იმით ურტყამდა. რომ მივვარდი და სისხლის მოწმენდა დავუწყე, რას შვრებით, კლავთ-მეთქი?! ეს იყო და უკვე მე დამიწყეს ცემა.

მოპირდაპირედ არის პატარა ბექობი, შემაღლება, სადაც დგანან პატივცემული დავითი — **დათა ახალაია,** ხელმარჯვნივ გვერდს უმშვენებს **მელნიკოვი** და ხელმარცხნივ — **ალანია.**

**თეა წულუკიანი:** — საზოგადოებისთვის განვმარტავ: **დათა ახალაია, გერონტი ალანია და ოლეგ მელნიკოვი,** ზოგიერთმა ახალგაზრდამ შეიძლება, არ იცოდეს, **არიან იმ დროს კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი პირები, მაღალჩინოსნები, რომლებსაც ამ დროს ოკუპირებულ საქართველოში აბარიათ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება.** ეს იგივე ხევია, სადაც **სანდრო გირგვლიანი** აღმოჩნდება თქვენ შემდეგ ოთხი თვის თავზე, 2006 წლის იანვრის ბოლოს და **სტრასბურგის სასამართლოში როდესაც ეს საქმე შემოვა, იქ წერია, რომ სანდრო გირგვლიანი, თურმე, ამ ხევში თავისით აღმოჩნდა, ეკალ-ბარდებზე გადაიჩეხა... ქალბატონი თინა ბურჯალიანი, ზურაბ ადეიშვილის, ანუ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, რომელიც სტრასბურგში ჩამობრძანდა და წარდგა სასამართლოს წინაშე, მე ვიყავი ამის მოწმე, იქ ვმუშაობდი, ამტკიცებდა ისე, რომ არ რცხვენოდა, რომ, თურმე, მაყვლის ეკალ-ბარდებზე გადაიჩეხა, აი, ამ ხევში, სადაც თქვენ ყვებით, რომ ოთხი თვით ადრე გაგისწორდნენ ფიზიკურად, გადაჩეხილა სანდრო გირგვლიანი და ასე მიაყენა თავის თავს უნებლიეთ ის ჭრილობები, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია.**

**კახა დაბრუნდაშვილი:** — ქალბატონო თეა, მე და არამარტო მე, ვთვლი, რომ მთელი საქართველო თქვენი უდიდესი მადლიერი უნდა იყოს, თქვენ სტრასბურგში ყველაფერი ეს სიმართლე მართლა აი, ზედაპირზე ამოიტანეთ. ეს თქვენი დამსახურებაა და ამაზე მე მადლობას გიხდით გულწრფელად.

ეხლა რა ხდება... ჩემი ცემა შეაწყვეტინა **ახალაიამ** და თან, ცინიკური ღიმილით — რა თქვაო, ბიჭო, მაგან მოკვლასთან დაკავშირებითო? ვისაც ჰკითხა, არ დავაცადე და მე ვუპასუხე ისევ — **ხო, რა ვიცი, მოსაკლავად მოგვიყვანეთ აქ-თქო?** ახლა იმ სიტყვებზე თავს შევიკავებ, რაც მიწოდა და **აბა, შენ რა გგონია, აქედან სახლში ცოცხალი მიხვალო?** ამ ორს ჟესტიკულაციით ანიშნა, რომ მოგვშორებოდნენ და მოგვშორდნენ კიდეც, აიწივნენ ამ ბექობზე და დაუდგნენ შეფს გვერდით. ამ დროს **დათა ახალაია** პიჯაკს წევს, იღებს იარაღს, ტენის და იწყებს აი, ესეთ თამაშს: ხან მე მომიშვერს, ხან — ვამეხს,

ხან მე მომიშვერს, ხან — ვამეხს... ეს გრძელდება 2-3 წუთი და თან, იცინის — **ჰა, ბიჭო, მე თქვენი დედა... ჰა, რომელი პირველი?** და აი, ჩემი დაუყოვნებელი კითხვა — **ანუ გვხოცავთ? — ეს მართლა დებილია ეს დედამო... თუ თავს იდებილებს?** — ეკითხება **მელნიკოვს** ჩემი კითხვის მერე. ნუ, „ვსიო“, გასაგებია! — მე ვუთხარი — **მაშინ პირველი მე მესროლეთ-მეთქი!** მიყურებს — **გაიმეორე, რა თქვიო!** დავრწმუნდი, რომ გვხოცავთ — **მე ვუთხარი — და პირველი მე მესროლეთ-მეთქი!** — **რატომ შენო?** მე ვუთხარი — **ფაქტია, თქვენი თვალით ხედავთ, რომ ეს ვერც ვერაფერს დაინახავს და ვერც ვერაფერს გაიგებს. ჩემი ბავშვობის მეგობრის... პლუს ამას, ჩემი შვილის ნათლიაა ვამეხი... ჩემი ძმაკაცის, ჩემი ნათელმირონის სიკვდილს ნუ მაყურებინებთ მე-მეთქი, თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ჯერ მე მესროლეთ და მერე — ამას, აზრი თქვენთვის ხო არა აქვს! — შენ, ბიჭო, ახლა ამას მართლა იძახიო?** ჩამეცინა და — **სხვა გზა მაქვს?** — მე ვუთხარი. წევს ანალოგიურად პიჯაკს, იღებს იარაღს და აი, ესეთ ჟესტს აკეთებს ორი თითით ***(კახა დაბრუნდაშვილი** დათა ახალაიას მოქმედების საილუსტრაციოდ ორ თითს მაღლა სწევს და ჰაერში რამდენჯერმე წრიულად ატრიალებს. რედ.)*, ბრუნდებიან და იწყებენ სვლას გზისკენ და ეს ამალა მიჰყვება.

ამ დროს ვამეხს ვეუბნები — **ვამეხ, მიდიან-მეთქი, მიდიან...** არა, არა დაგვხოცავენ, გაიქეცი, გეხვეწები, გაიქეცი! *(კახა დაბრუნდაშვილი ამას ამბობს ჩლიფინის მსგავსი ინტონაციით, რათა გადმოსცეს მე-*

## კვირგვინოსნები

**ზაზა ვათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



„ქართულმა ოცნებამ“ **იდეალურად წარმართა გასული 4 წელიწადი,** პრაქტიკულად, **გაანადგურა ოპოზიცია, ანუ დიფ სთეითის აგენტურა,** საზოგადოების უდიდეს ნაწილს გააგებინა სიმართლე, რომ **დიფ სთეითისგან მართული დასავლური სტრუქტურები არა** — საქართველოს დახმარებით, არამედ ქვეყნის არევისა და **რევოლუციის მოწყობის გამუდმებული მცდელობით არიან დაკავებული.** ახალმა ადმინისტრაციამ „ქართულ ოცნებას“ ხელი რომ გაუწოდოს, **აგენტურა საბოლოოდ უნდა გაანადგუროს,** რასაც, ბუნებრივია, დიფ სთეითი არ დაუშვებს. ამავდროულად, **„ქართული ოცნება“ ახლა იმდენად არის მოძლიერებული,** რომ მასზე თავდასხმაც დღეს სრულიად კონტრპროდუქტიული იქნებოდა. სწორედ ამიტომ რჩება ამერიკის ახალი ადმინისტრაცია დუმილის რეჟიმში.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მირიან მირიანაშვილი**
*ექსპერტი*



ნაცმოძრაობასა და მის სატელიტ პარტიებს ხელისუფლების წლების განმავლობაში მშვენივრად იყენებდა **პოლიტიკური ბუას როლში** და ისინი „ქართულ ოცნებას“ **ძალაუფლების შენარჩუნებაში** ძალიან გამოადგნენ.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



**სალომე ზურაბიშვილი,** მეუღლესთან ერთად, რომელიც იყო მისი შვილის ნათლია, **ზვიად გამსახურდიას აძაგებდა.** ეს ქალბატონი **არ უნდა მოინათლოს და ვერ მოინათლება პატრიოტად.**

„რეზონანსი“

**დავით ქიქნაძე**
*პარტია „ტრიბუნის“ თავმჯდომარე*



„ოცნება“ **ზვიად გამსახურდიას მკვლელობას რატომ არ იძიებს,** არ აწყობს?!

„ახალი თაობა“





დათა ახალაია, ოლეგ მელნიკოვი, გერონტი (გია) ალანია

# საქართველო შეძრა!

## „დათა ახალაია პიჯაკს წევს, იღებს იარაღს, ტენის და იწყებს აი, ესეთ თამაშს: ხან მე მომიშვერს, ხან – ვამეხს, ხან მე მომიშვერს, ხან – ვამეხს... ეს გრძელდება 2–3 წუთი და თან, იცინის – ჰა, ბიჭო, მე თქვენი დედა... ჰა, რომელი პირველი?“

*გობრის მდგომარეობა, რომელსაც ცემისაგან კბილები ჰქონდა ჩამსხვრეული და ლაპარაკს ძლივს ახერხებდა. რედ.).*

**თეა წულუკიანი:** — ჩამტვრეული აქვს კბილები და ვერ საუბრობს.

**კახა დაბრუნდაშვილი:** — მეც! მე კბილი არ დამიტოვეს, სულ იარაღის ტარით მაქვს ჩალეწილი კბილები. ვამეხი, გარდა იმისა, რომ მე მეხვეწებოდა — გაიქეცი, თავს უშველეო, სხვას ვერაც აკეთებდა ვერაფერს და ვერც ამბობდა, ანუ იყო აგონიაში, რასაც ჰქვია, რა.

**თეა წულუკიანი:** — ამ დროს თქვენ ხედავთ, რომ მას თვალი ამოვარდნილი აქვს თუ მერე დაკარგა?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — არა, ეს ვერ დავინახე... თავს დაბლა ხელი არავის დაუკარებია ჩვენთვის, გვირტყამდნენ სულ თავში. ვამშვიდებ — ვამეხ, კაი, დაწყნარდი, ნუ გეშინია, როგორ მიგატოვებ, სად გავიქცე... უკვე შებინდებულია და ავტომობილის ფარებს ვატყობ, როგზისკენ ნათება უხვევს და გადიან. კიდევ გამომრჩა: **დათა, მელნიკოვი** და ეს **ალანია** რომ წავიდნენ, ერთი 50 მეტრით რომ გაგვშორდნენ ჩვენ, ჩერდებიან, **დათა** უბრუნდება **მელნიკოვს,** რაღაცას ეუბნება, ავალებს და **მელნიკოვი** მოდის ჩვენკენ. აი, იქ კი ვიფიქრე, რომ „ვსიო“... შუაგზაგამოვლილზე ხელი მიაქვს უკან და ორ შვილს ვფიცავარ, ვამეხის თავი მოვიხუტე მარტო და „ვსიო“, ველოდები ეხლა, რაც უნდა მოხდეს. მოდის **მელნიკოვი,** ჩვენდა საბედნიეროდ, იღებს ჯიბიდან საფულეს და არა — იარაღს. **ეხლა კარგად მომისმინე შენო, იმიტომ, რომ ამას არაფერი არ ესმისო და იმედია, ვერც ვერასდროს გაიგებსო...** სიტყვასიტყვით... დაიწყო ჩემით, მთელი ჩემი ოჯახი დამისახელა, ორი შვილი, მეუღლე, ყველა... **არავითარი საავადმყოფო — გაფრთხილებას გვაძლევს — არავითარი პოლიცია, ანუ სახლის იქით ნაბიჯი და აი, ისჯებით როგორ, ამოგწყვიტავთ ოჯახებიანად! მე მეუბნება — შენ „იმენნა“ ბოლოს გაგიხვრიტავ თავსო, გაყურებინებ, ყველა ოჯახის წევრს როგორ ამოგიწყვიტავო და მერე შენ დაგაკლავ ზედო!** იგივე მოელის ამასაც, თუ იცოცხლაო! არ ვიცი რატომ, იღებს (მაშინ ორლარიანი კუპიურები იყო) ორ ცალ ორლარიან კუპიურას და თავზე გვაყრის.

**თეა წულუკიანი:** — ოთხი ლარი.

**კახა დაბრუნდაშვილი:** — ოთხი ლარი! *(ეცინება. რედ.)* ალბათ, ახლაც იქ ყრია ის ოთხი ლარი, ვერ გეტყვით... მერე ვამეხი 2 წუთით დავტოვე... კი მერიდება, მაგრამ ნუ, ეგრეა ახლა, სიკვდილი არავის არ უნდა... ხოხვით, ფორთხვით ავედი, რომ დამეთვალიერებინა, მართლა ყველა წავიდა თუ არა. დავრწმუნდი, დავბრუნდი უკან, ვამეხს ჯერ უკნიდან შემოვუდექი... ტანმაღალი ბიჭია, იღლიებში ხელები გამოვუყარე და 5-6 მეტრი, რასაც ჰქვია, გამოვათრიე, მაგრამ არ გამოვა ესე-მეთქი... წინიდან მოვუარე, დავიჩოქე, ზურგით მივიწიე, ხელები გამოვაწევინე, მოვიკიდე ზურგზე და აი, მუხლებით ავედი ამ ბექობზე... პატარა ღელეა, გარშემო ნაძვებია და გზიდან „ვაბშე“ არაფერი არ ჩანს... ეს მაგათი ის იყო, რა, ადგილი...

**თეა წულუკიანი:** — კი, ეს ზუსტად ის ადგილია, სადაც დაიღუპა **სანდრო გირგვლიანი.**

**კახა დაბრუნდაშვილი:** — გზამდე გავიყვანე, მოკლედ, ვამეხი. უკვე სიბნელეა. გამვლელ მანქანებს ხელს ვუქნევ, ანელებენ და ვამეხს როგორც კი ხედავენ, ეგრევე სისწრაფე და გარბიან. რომ არ მოგატყუოთ, ერთი 15-20 წუთი ამ მდგომარეობაში ვიყავი. მერე ასეთი რამე მომაფიქრდა — ვამეხი, ისევ ზურგზე მოკიდებული, 15-20 მეტრით ქვემოთ ჩავიყვანე და გზის დამცავი ის რომ არის, იმაზე მივაყუდე. ეს მაისური, სისხლს რომ ვუწმინდავდი, შემოვაბრუნე, რომ სისხლი არ შეეტყოს, გადავიცვი და ავიწიე ცოტა ზევით, რომ მარტოს იქნებ მანქანა გამეჩერებინა. მოკლედ, რამდენიმე ხანში ჩერდება მართლაც **(ვეხსომები ეხლა და თუ გვიყურებენ, მათაც უდიდეს მადლობას ვუხდი),** სამი ასაკიანი მამაკაცი აჩერებს და — რა არი, შვილო, ავარია მოგივიდაო? ტყუილი ვთქვი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, კი — მე ვუთხარი. მანქანაო? მანქანა — მე ვუთხარი — არ მაინტერესებს, მეგობარი მყავს ძალიან ცუდად, ცოტა ქვევით არის, ვერ დგას ფეხზე-თქო. მოკლედ, ამ დალოცვილმა ხალხმა წინა სავარძელი გადაწია, ვამეხი თავის ხელით ჩააწვინეს მანქანაში...

**თეა წულუკიანი:** — ალბათ, მიხვდნენ, რომ ავარიასთან არ იყო საქმე.

**კახა დაბრუნდაშვილი:** — არა, ბოლომდე არაფერი არ მითქვია და ვამეხი საერთოდ ვერ საუბრობდა. ეს კაცი მეკითხება — სად ცხოვრობ, შვილო? აი, სოლოლაკში — მე ვუთხარი — ძია, ჩავალთ თუ არა... არა, შვილო, მანძილზე არ არის, სადაც არ უნდა იყოს, ყველგან წაგიყვან... საავადმყოფოშიო... აი, საავადმყოფოს თქმა იყო და, აპ, გამორიცხე — მე ვუთხარი. რატომო, შვილო? ძებნილია — მე ვუთხარი — და საავადმყოფოში ვერ მივიყვან-მეთქი. კარგიო, შვილო, როგორც შენ იტყვიო და მიმიყვანეს ტაბიძეზე აი, ამ კეთილმა ხალხმა, მეოთხე სართულზე ვცხოვრობ და დამეხმარნენ, ამაყვანინეს სახლში და წავიდნენ თავის გზაზე.

ვამეხზე რაც შეგვეძლო, პირველადი... აი, ეს სისხლები და ესენი ჩამოვბანეთ, გამოვუცვალეთ... ვამეხი ვეღარც საუბრობს, ვეღარც მოძრაობს, ნუ, კიდევ ბევრი რაღაც ისეთი იყო, რომ ეხლა... მოკლედ, ვურეკავ ვამეხის დედას — **ქალბატონ მზიას,** გარდაიცვალა ის ქალბატონი. **მზია დეიდა — მე ვუთხარი — სასწრაფოდ უნდა მოხვიდეთ ჩემთან!** რა ხდება, შვილო? მზია დეიდა, ვერაფერს ვერ გეტყვით — მე ვუთხარი — **რომ მოხვალთ, ყველაფერს აქ აგიხსნით-მეთქი!** ცოცხალია? — აი, ერთი ეს... კი, კი მზია დეიდა — მე ვუთხარი — ცოცხალია, გელოდებით! წერეთელზე ცხოვრობენ და მართლაც წუთებში მოვიდნენ ქალბატონი მზია და ჩვენი კიდევ ერთი მეგობარი. ვამეხი რომ დაინახა, იქვე ჩაიკეცა, ანუ შვილი ვერ იცნო, წარმოგიდგენიათ? აი, ჩემ ორ შვილს ვფიცავარ, ვერ იცნო შვილი, დედამ შვილი ვერ იცნო, ისეთ დღეში იყო! მომვარდა მე — რა უქენითო? ანუ დაებინდა ქალბატონს, რა... რა უქენით ჩემ შვილს, ეს არ არის ჩემი შვილი! — კივის მხოლოდ ამას — მომიყვანეთ ჩემი ვამეხი! ნუ, ბოლოს დავამშვიდეთ ეს ქალბატონი და ავუხსენით სიტუაცია — მზია დეიდა, არავითარ შემთხვევაში არც საავადმყოფო, არც პოლიცია, არავითარი სტრუქტურა, გამორიცხეთ, თუ გინდათ, რომ თქვენი და ჩემი ოჯახიც ვიყოთ ცოცხლები! შენ რეებს მელაპარაკებიო? მზია დეიდა, ის ჩემი ორი თავის ბავშვი მაინც შეიცოდე — მე ვუთხარი — არ გააკეთო, გთხოვ!

**თეა წულუკიანი:** — ანუ დედა მოწოდებული იყო იქითკენ, რომ შვილი გადაარჩინოს!

**კახა დაბრუნდაშვილი:** — რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! სადღაც ერთი საათის მერე წაიყვანეს ვამეხი... მეორე დილით, არც ტელეფონი, არაფერი, მივდივარ წერეთელზე, ვამეხი უნდა ვნახო. „არკიდან“ ჩემი გასვლა და მარჯვენა მხრიდან ვიღაცა „პადრუჩკს“ მიყრის — **მე შენი ახვარი დედა და ოჯახი და ასე და ისე, მე შენ რა გაგაფრთხილე, ბიჭო!** რომ ავხედე — **მელნიკოვი.** რაზე მაყენებ შეურაცხყოფას, რა ხდება? — მე ვუთხარი. **არ იცი არა, შე ნაბოზვარო, რა ხდება, რა გინდოდათ საავადმყოფოშიო?!** რა საავადმყოფოში? — მე ვუთხარი.

**თეა წულუკიანი:** — კიდევ ერთხელ რომ ავხსნათ, ეს გახლავთ **ოლეგ მელნიკოვი** — **კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მაღალჩინოსანი, რომელსაც ამ დროს აბარია, დაიცვას სახელმწიფო უსაფრთხოება, უშიშროება უზრუნველყოს ჩვენს ქვეყანაში, რომ თქვენ მშვიდად იცხოვროთ. დათა ახალაია, რომელიც ხელმძღვანელი იყო ამ სამსახურის და 2012 წელს მოუწია გადადგომა, მისი მარჯვენა ხელია მელნიკოვი.**

**კახა დაბრუნდაშვილი:** — ამ მომენტში, ქალბატონო თეა, **ოლეგ მელნიკოვი** იცავდა დათას ინტერესებს ჩვენს მიმართ... ასე ჩავყავარ „პადრუჩკით“ და „გრუბად“ მიმათრევს, ასე რომ ვთქვათ. ვუხსნი, რომ რაღაცა გეშლებათ! და ამ „გეშლებათ“-ზე მიმახეთქა კედელზე. **ბიჭო, რესპუბლიკურ საავადმყოფოში არ იყავითო?** მე ვუთხარი — ახლა მომისმინე, სახლში რომ მოვედით, დავრეკე დედამისთან, მოვიდა დედა და გაავატანე თავის შვილი! თან მაგინებს! მე ვუთხარი — **გთხოვ, ნუ მაგინებ და თუ შეგიძლია, მომისმინე...** ახლა სად მიეთრევი? მე ვუთხარი — არ მივეთრევი, მივდივარ ტრანსპორტით წერეთელზე ვამეხის სანახავად! როგორც ჩანს, დაიჯერა, მაგრამ მაინც სიტყვა დამიტოვა — **მე ამაში ბოლომდე გავერკვევი და მერე მე ვიცი, რას ვიმოქმედებო, მიდი, „დავაი“, წაეთრიეო...** აი, ზუსტად ამ სიტყვებით.

ვაჩერებ ტაქსს, მივდივარ წერეთელზე ვამეხთან ოჯახში და... **მზია დეიდა, ხომ გთხოვე — მე ვუთხარი...** რაღაც ცოტა ამბიციური ქალბატონი იყო და — არ მინდა ახლა ეგ საუბარი, „ვსიო“, ახლა დაჯექი და ვინ იყვნენ, რა იყო, ვინ მიკლავს შვილსო? მზია დეიდა, არ ვიცი არაფერი, აი, ესე ქუჩიდან გაგვიტაცეს, ამ დღეში ჩაგვყარეს, აი, მეც ხომ ხედავ — მე ვუთხარი — კბილები აღარა მაქვს...

**ალექსანდრე ტაბატაძე:** — საავადმყოფოში იყო, მიმართა საავადმყოფოს?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — ახლა მაგას გეტყვით — **საავადმყოფოები აბსოლუტურად ყველა იყო გაფრთხილებული. მიმღებიდანვე გამოაბრუნეს.**

**თეა წულუკიანი:** — არ მიიღეს საავადმყოფოში! რომელ საავადმყოფოს მიმართა?

**კახა დაბრუნდაშვილი:** —

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

## კვირგვინოსნები



**ლევან მოზიჩაიშვილი**

*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრი*

რის თქმასაც ვერ გაბედავს კომისია, იმ სიმართლეს ჩვენ ვეტყვით საზოგადოებას. ვეტყვით იმას, რომ **ბესო ხარძიანის მოსამართლე,** რომელმაც უდანაშაულო ადამიანი ჩასვა ციხეში, არის **ლელა ნოზაძე** და ის **ივანიშვილმა გაამწესა უვადო მოსამართლედ.** ჩვენ ვეტყვით იმას, რომ **ჯემალ ლეონიძის მოსამართლე,** რომელმაც ის გააკოტრა, არის **ლაშა ქოჩიაშვილი** და **ივანიშვილმა უვადოდ დანიშნა უზენაეს სასამართლოში.** ჩვენ ვეტყვით იმას, რომ **ჯემალ ლეონიძის მოსამართლე,** რომელმაც ის ციხეში გაუშვა, არის **მზია ლომთათიძე** და **ის ბიძინამ დანიშნა უვადო მოსამართლედ.** ჩვენ ვეტყვით მოსახლეობას იმ სიმართლეს, რომ ფინანსური პოლიციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ქეთევან კვინიკაძე,** რომელიც არეკეტებდა ქართველ ბიზნესმენებს, **დღეს არის ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.** დამთავრდა ნახევარი სიმართლის დრო, სრული სიმართლის დრო დადგა.

„რეზონანსი“



**იაგო ხვიჩია**

*პარტია „გირჩის“ ლიდერი*

**დაიშალონ, დაანებონ თავი პოლიტიკას** და გზა დაუთმონ ახალ სახეებს. **ეს იქნებოდა ოპოზიციის დიდი ნაწილისთვის სწორი გამოსავალი.** როდისმე ხომ უნდა ითქვას, რომ **საარჩევნო კონსტრუქცია 4-5-9-25** ქოცების მიერ **ხალხის დამაჯერებლად მოტყუებისა** და მიშასთან ბრძოლის ფარგლებში შეიქმნა.

„საერთო გაზეთი“



**ნიკა გვარამია**

*პარტია „ახალის“ ლიდერი*

**წულუკიანის** „კომისიაზე“ მისული ნებისმიერი პირი **ივანიშვილის რეჟიმის მოკავშირეა.**

„ახალი თაობა“



**მურმან დუმბაძე**

*„ნაციონალური მოძრაობა — ერთობის“ წევრი*

**„ქართული ოცნება“** გუშინდელი **ნაციონალური მოძრაობაა!**

„ახალი თაობა“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

რესპუბლიკურს!

**თეა წულუკიანი:** — რესპუბლიკურს მიმართა, დედამ წაიყვანა შვილი და იქ გაფრთხილებული იყვნენ, რომ არ უნდა მიეღოთ!

**კახა დაბრუნდაშვილი:** — საკაცით შეიყვანეს და საკაცითვე კორიდორიდან გამოატანეს უკან, პირველადი დახმარებაც არ აღმოუჩინეს. თან, ექიმმა მოაძახა — **აზრი არა აქვს არცერთ საავადმყოფოში წაყვანას, ყველგან ეს სიტუაცია დაგხვდებათო!**

**თენგიზ შარმანაშვილი:** — რამდენადაც გავიგეთ, სასამართლო პროცესი გამართულა. თქვენ რასაც ყვებით, ეს ყველაფერი, ეს ფაქტები დადგენილია სასამართლოს მიერ?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — რა თქმა უნდა, დიახ!

**თეა წულუკიანი:** — ბატონი ვამეხი, რომელიც იყო მთავარი სამიზნე... მისი დღევანდელი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ რომ მოგვახსენოთ. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს საქმე გახსნილი იქნა და განაჩენიც არის დამდგარი დამნაშავეების მიმართ, თქვენ დაზარალებულის სტატუსი მოგენიჭათ და მოგეცათ სასამართლოში თქვენი სიმართლის დამტკიცების საშუალება. ეს რომ იცოდეს საზოგადოებამ, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობა ბატონი ვამეხის... ჩვენ მას ოფიციალური შეტყობინება აღარ გავუგზავნეთ, შევთავაზეთ მობრძანება და მისი წარსული მდგომარეობიდან გამომდინარე, არჩევანი მოგეცით — ან ერთი მობრძანებულიყავით, ან — მეორე. მან თქვა, რომ მის ინტერესს თქვენ გამოხატავდით, ამიტომ გეკითხებით — როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — ქალბატონო თეა, არამარტო ვამეხის... უფრო მეტად ვამეხის, იმიტომ, რომ **ვამეხმა თვალი დაკარგა, გაგვანახევრეს, რა, ხალხო, კარგად გამიგეთ, გაგვანახევრეს! მე გავხდი პირველი ჯგუფის ინვალიდი, შეძენილი ეპილეფსია მაქვს, გულყრები. ვამეხს ჯანმრთელობა აქვს მომსპარი.** ნამდვილად არ გვეგონა, თუ საერთოდ გაივლიდა.

**ალექსანდრე ტაბატაძე:** — რატომ მოხდა ეს ყველაფერი? რატომ იყავით თქვენ სამიზნე?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — **ამ ყველაფრის მიზეზი იყო ვამეხის მეგობარი გოგონა. სახელს არ დავასახელებ.** ვამეხი და მისი მეგობარი გოგონა იყვნენ სიღნაღში, ორდღიანი ტური გააკეთეს, წავიდნენ დასასვენებლად. ღამის 3-4 საათზე ამ გოგონას ტელეფონზე შემოდის ზარი. გოგონას სძინავს და პასუხობს ვამეხი. იქიდან მამაკაცის ხმა — ბიჭო, შენ ვინა ხარ, ერთი ეგ დამალაპარაკე! სად რეკავ? — პირველი კითხვა ვამეხის. ბიჭო, სადაც ვრეკავ, ძალიან კარგად იცი, დამალაპარაკე! **აქ მოხდა უკვე უშვერი სიტყვებით ლანძღვა. დღეები ითვალე, მე შენი ასე და ისე! — და გათიშა ტელეფონი.** აი, ეს იყო მიზეზი. ამის მერე რაღაც პერიოდი გაიყვანეს, 2-3 თვე და აი, ასე შეგვისრულეს, რა.

**ალექსანდრე ტაბატაძე:** — და ვინ იყო ამ ტელეფონის ზარის ავტორი?

**კახა დაბრუნდაშვილი:** — **დათა ახალაია! ამ დათა ახალაიას 6-7 წლით ადრე ჰქონდა ამ გოგონასთან ურთიერთობა და ეგ ხო ეგეთი ავადმყოფია, რომ სიმთვრალეში ახსენდება ყველაფერი.** რომელიღაც რესტორნიდან მთვრალმა, ნაბახუსევმა მოინდომა ქალბატონი და ურეკავს, ხვდება ვამეხი ტელეფონზე და ხდება ეს შელაპარაკება.

*გამოკითხვის დასასრულს **კახა დაბრუნდაშვილმა** კომისიას სთხოვა, მოკლე განცხადების გაკეთების საშუალება მიეცათ, რაზეც **თეა წულუკიანისაგან** თანხმობა მიიღო და განაცხადა:*

— მივმართავ ფართო საზოგადოებას, დავიწყებ ახალგაზრდებით, რომლებიც იმ წლებში ბავშვები იყვნენ — **ხალხო, აი, ახლა ჩემ მონაყოლს ვინც უსმენთ, უბრალოდ, თქვენი არავისი არ მესმის, აი, ამათ უდგახართ გვერდით, ჩემამდე არ დადის! მინდა, ყველას მოვუწოდო, გონს მოეგონ ეს ტვინგამორეცხილები, მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის. ესენი არიან ის ხალხი, ვინც გაგებაში არ არის, ვის უდგანან გვერდში, რა. ქვეყნის დამღუპველებს, ხალხო!** ადამიანის მოკვლა შეეძლოთ ისე, როგორც, აი... და ეხლა, დარწმუნებული ვარ, ალესილები არიან! ეგენი რომ ახლა... გაწყვიტავენ მთელ საქართველოს! **მე მინდა, ყველას მივმართო, ცოტა გონს მოეგეთ, რა!** აი, ეს ისტორიები, რასაც ჩემგან ისმენთ, რაც ჩემამდე მოისმინეთ, რასაც ჩემს მერე მოისმინეთ კიდევ, გაიაზრეთ, ხალხო, ცოტა ანალიზი გაუკეთეთ საკუთარ ტვინში. **ჩემი კეთილი სურვილი იქნება, რომ ყველა გონს მოეგოს, იმ მხარეზე მაქვს საუბარი, იმიტომ, რომ ეს კარგად არ დამთავრდება არც მაგათთვის.** მაგათაც იყენებენ, ეს არის საზარბაზნე ხორცი!


კახა დაბრუნდაშვილი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე. 2025 წლის 3 აპრილი

## ბოლოთქმა

**სააკაშვილ-ახალაიების** რეჟიმის ერთ-ერთმა ყველაზე სახელგავარდნილმა ჯალათმა **ოლეგ მელნიკოვმა,** არაერთი სხვა ნაცდამნაშავის მსგავსად, საქართველოდან გაქცევის შემდეგ თავი უკრაინას შეაფარა. **მისი თბილისში ექსტრადირება 2013 წლის სექტემბრის ბოლოს მოხდა, 2014 წლის დეკემბერში კი ციხიდან საპროცესო გარიგების საფუძველზე გაათავისუფლეს, რადგან სანდრო გირგვლიანისა და სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურატურასთან ითანამშრომლა, აღიარებითი ჩვენებები მისცა და ძალოვანი სტრუქტურების არაერთი ყოფილი მაღალჩინოსანი ამხილა.**

რაც შეეხებათ **დათა ახალაიასა და გერონტი ალანიას,** რომლებიც სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე დაუსწრებლად არიან მსჯავრდებული, **მათი საქართველოში ექსტრადირება დღემდე არ მომხდარა!**

დღემდე არ მომხდარა ნაციონალური მოძრაობის, როგორც მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი პარტიის, სისტემური გასამართლება და **კონსტიტუციური აკრძალვაც, თუმცა, ახლა საქმე სწორედ აქეთკენ მიდის და იმედია, არაერთი წინა შემთხვევის მსგავსად, შუა გზაში არ გაჩერდება.**

არადა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ნაცმოძრაობის, როგორც დანაშაულებრივი ბანდის, გასამართლებასა და აკრძალვას მარტო **კახა დაბრუნდაშვილისა და ვამეხ აბულაშვილის** შემაძრწუნებელი ისტორიაც ეყოფა!

# ჩვენება, რომელმაც საქართველო შეძრა!

> **„ქალბატონო თეა, მე და არამარტო მე, ვთვლი, რომ მთელი საქართველო თქვენი უდიდესი მადლიერი უნდა იყოს, თქვენ სტრასბურგში ყველაფერი ეს სიმართლე მართლა აი, ზედაპირზე ამოიტანეთ. ეს თქვენი დამსახურებაა და ამაზე მე მადლობას გიხდით გულწრფელად!“**




პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის — **თეა წულუკიანის** **პროფესიონალიზმი, პრინციპულობა და შეუპოვრობა იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ ქართული „ნიურნბერგის პროცესი“ ლოგიკური და სამართლიანი შედეგით — ნაცმოძრაობის გასამართლებითა და პოლიტიკიდან ამოძირკვით დასრულდება!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*



**შეიძლება აგვკრძალონ, შეიძლება ვიღაცები დაიჭირონ, მოღალატეებად გამოაცხადონ,** მოკლედ, ათასი სიბინძურე დაგვაბრალონ, მაგრამ **ამათი ბოლოც იქნება ზუსტად ისეთი და იმაზე უარესი, ვიდრე წინა მთავრობას ჰქონდა.**

„ახალი თაობა“

**დავით ზარდიაშვილი**
*ანალიტიკოსი*



მიუხედავად იმისა, **რა იყო სააკაშვილის მოტივი აგვისტოს ომში** — ავანტიურა თუ უცხო ქვეყნის დავალებით მოქმედება, ფაქტია, **ეს იყო ღალატი,** ამაში იყო მისი უშუალო ბრალეულობა, რაც დამთავრდა ქვეყნის **სამხედრო-პოლიტიკური კრახით** და სამკვიდროს დაკარგვით.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზვიად შალამბერიძე**
*პარლამენტარი*



**იმ „ერთობას“,** რაც შეიძლება **იყოს სალომე ზურაბიშვილთან ერთად** ან პოლიტიკური გაერთიანების მეშვეობით, **პერსპექტივა არა აქვს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# კახა კახიშვილი:

# კარგი იქნება, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ იმ ადამიანების გაშიფვრაც დაიწყოს, რომლებმაც, თავის დროზე, მსგავსი კომისიის შექმნასა და სამართლიანობის აღდგენას „ქართული ოცნების“ შიგნიდანვე შეუშალეს ხელი!



***სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი და საქართველოს პარლამენტის ექს-დეპუტატი კახა კახიშვილი სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის მუშაობას ეხმიანება:***

— საქართველოს პარლამენტში საგამოძიებო კომისია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან უმოკლეს ვადაში — 2013 წელს რომ შექმნილიყო, მის მუშაობას გაცილებით უფრო დიდი ეფექტი ექნებოდა და სისტემური დანაშაულის ჩამდენთა პასუხისგებაში მიცემაც არ გაჭირდებოდა. აკი, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საზოგადოების უდიდესი ნაწილის, უპირველეს ყოვლისა კი, დაუნდობელი რეპრესიული მანქანის მიერ დაზარალებულ მოქალაქეთა უმთავრესი მოთხოვნა სწორედ სამართლიანობის აღდგენა იყო.

**— მიგაჩნიათ, რომ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა დაგვიანებულია და მის მუშაობას რეალური შედეგი არ მოჰყვება?**

— დღეს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მუშაობა მნიშვნელოვანია თუნდაც იმ კუთხით, რომ ჩვენი საზოგადოების ნაწილმა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში არ უცხოვრია ან არ ახსოვს, რა უბედურება ტრიალებდა მაშინ ქვეყანაში, გაიგოს და გაიხსენოს, როგორი ჯოჯოხეთი გამოიარა ქართველმა ხალხმა 2004-2012 წლებში.

ფაქტია, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა დაივიწყა ის საშინელი მანქანა, რომელიც ადამიანის დასაჩაგრად, გასატეხად, ღირსების შესალახად და როგორც ფიზიკური, ისე მორალური განადგურებისათვის იყო შექმნილი. ამიტომაც

**რეპრესიული სისტემის შემოქმედნი კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნებას ცდილობენ და ზუსტად იმ ახალგაზრდა თაობის იმედი აქვთ, რომელმაც არ იცის ან არ ახსოვს, რა ხდებოდა ნაცების მმართველობის დროს.**

**— ახალგაზრდა თაობის ინფორმირება მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ საგამოძიებო კომისიის მუშაობის მთავარი შედეგი ხომ სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავეთა დასჯა უნდა იყოს?**

— საგამოძიებო კომისიის სხდომებზე უმძიმეს ისტორიებს ვისმენთ, მაგრამ **ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ ასეთი ბოროტების ჩამდენებს მთელი 12 წლის განმავლობაში საშუალება მიეცათ, მართლმსაჯულებისათვის თავი აერიდებინათ?** პირდაპირ ვაცხადებ, რომ ამაზე პასუხისმგებლობა ჩვენ გვეკისრება! დიახ, 12 წელია, ხელისუფლებაში ვართ და რა გავაკეთეთ იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც 12 წლის განმავლობაში სამართალი ვერ უპოვიათ?

თუნდაც იგივე გორის ბაზრის საკითხი ავიღოთ... ადამიანმა, რომელსაც ეს ბიზნესი 2004 წელს წაართვეს, ახლა საგამოძიებო კომისიაზე განაცხადა, რომ მისთვის წართმეული ქონება დღემდე გორის მერიის ბალანსზეა. **კი მაგრამ, ამდენი ხნის განმავლობაში რატომ არ დავუბრუნეთ ამ კაცს წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ ჩამორთმეული ქონება?** მარტო მძიმე ისტორიების მოსმენა და იმის ლაპარაკი — ნახეთ, რა საშინელებები ხდებოდა მაშინო, საკმარისი არ არის! იმ ადამიანებმა, რომლებიც დღეს საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობენ, უნდა იგრძნონ, რომ მათ მიერ მოყოლილი შემზარავი ისტორიები უდაბნოში მღაღადებლის ხმად არ დარჩება და სახელმწიფო რეალურად უზრუნველყოფს მათ მიმართ სამართლიანობის აღდგენას.

**— ამბობთ, რომ პარლამენტში საგამოძიებო კომისია ჯერ კიდევ 2013 წელს უნდა შექმნილიყო... რა ობიექტურმა ან სუბიექტურმა მიზეზებმა შეუშალა ხელი მის შექმნას?**

— შეიძლება ვთქვათ, რომ ვილაცამ უცხოეთიდან დარეკა, სენატორი ჩაერია, ევროპარლამენტარი ჩაერია, ელჩი ჩაერია და ასე შემდეგ, მაგრამ ეს მხოლოდ სუბიექტური მიზეზებია. უცხოელი პოლიტიკოსები და დიპლომატები დღესაც უხეშად ერევიან საქართველოს შიდა საქმეებში, მაგრამ საგამოძიებო კომისია მაინც ხომ შეიქმნა? თუ დღეს ვუწევთ წინააღმდეგობას ქვეყნის გარედან წამოსულ ზეწოლებს, 2013 წელსაც შეგვეძლო ამის გაკეთება, თანაც, მაშინ ახალარჩეულ ხელისუფლებას უფრო მაღალი ხარისხის ლეგიტიმაცია გააჩნდა. საერთაშორისო თანამეგობრობასთან სწორად უნდა ემუშავათ და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არგუმენტირებულად აეხსნათ, რატომ იყო საჭირო დანაშაულებრივი სისტემის გასამართლება. **ამერიკელი სენატორებისა თუ ევროპარლამენტარებისათვის თუნდაც კასრებში აღმოჩენილი შემზარავი კადრები რომ ეჩვენებინათ, ძნელად წარმოსადგენია, მათ სამართლიანობის აღდგენისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ.**

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არ თუ ვერ გაკეთდა, რაც, ალბათ, იმის ბრალიც იყო, რომ „ქართული ოცნების“ ადრინდელ კოალიციაში ბევრი მავნებელი გახლდათ შეგზავნილი და ჩანერგილი.

არადა, პარლამენტში საგამოძიებო კომისია 2013 წელს რომ შექმნილიყო, ძალიან ბევრი დაზარალებული დიდი ენთუზიაზმით მისცემდა ჩვენებას, დღეს კი, 2025 წელს, იგივე ადამიანებმა შეიძლება, აღარც ისურვონ კომისიასთან თანამშრომლობა.

**— რის გამო შეიძლება, სააკაშვილის რეჟიმის მიერ დაზარალებულმა ადამიანებმა საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობაზე თავი შეიკავონ?**

— მართალია, დაზარალებულთა ნაწილი დღეს საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობას არ ერიდება და საკუთარ ისტორიას საჯაროდ ყვება, მაგრამ შეიძლება, არსებობდეს დაზარალებულთა ისეთი კატეგორიაც, რომელიც კომისიაზე მისვლისა და მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ღიად საუბრისაგან თავს შეიკავებს იმის შიშით, რომ კიდევ ერთხელ არ გახდეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ტერორის მსხვერპლი.

**— კი მაგრამ, ნაცრეჟიმის მიერ დაზარალებული ადამიანები დღეს ვიღამ უნდა დაატეროროს?**

— სანამ საგამოძიებო კომისიის მასალები პროკურატურაში გადაიგზავნება და გამოძიება დაიწყება, **შეიძლება, სავარაუდო დამნაშავეებმა მათი მამხილებელი დაზარალებულების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება განახორციელონ ან სულაც ოჯახის წევრების დატერორებით სცადონ მისი დაშინება და გაჩუმება.**

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დანაშაული, რომლის შესახებაც დაზარალებულმა საგამოძიებო კომისიის წინაშე საჯაროდ უნდა ისაუბროს, შესაძლოა, ინტიმურ დეტალებს შეიცავდეს, მაგალითად, გაუპატიურებას ან სხვა სახის სექსუალურ ძალმომრეობას ეხებოდეს და მსხვერპლმა ამის თაობაზე ღიად საუბარი არ ისურვოს.

**— ეს რომ არ მოხდეს, რისი გაკეთებაა საჭირო?**

— იმისათვის, რომ უფრო მეტ ადამიანს მიეცეს საშუალება, საგამოძიებო კომისიასთან უსაფრთხოდ ითანამშრომლოს, აუცილებელია, გარკვეული კატეგორიის დაზარალებულთა მოსმენა შესაძლებელი იყოს კონფიდენციალურ ფორმატში — დაბლარული გამოსახულებითა და შეცვლილი ხმით.

**კარგი იქნება, პარლამენტის შენობის გარეთ არსებობდეს სპეციალური, კონსპირაციული ოთახი, საიდანაც მოხდება სახედაფარული და ხმაშეცვლილი დაზარალებულის პირდაპირი ჩართვა საგამოძიებო კომისიის სხდომაზე.**

და კიდევ: კარგი იქნება, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ იმ ადამიანების გაშიფვრაც დაიწყოს, რომლებმაც, თავის დროზე, მსგავსი კომისიის შექმნასა და სამართლიანობის აღდგენას „ქართული ოცნების“ შიგნიდანვე შეუშალეს ხელი!



## „ქართული ოცნების“ ადრინდელ კოალიციაში ბევრი მავნებელი გახლდათ შეგზავნილი და ჩანერგილი!“

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ლევან გიგინეიშვილი**
*პროფესორი*



ფრაზით — **„არსებობს მარტო ორი სქესი“, ტრამპმა** ხელის ერთი მოსმით გააუქმა მთელი **კვაზიმეცნიერული იდეოლოგიური ცოდნები,** რომლის დამკვიდრებისთვის **მილიონები კი არა, მილიარდები იხარჯებოდა.**

„იმედინიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



საფრანგეთში **მარინ ლე პენს** თანხების გაფლანგვაზე **თავზე დააშენეს ციხე** და საქართველოში უამრავი დანაშაულის ჩამდენი პოლიტიკოსების სამართლებრივ დევნას **პოლიტიკურ ტერორად გვისაღებენ?!**

„იმედინიუსი“

**მერაბ კოკოჩაშვილი**
*რეჟისორი*



**პოლიტიკური მონობა განათლების უქონლობის შედეგია.** შენ უნდა იყო ჭეშმარიტების მაძიებელი და არა — ვიღაცის იდეის გამტარებელი. **ქართველებს შეგვიძლია ჩვენ თვითონ ვიყოთ ამ ქვეყნის პატრონები.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გოგოლაშვილი**
*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



გვინდა კი ჩვენ ისეთი ევროპა, **სადაც ქართველს უარს ათქმევინებენ საკუთარ ზნეობრიობაზე, ეროვნულობაზე, ტრადიციებზე,** ან ევროპას რაში უნდა გამოადგეს **ასეთი არაეროვნულები, არაპატრიოტები, არაზნეობრივები?!**

„საერთო გაზეთი“



# ელიზბარ ჯაველიძე:

## ბატონ იგორ გიორგაძეს მხოლოდ ერთს მოვუწოდებ — თუ კიდევ შეგრჩათ ის ქართველობა, როგორადაც მე გიცნობდით,

# დაასახელეთ ზვიადის მკვლელი!

***ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრს იგორ გიორგაძეს საგანგებო მოწოდებით მიმართავს და აცხადებს, რომ, სანამ ზვიად გამსახურდიასა და გურამ შარაძის მკვლელობა არ გაიხსნება, ქვეყანას არაფერი ეშველება:***



იგორ გიორგაძე – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი 1993–1995 წლებში

— რაც **თეა წულუკიანის** საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის სხდომებიდან გვესმის, ამის შესახებ ხალხმა და ქვეყანამ ბევრი რამ იცოდა, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ კიდევ 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის შეფასებები საქართველოში ადამიანთა წამებისა და შეურაცხყოფის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება, რომ დანაშაულის ჩამდენთ აეკრძალებოდათ საჯარო სივრცეში საქმიანობა და თანამდებობების დაკავება. ეს დადგენილება ბოლომდეა მისაყვანი, რაც იმას ნიშნავს, რომ მწამებლებსა და მოღალატეებს, რომლებმაც საქართველო დაღუპეს და ათასობით ოჯახი გაანადგურეს, საკადრისი უნდა მიეზღოთ! რასაც დღეს **თეა წულუკიანის კომისია** და ჩვენი ხელისუფლება აკეთებენ, ძალიან მხიბლავს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს და ნაცები პოლიტიკიდან გაქრნენ!** გიორგი ბარამიძემ განაცხადა — ნაცმოძრაობა იდეაა და ვერ გაქრებაო! არადა, საქართველოს მტრებს, ნაცებს რა იდეა შეიძლება ჰქონდეთ? ისინი პოლიტიკური ველიდან უნდა მოშორდნენ!

**— თეა წულუკიანის კომისიის სხდომაზე გენერლებმა — ზაზა გოგავამ და მამუკა ყურაშვილმა სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური ხროვის გადასარჩენად ყველაფერი რომ დაიბრალეს და ხელისუფლება პასუხს არ სთხოვს, ეს რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა?**

**– ზუსტად ვიცი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი დაიწყო სააკაშვილმა, რომელსაც დროშები და ტრიბუნა ჰქონდა მომზადებული, რათა ცხინვალში მიტინგი ჩაეტარებინა.**

დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს ომის დაწყების გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ მიუღია. **ეგ ჩემს ხელში გაიზარდა, ძალიან კარგად ვიცნობ და ჩემზე უკეთ არავინ იცის, რომ მთელი ცხოვრება მარიონეტი იყო — სხვისი დახმარების გარეშე გადაწყვეტილებას ვერ ღებულობდა!** ეჭვი არ მეპარება, რომ 2008 წლის აგვისტოშიც ასე მოხდა და ამერიკელების რომელიღაც გავლენიანმა ჯგუფმა სააკაშვილი გააქეზა... ედუარდ შევარდნაძის დროს როკის გვირაბი ისე ჩუმად გაიყვანეს, არავის არაფერი გაგვიგია. იცით, როგორ გავიგე ეს ამბავი? ერთმა ოსმა პოეტმა დაწერა — რა კარგია, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი გაერთიანდაო! ყველამ იცოდა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის წინ რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო წვრთნებს ატარებდა. ცხადია, სააკაშვილმაც იცოდა ეს, მაგრამ, ხომ გეუბნებით, გააქეზეს და ომი დააწყებინეს. ამერიკელების ერთი ჯგუფი თუ იმას ეუბნებოდა, რომ ომი არ დაეწყო, სხვები სხვას ურჩევდნენ. ასე რომ, ქართული ჯარი არაფერ შუაშია, მაგრამ სააკაშვილის ე.წ. გენერლების ნდობა, რომლებიც მის დანაშაულებს მალავენ, არ შეიძლება! ეს გენერლები, რომლებმაც ხალხი არ გააფრთხილეს და ევაკუაცია არ განახორციელეს, სიმართლეს არ ლაპარაკობენ!

**— მამუკა ხაზარაძეს სასამართლომ 50-ათასლარიანი გირაო შეუფარდა, ეს ადეკვატური სასჯელია?**

— ამ ხელისუფლებისგან **მამუკა ხაზარაძის** დაპატიმრებას ველოდები, გირაო და ჯარიმა მათთვის, რომლებმაც მთელი საქართველო გაატყავეს, არაფერს ნიშნავს! ხაზარაძემ მთელი საქართველო ქუჩაში გამოყარა, ხალხს სახლ-კარი წაართვა და დღეს პატრიოტიზმზე როგორ გველაპარაკება? რად მინდა სხვების მოსმენა, როცა ჩემი მეგობარი **თამაზ გელაშვილი** ამ გათახსირებულებმა **ირაკლი ოქრუაშვილის** კაბინეტში



**„იგორ გიორგაძე უშიშროების მინისტრი იყო, როცა ზვიად გამსახურდიას სამეგრელოში ალყა შემოარტყა და შევარდნაძეს დაურეკა – როგორ მოვიქცე? ედუარდმა მას უთხრა – ცოცხალი გამსახურდია მე არ მჭირდება! ამის შემდეგ იგორ გიორგაძემ იმ სახლს ალყა მოხსნა და იქაურობას გაეცალა!“**

## კვირგვინოსნები

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ჩვენ გავიგებთ ისეთ ამბებს უახლესი ისტორიიდან,** რომელიც უბრალოდ გაგვაოცებთ, თუ **რა დონემდე შეიძლება მისულიყო იმდროინდელი ხელისუფლების ღალატი.**

„იმედინიუსი“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



მე, ერთი რიგითი ადამიანი, ვიბრძვი არა იმისთვის, **რომ ვიღაცა ივანიშვილს ჩაუზიარდეს ხელისუფლებაში,** არამედ იმისთვის, რომ შეიქმნას ფორმით და შინაარსით **სრულიად განსხვავებული სახელმწიფო.**

„ახალი თაობა“

**ალეკო ელისაშვილი**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*



კაციშვილმა არ იცის, ვინაა **ალი ბაბაევი,** მისი პოლიტიკური წარსულის შესახებ არ მსმენია. **მისი ცემა არ მინდოდა,** სანამ რკინის ჯოხით არ გამომეკიდა და კინაღამ თავი გამიტეხა.

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**პაატა ბურჭულაძე** ვისი სახელით ლაპარაკობს და რა რესურსი აქვს?! **ის არის აქტივისტი,** რაც კარგია, მაგრამ **მეტი რადიკალიზმისთვის საზოგადოება არ არის მზად.**

„ახალი თაობა“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



პრომეთემ ხალხს მოუტანა ცეცხლი, **მე ხალხს მოვუტანე სახელმწიფოებრიობა** და ჩვენი ბრძოლა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

„რეზონანსი“

ერთ საათში გააჭაღარავეს?!

**— რა უნდა მოხდეს საქართველოში ისეთი, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა გაიხსნას?**

— ზვიადის მკვლელების შესახებ ყველაფერი იციან, მაგრამ საქმეს არ ხსნიან!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ **ის პროკურორები, რომლებიც ათასგვარ სისაძაგლეს სჩადიოდნენ და საქმეებს აყალბებდნენ, დღესაც იქ არიან და პროკურატურაში მუშაობენ.** ეს ის ხალხია, ვინც სააკაშვილის დავალებით საქმეები შეთითხნა და თხუთმეტი კაცი, მათ შორის, უკეთილშობილესი პიროვნება, ქალბატონი **მაია თოფურია** — იგორ გიორგაძის ცოლის უახლოესი ნათესავი, სრულიად უდანაშაულოდ ციხეში გაუშვა! საერთოდ არ შევკრებილვართ, არავითარი სამხედრო გადატრიალების მოწყობის ჩანაფიქრი არ გვქონია და ყველაფერი სწორედ იმ პროკურორებმა გააყალბეს. **მეც ასე ვიცი, რომ ზვიადი ვინც მოკლა, შევარდნაძემ ისინი მოაკვლევინა და ცოცხალი მოწმეები არ დატოვა!**

**— იგორ გიორგაძესთან ზვიადის მკვლელობის შესახებ თუ გისაუბრიათ?**

— დიახ, მოსკოვში როცა ვიყავი, მაშინ ვისაუბრეთ! **იგორ გიორგაძე** უშიშროების მინისტრი იყო, როცა ზვიად გამსახურდიას სამეგრელოში ალყა შემოარტყა და შევარდნაძეს დაურეკა — როგორ მოვიქცე? **ედუარდმა** მას უთხრა — ცოცხალი გამსახურდია მე არ მჭირდება! ამის შემდეგ იგორ გიორგაძემ იმ სახლს ალყა მოხსნა და იქაურობას გაეცალა... ამის შესახებ მას დაწერილიც აქვს და ჩვენებაც აქვს მიცემული...

**— თქვენთან საუბრისას იგორ გიორგაძეს ზვიადის მკვლელები არ დაუსახელებია?**

— არა, არ დაუსახელებია!

**— ჩემთვის ცოტა ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოს უშიშროების მაშინდელმა მინისტრმა იგორ გიორგაძემ არაფერი იცის ამის შესახებ.**

## – ყველამ ყველაფერი იცის! ზვიადის მკვლელებიც იციან, გურამ შარაძის მკვლელებიც ცნობილია და სანამ ეს საქმეები არ გაიხსნება, საქართველოს არაფერი ეშველება!

არ ვიცი, რატომ არ ასახელებს **იგორ გიორგაძე** ზვიადის მკვლელებს, ყოველ შემთხვევაში, მასთან კავშირი იმიტომ მქონდა, რომ ამ ნაძირალებს — სოროსის ხალხს ვებრძოდით. მაშინ **იგორ გიორგაძეც** ამასვე აკეთებდა... ისე, სოროსის ფონდი თითქმის ყველგან აკრძალეს



# „რასაც დღეს თეა წულუკიანის კომისია და ჩვენი ხელისუფლება აკეთებენ, ძალიან მხიბლავს!“

## „ქართული ჯარი არაფერ შუაშია, მაგრამ სააკაშვილის ე.წ. გენერლების ნდობა, რომლებიც მის დანაშაულებს მალავენ, არ შეიძლება!“





და საქართველოში ამ გარეწრების ბუნაგს დისკომფორტი როგორ არ შეექმნა? მოვუწოდებ ხელისუფლებას — დაუყოვნებლივ აკრძალოს სოროსის ფონდი და საქართველო ამ შავი ჭირისაგან გაათავისუფლოს!

**— ანუ მოსკოვში შეხვედრის დროს იგორ გიორგაძეს ზვიადის მკვლელობაზე ესაუბრეთ, მაგრამ მან კარტები ბოლომდე არ გახსნა?**

— დიახ, **იგორმა** ზვიადის მკვლელობის შესახებ კარტები არ გახსნა, რადგან მე მას არ ვიცნობდი... სამაგიეროდ, მან კარგად იცოდა ჩემი ხასიათი და, იცით, საიდან დაიწყო ჩემთან საუბარი? — მე სამტრედიაში ბებია მყავდაო! გიორგაძე მელაპარაკებოდა, თუ როგორ უყვარდა სამშობლო... მე ამით მოვიხიბლე. მართალია, **გიორგაძე** რუსულ პოზიციაზე იდგა, მაგრამ საქართველოზე ფიქრობდა... ბევრჯერ მითქვამს და ვიმეორებ: **ზვიად გამსახურდია წამებით მოკლეს!** ზოგიერთი მეუბნება — არ უწამებიათ! როგორ არ უწამებიათ?! ზვიადს ძვლები ჰქონდა ჩალეწილი, საშინლად იყო ნაცემი და ნაწამები!

**— თუ ყველამ იცის, ვინ მოკლა პრეზიდენტი გამსახურდია, ისევ შევარდნაძე ხომ არ არის ხელისუფლებაში, საქმეს რომ არ ხსნიან? ბოლოს და ბოლოს, ღირსების საქმეა გამსახურდიას მკვლელების გამოაშკარავება!**

— ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ მკვლელობის გახსნას აქამდე ხელს აფარებდა! **ზვიად გამსახურდია** რუსეთმა და ამერიკამ ერთად გაწირეს! ამიტომ ხელისუფლებას მოვუწოდებ, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვას ამ საქმეს ისევე, როგორც წერტილი უნდა დაესვას ამორალური ქალის **სალომე ზურაბიშვილის** აღმა-დაღმა სიარულს! სირცხვილია, რომ დღეს **სალომე ზურაბიშვილი** დაუსჯელად დადის! **ზურაბ ადეიშვილის** მიჯნური **გიორგი ვაშაძე,** რომელსაც ბავშვობაში **ასოს** ეძახდნენ, ხელისუფლებას აჯავრებს — აბა, მოდით და დამიჭირეთო! ამ ხელისუფლების გასაგონად ვაცხადებ — ვის ერიდებით, კაცო, ვაშაძეს? დროა, „მიხუინების“ პერიოდი დასრულდეს! რაც შეეხება საკუთრივ **მიშას,** სააკაშვილი არის ჩვარი და მეტი არავინ! ხალხის ნერვებზე თამაშს შეეშვით — **სააკაშვილი** ან გაუშვით ზუსტად ისეთივე ციხეში, სადაც პატიმრებს აწამებდა, ანდა ამოჰკარით პანღური და გააგდეთ ქვეყნიდან! დავიღალე უკვე ამ სულელის ხსენებით... ისეთი ხალხი გამოდის და ლაპარაკობს სამშობლოს სიყვარულზე, თავი გინდა, მოიკლა! მარტო პარტიის აკრძალვა არ კმარა, ესენი უნდა დაისაჯონ, როგორც მწამებლები და წავიდნენ ციხეში!

**— ისევ ვუბრუნდები ზვიად გამსახურდიას მკვლელობას... აქედან გამომდინარე, როგორი იქნება თქვენი საბოლოო სიტყვა?**

— თქვენი შეკითხვის პასუხად **ბატონ იგორ გიორგაძეს** მხოლოდ ერთს მოვუწოდებ: თუ კიდევ შეგრჩათ ის ქართველობა, როგორადაც მე გიცნობდით, დაასახელეთ **ზვიად გამსახურდიას** მკვლელი! არა აქვს მნიშვნელობა, ცოცხალია იგი თუ არა, რადგან ისტორიამ სწორედ ზვიადის მკვლელის სტატუსით უნდა გაასამართლოს!



# „მამუკა ხაზარაძის დაპატიმრებას ველოდები, გირაო და ჯარიმა მაგათთვის არაფერს ნიშნავს!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გოჩა მირცხულავა**
*ანალიტიკოსი*



**ბიძინა ივანიშვილი** შესაძლოა, ყველა თანამდებობას შეელიოს, მაგრამ **შს მინისტრის თანამდებობას არ შეელევა.** იქ თავისი კადრი უნდა ჰყავდეს!

„ახალი თაობა“

**ლევან ლორთქიფანიძე**
*პოლიტოლოგი*



**ანრი ოხანაშვილი** უშიშროება და **საშიშროებაც იქნება!**

„ახალი თაობა“

**ზურაბ ცუცქირიძე**
*განათლების მეცნიერებათა დოქტორი*



ძვირფასო ხელისუფლებავ, **„ენის პალატა“** უფრო სჭირდება საქართველოს, ვიდრე **ლუგარის ლაბორატორია!**

„საერთო გაზეთი“

**გიორგი კოხრეიძე**
*ანალიტიკოსი*



**ტრამპი** შეეცდება **უკრაინაზე მეტი ზეწოლა მოახდინოს** და თუკი შედეგს ვერ მიაღწია, საერთოდ დისტანცირდება და **შესაძლოა, ამ საკითხს ჩამოშორდეს.**

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



**თუ ამერიკას სურს მისი ქოლგის ქვეშ ვიყოთ,** ხელს არავინ შეუშლის — გახსნან აქ ბაზა და **ავტომატურად აღმოვჩნდებით მისი ქოლგის ქვეშ.**

„კვირის პალიტრა“

**გოგი გიგიაძე**
*ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრის უფროსი მკვლევარი*



**ტრამპმა** მთელ მსოფლიოს **ტარიფები დაუწესა,** მაგრამ **ამ სიაში რუსეთი არ არის. პუტინის** რეჟიმი არასოდეს იქნება მონდომებული, რომ **სამშვიდობო მოლაპარაკებაზე** წავიდეს.

„ახალი თაობა“






# „ახალგორის რაიონის ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში დაბრუნებით სააკაშვილის ხელისუფლებამ ქსნის ხეობასა და სრულიად საქართველოს ზურგში ლახვარი ჩასცა!“

## მერაბ ბალაშვილი:

# როგორც ახალგორიდან დევნილი, სრულ ნდობას ვუცხადებ თეა წულუკიანის საგამოძიებო კომისიას

# და მზად ვარ კიდეც, მის წინაშე წარვდგე!

*საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობის წევრი, გაზეთ „ახალგორის“ ყოფილი რედაქტორი და ოკუპირებული ახალგორის რაიონიდან დევნილი* ***მერაბ ბალაშვილი*** *პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მუშაობას ეხმიანება და აცხადებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ახალგორი რუსეთისათვის გადასაცემად ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე გაამზადა:*

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, აღვნიშნო, რომ დიდი იმედით ვუყურებ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მუშაობას. **დარწმუნებული ვარ, ქალბატონი თეა წულუკიანი და მისი კოლეგები ხალხის მოლოდინს გაამართლებენ, საქმეს ბოლომდე მიიყვანენ და სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ არაერთ დანაშაულს ახდიან ფარდას.**

საგამოძიებო კომისიის სხდომებზე ნათლად გამოჩნდა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში **სააკაშვილის ხელისუფლებამ** სამაჩაბლოს მოსახლეობა ბედის ანაბარა მიატოვა და არათუ მის ევაკუაციაზე არ იზრუნა, საშიშროების შესახებაც კი არ გააფრთხილა.

**მიმაჩნია, რომ კონკრეტულად ახალგორთან დაკავშირებით სააკაშვილის ხელისუფლების დანაშაული კიდევ უფრო მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს და ამ საკითხს საგამოძიებო კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.**

**— რატომ ფიქრობთ, რომ ახალგორის რაიონის საკითხი საგამოძიებო კომისიის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს?**

— ახალგორის ოკუპაციას საფუძველი ჯერ კიდევ 2007 წელს ჩაეყარა, როცა **სააკაშვილის ხელისუფლებამ** სამშობლოს ღალატის ტოლფასი საქმე ჩაიდინა და ე.წ. **სანაკოევის ადმინისტრაცია** შექმნა. ქსნის საერისთავოს სამართალმემკვიდრე — ახალგორის რაიონი მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში სწორედ იმიტომ გადაიტანეს, რომ **დიმიტრი სანაკოევის** ე.წ. ხელისუფლებისათვის სერიოზულობა შეემატებინათ და უფლებამოსილების საზღვრები გაეფართოებინათ. თანაც, ეს ისე გააკეთეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის აზრი საერთოდ არ უკითხავთ.

**— ახალგორის მოსახლეობა წინააღმდეგი იყო, რომ რაიონი მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ფარგლებში გადასულიყო?**

— რა თქმა უნდა, ახალგორის მოსახლეობა ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. **ახალგორი ერთადერთი რაიონია, რომელიც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ჯერ კიდევ კომუნისტების მმართველობის დროს — 1990 წლის 3 სექტემბერს გამოეყო, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ახალგორელების დიდი ბრძოლის შედეგი გახლდათ.**

ახალგორის რაიონის ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში დაბრუნებით სააკაშვილის ხელისუფლებამ ქსნის ხეობასა და სრულიად საქართველოს ზურგში ლახვარი ჩასცა!

**— გაიხსენეთ, როგორ მოხდა ახალგორის რაიონის ოკუპაცია 2008 წლის აგვისტოში?**

— ბევრს ჰგონია, რომ ახალგორის რაიონის ოკუპაცია 2008 წლის 7, 8 ან 9 აგვისტოს, ანუ ომის დღეებში მოხდა, სინამდვილეში კი, საოკუპაციო ძალები ახალგორში **2008 წლის 15 აგვისტოს** შემოვიდნენ, როცა ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებები უკვე დამთავრებული იყო და საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს ოფიციალურად ჰქონდათ მოწერილი ხელი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე. იმ დროისათვის ახალგორში 10 პოლიციელიღა იყო დარჩენილი და მოსახლეობას დამცველი არავინ ჰყავდა. რაიონი სრულიად უპატრონოდ მიაგდეს და ხელისუფლებამ საშიშროების შესახებაც კი არ გაგვაფრთხილა, რომ ჩვენი ძალებით მაინც გვეზრუნა თავის გადარჩენაზე.

**— 8 და 9 აგვისტოს, როცა სამაჩაბლოში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, ახალგორის მოსახლეობას არ გიფიქრიათ, რომ საოკუპაციო ძალები თქვენთანაც შემოვიდოდნენ?**

— საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები ტელევიზიით აცხადებდნენ, რომ ქართული ჯარი სამაჩაბლოს მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებს ოსი სეპარატისტებისაგან ათავისუფლებდა და წარმატებით მიიწევდა ცხინვალისაკენ... ტელეეკრანს მიჯაჭვულები ამ ყველაფერს რომ ვისმენდით, იმედიანად ვიყავით და არათუ ახალგორის ოკუპაციას არ ველოდით, გვეგონა, რომ ცხინვალის რეგიონი საქართველოს შემოუერთდებოდა.

**— 15 აგვისტოს ახალგორში ვინ შემოვიდა — რუსები თუ ოსები?**

— თავდაპირველად ახალგორში შემოვიდნენ ოსი ე.წ. ბოევიკები, რომლებსაც ომში ოჯახის წევრები და ნათესავები ჰყავდათ დაღუპული და შურისძიებით იყვნენ ანთებული. დარწმუნებული ვარ, მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვასაც არ მოერიდებოდნენ და სისხლის ტბებს დააყენებდნენ, მაგრამ მათ მალევე შემოჰყვნენ რუსი ე.წ. მესაზღვრეები, რომლებმაც ოსი „ბოევიკები“, ფაქტობრივად, გაყარეს და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის საშუალება არ მისცეს. რასაც ვამბობ, შეიძლება, ბევრს არ ესიამოვნოს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — **სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ბედის ანაბარა მიგდებული ახალგორის მოსახლეობა ოსი „ბოევიკების“ ხელით დახოცვისაგან რუსებმა გადაარჩინეს!**

**— პირადად თქვენ და თქვენმა ოჯახმა როგორ გამოაღწიეთ ოკუპირებული ახალგორიდან?**

— როგორც კი გავიგეთ, რომ ოკუპანტები სოფელ ყანჩავეთის მხრიდან ახალგორისკენ მოიწევდნენ, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ტყეს შეაფარა თავი, ნაწილმა კერძო ავტომობილებით მოასწრო გასვლა, ხოლო, ვისაც მანქანები არ გვყავდა, ფეხით დავადექით გზას რაიონული ცენტრისაკენ, საიდანაც თბილისში შეიძლებოდა წასვლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ დროისათვის უკვე არავითარი ტრანსპორტი აღარ მოძრაობდა. ბოლოს შემთხვევით გამოიარა ერთმა სამარშრუტო ტაქსმა, რომელმაც სოფელ მუხრანამდე ჩაგვიყვანა.

**— რა ბედი ეწია იმ ხალხს, ვინც ტყეს შეაფარა თავი?**

— ნაწილმა ტყე-ტყე გააღწია სამშვიდობოს, ნაწილი კი ადგილზე დარჩა და სახლში დაბრუნდა მას შემდეგ, რაც რუსმა ე.წ. მესაზღვრეებმა ოსი „ბოევიკები“ გაყარეს.

**— დღეს რა მდგომარეობაა ახალგორის რაიონში?**

— პირადად მე ახალგორში შესვლას ვერ ვახერხებ, რადგან ე.წ. პროპუსკი არ გამაჩნია. 17 წელია, მამაჩემისა და დედაჩემის საფლავი არ მინახავს და ამას ძალიან განვიცდი. რაც შეეხება ადგილზე დარჩენილ მოსახლეობას, ეთნიკური ქართველები უმცირესობაში არიან, თუმცა, ოს მოსახლეობასთან სრულიად მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. **2008 წლის აგვისტოს ომიდან 17 წელი გადის და მთელი ამ ხნის განმავლობაში ახალგორში ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, ქართველები და ოსები ეთნიკურ ნიადაგზე ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ.**



> **„დარწმუნებული ვარ, ქალბატონი თეა წულუკიანი და მისი კოლეგები ხალხის მოლოდინს გაამართლებენ, საქმეს ბოლომდე მიიყვანენ და სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ არაერთ დანაშაულს ახდიან ფარდას!“**

**— ეთანხმებით თუ არა ნაციონალური მოძრაობისა და მისი მონათესავე ოპოზიციური ძალების განცხადებებს იმის შესახებ, რომ საპარლამენტო კომისიის მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება რუსეთის წისქვილზეასხამს წყალს და საქართველოს ინტერესებს აზიანებს?**

— **რუსეთის წისქვილზე სწორედ ნაციონალებმა დაასხეს წყალი, როცა 2007 წელს ახალგორის რაიონი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეიყვანეს და პირდაპირ ოკუპაციისათვის გაამზადეს.** სააკაშვილის ხელისუფლებას ეს რომ არ ჩაედინა, დღეს ახალგორი ისევ მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ნაწილი იქნებოდა და საქართველოს იურისდიქციის ქვეშ განაგრძობდა არსებობას.

პირადად მე, როგორც ახალგორიდან დევნილი, სრულ ნდობას ვუცხადებ **თეა წულუკიანის საგამოძიებო კომისიას** და, საჭიროების შემთხვევაში, მზად ვარ კიდეც, მის წინაშე წარვდგე!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:

# გენერალისიმუსი

№14 (310) ★ 2025 წლის 7 აპრილი ★ გამოდის 2003 წლიდან

**სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!**

იოსებ სტალინი

## ისტორია, როგორიც იგი არის ★

# მარტყოფის ლომი

*1625 წლის 25 მარტს, ხოლო ახალი სტილით 7 აპრილს, ხარება დღეს, საქართველომ გიორგი სააკაძის მეთაურობით, სოფელ მარტყოფში, ულევველას ველზე, ყიზილბაშთა 30-ათასიანი არმია გაანადგურა! 30 ათასი ყიზილბაშიდან 27 ათასი მარტყოფის ველზე და მდინარე ლოჭინის ვიწრობებში აყროლდა, ხოლო 3 ათასმა თავს გაქცევით უშველა და ისპაჰანში საშინელი ამბავი ჩაიტანა — გიორგი სააკაძემ, მისმა ვაჟმა ავთანდილმა, ელია დიასამიძემ, პაატა ხერხეულიძემ და გლეხმა პაპუნა ვაშაყაშვილმა ბრწყინვალე შაჰის დიდებული სარდალი ყარჩიხა-ხანი და მთელი მისი ხელქვეითები სათითაოდ ამოხოცეს, ხოლო ჯარი პირწმინდად მოსპესო!*



დიდი მოურავი გიორგი სააკაძე.
ირაკლი თოიძის ნახატი

**მარტყოფის ბრძოლა** სამართლიანად იკავებს ადგილს ისეთი დიდი და საარაკო ომების გვერდით, როგორიცაა **დიდგორი, ბასიანი, შამქორი და ხრესილი.** მარტყოფთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით საქართველო ფიზიკურ განადგურებასა და გაყიზილბაშებას გადაურჩა!

**მარტყოფის ბრძოლაში** მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა... იმ დროს, როცა ვერაგი **შაჰ-აბასის** ემისრებს ქართლ-კახეთიდან ყველა ხელოსანი და, მათ შორის განსაკუთრებით, მჭედლები ირანში ჰყავდა გადასახლებული, სამარტყოფე ხმლები იმერეთის მეფე **გიორგი მესამემ** გამოაჭედვინა და ლიხის მთის გავლით, ქართლში ურმებით გადმოატანინა... ცნობისათვის, **გიორგი მესამის** ქალიშვილი **ხვარამზე გიორგი სააკაძის ვაჟზე, ავთანდილზე** იყო დანიშნული, მაგრამ ცნობილი ბედუკუღმართობის გამო, რასაც **ბაზალეთის ტრაგედია** და სააკაძის ქვეყნიდან განდევნა მოჰყვა, ეს ქორწინება არ შედგა.

მარტყოფის ველზე **გიორგი სააკაძესა** და ქართველობას დაუპირისპირდა ბრიტანელი ძმების — **ენტონი** და **რობერტ შერლების** მიერ ბრიტანულ ყაიდაზე მომზადებული და აღჭურვილი ირანული არმია, რომელსაც რუსეთის მზარდი ამბიციებისთვის ინდოეთისკენ მიმავალი გზები უნდა გადაეკეტა და რეგიონში თურქეთის დომინაციაც აღეკვეთა. **მოკლედ,**

**უკანასკნელი ხუთასი წლის განმავლობაში გეოპოლიტიკაში არაფერი შეცვლილა – თუ მაშინ ბრიტანეთი ირანელ ყიზილბაშებს აიარაღებდა და აძლიერებდა, რაც ავტომატურად ნიშნავდა საქართველოს გაუბედურებას და მიწასთან გასწორებას, დღეს დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება ქართველ ყიზილბაშებს აიარაღებს და აფინანსებს, რათა საქართველოში ხელისუფლება დაამხონ და**

**თბილისში დასვან ის მარიონეტები, რომლებსაც ქართველი ბიჭების პუტინის საზარბაზნე ხორცად გამეტება არ დაენანებათ!**

სხვათაშორის, **პუტინს,** რომელსაც საქართველოს ისტორიაში ძაღლთაპირი **ანდრანიკ მიზრანიანი** უკითხავს ლექციებს, შევახსენებთ, რომ **გიორგი სააკაძე ლუარსაბ მეორის** (1606-1615 წ.წ.) **მეფობის წლებში თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავი იყო.**

დიახ, ცხინვალი და მისი შემოგარენი საქართველოს, კერძოდ, ქართლის სამეფოს განუყოფელი ნაწილი გახლდათ და, შესაბამისად, ცხინვალის მოურავი იყო **ქართველი გიორგი სააკაძე** და არა **ედუარდ კოკოითი** ან **ელტონ აკოფოვი-ჭყონია...**

**გიორგი სააკაძე** ერთიანი საქართველოსთვის იბრძოდა და მოაშორეთ ჭორები, თითქოს ბაგრატიონთა ტახტის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა. ამის დასტურია თუნდაც მარტყოფის ბრძოლის შემდეგ განვითარებული პროცესები, როცა გამარჯვებულმა **სააკაძემ** გონიოს ციხეში გამოკეტილ **თეიმურაზ პირველს** მოციქულები გაუგზავნა და ტახტის დაკავება შესთავაზა.

1619 წელს **გიორგი სააკაძე** ჩავიდა სამეგრელოში და შეხვდა **ლევან მეორე დადიანს.** თავკერძა და ძმათა სისხლისმოყვარე **დადიანმა,** რომელმაც ცოლად საკუთარი ბიცოლა შეირთო, **გიორგი სააკაძეს** სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და საქართველოს გაერთიანების იდეას მხარი დაუჭირა.

სააკაძის ავტორიტეტი და სახელი განუზომელი იყო!

**მისი პირადი ტრაგედია 1612 წლის 20 მაისს დაიწყო, როცა ყოფილი სიძე — ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე, ფარსადან ციციშვილი და შადიმან ბარათაშვილი წავკისში ღალატით უპირებდნენ მოკვლას.** გიორგი წავკისში დაიბარეს სანადიროდ. მან მეფესთან ერთად ღვინო დალია და მერე თავის კარავში წამოწვა, რათა გამოეძინა და დილით სანადიროდ წასულიყო. ფარეშთუხუცესმა **ბააკა ხერხეულიძემ** შეიტყო შეთქმულების შესახებ და **გიორგი** მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გააფრთხილა. ამის გამო **ბააკა ხერხეულიძეს** ცხვირ-პირი მოაჭრეს... **გიორგი სააკაძე** უბელ ცხენს მოახტა, ახალუხისამარა გაქუსლა და დაახლოებით 80 კილომეტრი ჭენებით გაიარა კავთისხევამდე, რათა სახლეული სამშვიდობოს გაეყვანა...

აი, ასე აღმოჩნდა ტაშისკარის გმირი დევნილობაში 1612 წელს...

აი, ასე გაწირა და გაიმეტა უნებისყოფო და ნაძირალა **ფარსადან ციციშვილის, ქაიხოსრო ჯავახიშვილის, ბერუკა ჯავახიშვილისა და შადიმან ბარათაშვილის** ხელში სათამაშო ტიკინად ქცეულმა **ლუარსაბ მეორემ გიორგი სააკაძე** და დაგეგმილი მკვლელობის ღამეს წავკისიდან გაძურწა...

საბედნიეროდ, როგორც უკვე მოგახსენეთ, რეაქციონერი თავადებისა და მათი მარიონეტი მეფის გეგმა ჩაიშალა!

გვაპატიოს მისმა ცოდვილმა სულმა, ტრაგიკული პიროვნება იყო და 1622 წელს ტრაგიკულად — მშვილდის საბლით მოაშთეს ყიზილბაშებმა ციხეში, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ რატომ არის **მეფე ლუარსაბ მეორე** წმინდანი, ჩვენთვის გაუგებარია!

**გიორგი სააკაძე იყო უდიდესი მიმტევებელი. მან ყველა პირად მტერს მიუტევა... ფარსადან ციციშვილი, შადიმან ბარათაშვილი და ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილები გაოგნებას ვერ მალავდნენ, როცა დაინახეს, რომ სამშობლოში ყიზილბაშების ჯარით დაბრუნებული გიორგი არავის დასჯას აპირებდა და ძველ მტრობას სამუდამოდ მარხავდა, რადგან სამშობლო იყო გადასარჩენი. ესეც არ აპატიეს...**

ერთი დიდებული ქართველი პოეტის სიტყვების პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, **სააკაძეს მტერიც კი არ ჰყავდა თავისი შესაფერი!**

ქართველი ისტორიკოსის **პლატონ იოსელიანის** თქმით, **დიდმა მოურავმა** ხალხები და სახელმწიფოები შეარყია!

მიუხედავად იმისა, რომ ილიამ, ვაჟამ და სხვა ქართველმა კორიფეებმა გიორგი სააკაძის ცხოვრებასა და ღვაწლს უდიდესი შეფასება მისცეს, ვერაფერმა შეარყია იმათი უსინდისობა და არაკაცობა, რომლებიც დღემდე არ ცხრებიან და **გიორგი სააკაძეს** სამშობლოს ღალატში ადანაშაულებენ!

**ცნობისათვის, სამშობლოს მოღალატეები მარტყოფის ბრძოლას ვერ იგებენ!**

**სამშობლოს მოღალატეები, როგორც წესი, კოდორის ხეობას, ახალგორს, სოხუმსა და მთელ აფხაზეთს აბარებენ და ჟიული შარტავასა და გიორგი ანწუხელიძეს წამებით სიკვდილისთვის წირავენ, რათა პოლიტიკურად აყროლებული თავიანთი გვამები „ვივამედის“ ფსიქიატრიულ კლინიკაში ანდა კრწანისის მავზოლეუმში გადაირჩინონ და საქართველო ახალ-ახალი უბედურებისთვის გაიმეტონ!**

***დიტო ჩუბინიძე***



სამამულო ომში ქართველი სტალინის მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვების 80 წლისთავზე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ

## დღეს, 400 წლის წინათ, საქართველო გაყიზილბაშებას გადაურჩა!

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“. 2025 წლის №11-13*

გიორგი ბეზირგანი

# კრემლის

***ისტორიას არ ახსოვს უფრო ამაზრზენი და საძაგელი მოვლენა, ვიდრე ხრუშჩოვისეული მე-20 ყრილობა იყო. სწორედ ის იქცა წყალგამყოფად პარტიისა და ქვეყნის სახელოვან წარსულსა და სამარცხვინო მომავალს შორის. საბოლოოდ სწორედ მან მიიყვანა ბოლშევიკთა რკინის კოჰორტა და სტალინის მიერ აშენებული უძლავრესი სახელმწიფო კატასტროფამდე და დაღუპვამდე. და აქ, ამ მოვლენაში პიროვნების კულტის შესახებ ნიკიტას ურცხვი და არაფრით არგუმენტირებული ე. წ. „საიდუმლო მოხსენება“ იმდენად არ გაგვაოცებთ, რამდენადაც ყრილობის დელეგატები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ხარბად იჭერდნენ ბელადის ყოველ მზერას, დღეს კი, ფაქტობრივად, უდრტვინველად მოისმინეს ხრუშჩოვისეული ინსინუაციები და სტალინის უკვდავი საქმის დასამარებისათვის მონური მზადყოფნა გამოთქვეს.***

# კრემლი ნიკიტას წინააღმდეგ

წარმოუდგენელია, დარბაზში სახელგანთქმული მხედართმთავრები, ძველი თანამოსაგრეები ისხდნენ, ისინი, ვინც დიდმა ბელადმა გამოზარდა, ვისი მკერდიც ორდენებითა და რეგალიებით დაამშვენა, ვინც თავბრუდამხვევ სიმაღლეზე აიყვანა, მაგრამ არცერთ მათგანს არ ეყო სიმამაცე, ცილისმწამებლისათვის გამოწვევა ესროლა, თავისი მფარველი და აღმზრდელი დაეცვა.

თითქმის წელიწად-ნახევარი გავა, სანამ ისინი გონს მოეგებიან და მოტყუებით დაპყრობილი „ტახტიდან“ მედროვის გადმოგდებას შეეცდებიან. კრემლის ფაქტობრივად მთელი კონკლავი ნიკიტას წინააღმდეგ აჯანყდება. მაგრამ საოცარია, გამოცდილებით გაბრძნობილი პროფესიონალი პოლიტიკოსები ამ ორთაბრძოლაში უმწეო დილეტანტებივით იმოქმედებენ...

•

მე-20 ყრილობის გადაწყვეტილებათა გადასინჯვისაკენ პოლიტბიუროს „ძველ“ წევრებს, მათ, ვისაც ხრუშჩოვის მორჩილი პრესა მალე „ანტიპარტიულ ჯგუფად“ მონათლავს, გართულებულმა საერთაშორისო ვითარებამ და ცკ-ის პირველი მდივნის მიერ გატარებულმა მოუქნელმა საშინაო პოლიტიკამ უბიძგა. მას საყვედურობდნენ უნგრეთის აჯანყების და საქართველოში ახალგაზრდობის გამოსვლის სასტიკად ჩახშობას, უაზრო ყამირულ ეპოპეას, რომელიც უზარმაზარ თანხას ნთქავდა და უკუგება არ ჰქონდა, საბჭოთა მეურნეობების შექმნას, რომლებმაც ეკონომიკაში ქაოსი და ანარქია შეიტანეს.

მოწინააღმდეგე მხარეთა განლაგება ასე გამოიყურებოდა: ხრუშჩოვს პოლიტბიუროს 7 უხუცესი წევრი უპირისპირდებოდა — **მალენკოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ბულგანინი, პერვუხინი, საბუროვი,** მის მხარეს კი მხოლოდ უკრაინის მაშინდელი ხელმძღვანელი **კირიჩენკო** იყო. **მიქოიანი,** როგორც ყოველთვის, არც „ჰოს“ ამბობდა, არც „არას“ და ელოდებოდა მომენტს, როცა გამარჯვებულისკენ გადაბარგდებოდა.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთა საკითხიც სათუო იყო. **შეპილოვი, ჟუკოვი, ბრეჟნევი, შვერნიკი, მუხიტდინოვი, ფურცევა** ჯერ ვერ გამორკვეულიყვნენ და მოვლენების განვითარებას ელოდებოდნენ.

ცხარე შეტაკება 1957 წლის 18 ივნისს კრემლში მოხდა.

**მოგვითხრობს დ. მუხიტდინოვი:**

ცკ-ის პრეზიდიუმის (*ასე ეწოდებოდა მაშინ პოლიტბიუროს — რედ.*) სხდომის დღის წესრიგი არ ვიცოდი და გამიკვირდა, რომ თავმჯდომარის ადგილზე ხრუშჩოვის ნაცვლად ბულგანინი იჯდა. სხდომა უკვე დაწყებულიყო. მალენკოვი გამოდიოდა. ის ყველა ცოდვაში ხრუშჩოვს ადანაშაულებდა, ამბობდა, რომ ის ამახინჯებს პარტიის პოლიტიკას, იგნორირებას უკეთებს მთავრობას, საზღვარგარეთ უღირსად იქცევა. შემდეგ საბუროვი გამოვიდა და ხრუშჩოვს სახალხო მეურნეობაში არეულ-დარეულობის შეტანაში დასდო ბრალი. მოლოტოვი და კაგანოვიჩიც გააფთრებით დაესხნენ თავს ხრუშჩოვს. ბრეჟნევი მის დაცვას ცდილობდა, მაგრამ კაგანოვიჩმა უხეშად შეაწყვეტინა: „რას მლიქვნელობ? ხრუშჩოვთან ერთად შენც უწყობ ხელს პარტიის დისკრედიტაციას“. ხრუშჩოვი დიდხანს დუმდა. ვითარება მისთვის კრიტიკული ხდებოდა.

•

**დ. შეპილოვის მიერ გაკეთებული ჩანაწერიდან** (სხდომის სტენოგრამა არ არსებობს):

**ბულგანინი:** მოდით, გადავწყვიტოთ. რა წინადადებები გაქვთ?

**კაგანოვიჩი:** გათავისუფლდეს პირველი მდივნის პოსტიდან!

**ბულგანინი:** ვინ უჭერს მხარს ამ წინადადებას?

(კენჭი უყარეს: პოლიტბიუროს 7 წევრი — მომხრე, მიქოიანმა და კირიჩენკომ თავი შეიკავეს. კანდიდატები კენჭისყრაში არ მონაწილეობდნენ)

**ხრუშჩოვი:** ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება არ გაქვთ. თქვენ კი არა, ცკ-ის პლენუმმა ამირჩია.

**მალენკოვი:** დიახ, პლენუმმა აგირჩიათ, მაგრამ მანვე შექმნა პრეზიდიუმი და პარტიაში ყველა საქმის ხელმძღვანელობა დაავალა. აქ მიღებულ გადაწყვეტილებას პლენუმზე გავიტანთ.

**ბულგანინი:** ხრუშჩოვი უმუშევარი არ დარჩება. წინადადება შემომაქვს, სოფლის მეურნეობის მინისტრად დავნიშნოთ. ეს საქმე უყვარს, თუმცა, იქაც ბევრი რამ წაახდინა. ვინ არის ამ წინადადების მომხრე?

(კენჭი უყარეს: 7 — მომხრე, ორმა თავი შეიკავა).

**ბულგანინი:** მიღებულია. გილოცავთ ახალ თანამდებობას, ნიკიტა სერგეევიჩ.

**ხრუშჩოვი:** მოვითხოვ, მომისმინოთ.

**კირიჩენკო:** დიახ, უნდა მოვუსმინოთ.

**ბულგანინი:** ჯერ დადგენილების პროექტს მოვამზადებთ და შესვენებას გამოვაცხადებთ. შემდეგ გავაგრძელებთ. განხილვა ხვალ იქნება.

•

**იმავე დღის საღამო. მუხიტდინოვის მონათხრობიდან:**

დერეფანში სუსლოვმა ჩამჩურჩულა: „ნიკიტა სერგის ძეს თქვენთან გასაუბრება უნდა. მასთან კაბინეტში შედით.“ როდესაც შევედი, იქ ჟუკოვი, ფურცევა, КГБ-ს თავმჯდომარე სეროვი იყვნენ. „აი, უკვე აღარაფერს წარმოვადგენ, — თქვა ხრუშჩოვმა, — არ მინდა ასე წასვლა. ამხანაგებო, ჩემთან ხართ თუ ჩემ წინააღმდეგ?“ ყველამ ვუთხარით, რომ ცკ-ის მდივნის პოსტიდან მისი წასვლის წინააღმდეგი ვართ. „გმადლობთ, — თქვა ხრუშჩოვმა, — ესე იგი, ვიბრძოლებთ. ბრეჟნევი აღმაშფოთებლად მოიქცა. მას შემდეგ, რაც კაგანოვიჩმა ხმა ჩააწყვეტინა, ავადმყოფობა მოიმიზეზა და წერილობითი განცხადება გამოგზავნა, რომ პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას მთლიანად უჭერს მხარს. მხდალი, უპრინციპო ადამიანია. საინტერესოა, მართლა ავად არის თუ არა. დარწმუნებული ვარ, ეს ჩვეულებრივი სიმულაციაა. ახლა პლენუმის მოწვევა უნდა დავაჩქაროთ. ჟუკოვი და სეროვი პერიფერიებიდან ამხანაგების ჩამოსვლას უზრუნველყოფენ. ფურცევა მოსკოვს მიხედავს. მუხიტდინოვი — შუა აზიის რესპუბლიკებს. ყველა უნდა მოვამზადოთ. მაშ ასე, შევთანხმდით?“

•

**1957 წლის 19 ივნისი. ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა. მოგვითხრობს სერგეი ხრუშჩოვი:**

მამა მიყვებოდა, რომ პირველი შეპილოვი გამოვიდა. თავიდან თითქოს მამაჩემს მიემხრო. პოლიტბიუროს ძველმა წევრებმა დაუსისინეს და ის თავის ადგილზე დაჯდა. მერე სხვები გამოვიდნენ და ისევ უწინდელი ბრალდებები გაიმეორეს. გადაწყდა, მამას გათავისუფლების საკითხისთვის ერთხელ კიდევ ეყარათ კენჭი. და აი, კენჭისყრის წინ შეპილოვმა ფსონის შეცვლა გადაწყვიტა, უმრავლესობას მიემხრო და მამას წინააღმდეგ გამოვიდა. მას შემდეგ, რაც კენჭისყრამ მეორედ დაადასტურა მოხსნა, დარბაზში მდივანმა შეიხედა და აუწყა, რომ მისაღებში ცკ-ის წევრების ჯგუფი იმყოფება და შესვლას ითხოვს.

•

**მოგვითხრობს მუხიტდინოვი:** ბულგანინი აფეთქდა: „ვინ მისცა ნება? ვინ შეკრიბა? არ შეიძლება. მუშაობაში ხელს ნუ გვიშლით!“ ვოროშილოვი საქმის გასარკვევად გავიდა. მისაღებსა და დერეფანში სიტყვიერი შეხლა-შემოხლა დაიწყო. მაშინ ხრუშჩოვმა ინიციატივა ხელში ჩაიგდო და შესთავაზა, პლენუმი ხვალვე მოეწვიათ. ყველა დათანხმდა, პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ პლენუმი ავტომატურად დაამტკიცებდა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხრუშჩოვის გადაყენების შესახებ. სიტყვა კვლავ ხრუშჩოვმა აიღო: „ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, ნომინალურად, ცკ-ის მდივანი ვარ და პლენუმს ყველაფერს მოვახსენებ. თქვენც თქვენს პოზიციებს გამოხატავთ.“ ამ დროს მდივანმა რაღაც ქაღალდი გადასცა. ხრუშჩოვმა წაიკითხა და გაიღიმა: „ბრეჟნევისაგან არის, — თქვა მან, — სინანულს გამოთქვამს, რომ ავად გახდა და ვერ დაესწრება. მთლიანად უჭერს მხარს ამხანაგ ხრუშჩოვს, გმობს შეთქმულებს, წინადადება შემოაქვს, პლენუმზე ისინი ცკ-ის შემადგენლობიდან გამოვიყვანოთ და მკაცრად დავსაჯოთ.“

•

რამდენიმე საათში ცკ-ის პლენუმის მოწვევა სახუმარო საქმე არ გახლავთ. აქ თავი მარშალმა ჟუკოვმა და გენერალმა სეროვმა გამოიჩინეს. ცკ-ის წევრები ყველაზე შორეული რეგიონებიდან სამხედრო თვითმფრინავებით ჩამოჰყავდათ. დედაქალაქში ისინი პირდაპირ ხრუშჩოვის შტაბის დამუშავებაში ხვდებოდნენ, რომელსაც ფურცევა და სუსლოვი ხელმძღვანელობდნენ. ამ ყველაფრის შესახებ „ანტიპარტიულმა ჯგუფმა“ არაფერი იცოდა. რწმენა, რომ საქმე გაკეთებულია, ხრუშჩოვი გადაყენებულია და მხოლოდ ამ ფაქტის პლენუმზე იურიდიულად დაფიქსირებაღა დარჩა, მოლოტოვსა და მის ჯგუფს ბოლო წუთამდე არ ტოვებდა.

20 ივნისს პლენუმი გაიხსნა.

მოხსენებით ხრუშჩოვი გამოვიდა. მან, ბუნებრივია, ყველა ბრალდება უარყო, პირიქით, თავდაცვიდან თავდასხმაზე გადავიდა და მოლოტოვის ჯგუფი „ანტიპარტიულ საქმიანობაში“, „პარტიის წინააღმდეგ მისი ცენტრალური კომიტეტის ზურგს უკან კულისებსმიღმა ინტრიგებში“ დაადანაშაულა. ცკ-ის წევრების უმრავლესობა ხრუშჩოვის მოხსენებას მოწონებით, შეძახილებით — „სწორია“ და აპლოდისმენტებით შეხვდა. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ანტიპარტიული ჯგუფის წევრები ბუჩქებში მიიმალნენ და პლენუმზე გამოსვლისაგან თავი შეიკავეს. გამონაკლისი მხოლოდ ვიაჩესლავ მოლოტოვი აღმოჩნდა. მან გაბედულად დაადასტურა თავისი პოზიცია, მკაცრად დაგმო ხრუშჩოვის საქმიანობა და „შეთქმულთაგან“ ერთადერთმა შეინარჩუნა შეუდრეკელობა და სიმტკიცე.

პლენუმი მთელი კვირა გაგრძელდა. სიტყვა ყველა მსურველმა მიიღო. აშკარა უპირატესობა ხრუშჩოვის მხარეს იყო. ანტიპარტიული ჯგუფის ზოგიერთმა წევრმაც — პირველ რიგში ვოროშილოვმა — ითხოვა სიტყვა მონანიებისათვის.

26 ივნისს „პრავდაში“ გამოქვეყნდა შეტყობინება „მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიკედლებული შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის“ განადგურების შესახებ. ხრუშჩოვის გამარჯვება აბსოლუტური და სრული იყო.

თანდათან დაიწყო ხელმძღვანელობის პირველი მდივნის მოწინააღმდეგეთაგან გაწმენდა. მოლოტოვი მონღოლეთში ელჩად გაგზავნეს. მალენკოვი უსტ-კამენსკის ჰიდროელექტროსადგურის დირექტორად დანიშნეს. ბულგანინი — ერთ-ერთი ბანკის მმართველად. კაგანოვიჩი სოლიკამსკის კალიუმის კომბინატის ხელმძღვანელად გაამწესეს. „მიკედლებული“ შეპილოვი კი შუა აზიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში — მარქსიზმ-ლენინიზმის მასწავლებლად. გარკვეული ხნის შემდეგ ყველა მათგანს პარტიიდან გარიცხავენ.

ისღა დაგვრჩენია, მოგვითხროთ, როგორ გადაუხადა ნიკიტამ მადლობა მათ, ვინც „ანტიპარტიულ ჯგუფთან“ გამკლავებაში დაეხმარა. გავა სულ რაღაც სამი თვე და მარშალ ჟუკოვს ავანტიურიზმის ბრალდებით თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან მოხსნიან და თადარიგში გაუშვებენ. საგულისხმოა, რომ ეს იუგოსლავიაში ოფიციალური ვიზიტით მარშლის ყოფნისას მოხდება.

გენერალ სეროვის გულმოდგინება და პირადი ერთგულებაც სათანადოდ დაფასდება მისი მაღალი მფარველის მიერ. ხრუშჩოვის გადარჩენიდან წელიწადიც არ გაივლის, რომ სეროვს КГБ-ს თავმჯდომარის პოსტიდან მოხსნიან. მას ჯერ გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსად დანიშნავენ, მაგრამ ძალიან მალე კუიბიშევში გადაკარგავენ ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის სარდლის თანაშემწედ. ხრუშჩოვი მას არმიის გენერლობიდან გენერალ-მაიორობამდე ჩამოაქვეითებს, რის შემდეგაც თადარიგში მოისვრის. ლუბიანკის ყოფილი მეპატრონე დარჩენილ სიცოცხლეს სიღატაკეში გაატარებს და კუთვნილ პერსონალურ პენსიასაც კი ვერ მიიღებს.

წინასწარ რომ ვიცოდეთ, რას მოგვიტანს დიდ თამაშში ჩვენ მიერ დადებული ფსონები...



# ამბლაბუდა ★

***მოლოტოვის, მალენკოვის, კაგანოვიჩისა და „მიკედლებული" შეპილოვის „ანტიპარტიული" ჯგუფის განადგურების, ამის კვალდაკვალ კი მარშალ ჟუკოვის გადაყენების შემდეგ (რომელმაც ამ საქმეში ფასდაუდებელი დახმარება გაუწია) ნიკიტა ხრუშჩოვმა კრემლის ოლიმპზე ძალაუფლება გაიმყარა. მის მომდევნო ნაბიჯად იქცა ცკ-ის პირველი მდივნისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტების შეთავსება, ცენტრშიც და ადგილებზეც პარტიული და საბჭოთა აპარატების დაწიოკება და ძველი, ნაცადი მუშაკების სასწრაფოდ გამოცვლა პირადად ნიკიტას ერთგული ადამიანებით, მისი ახლო ნაცნობებით, მეგობრებით, ნათესავებით.***

**სადღესასწაულო დღეები კვამლის საფარის როლს ასრულებდა, რომლის უკან ნიკიტას გადაყენების ან სულაც ფიზიკური განადგურების გეგმები მუშავდებოდა!**

## ოქტომბრის გზაზე



ამასობაში უვიცებითა და დილეტანტებით მართული ქვეყნის მეურნეობა სრული სვლით მიექანებოდა კატასტროფისაკენ. ცარიელდებოდა მაღაზიების დახლები. პირველი აუცილებლობის საგნები დეფიციტად იქცა. სახელმწიფო გეგმები ვარდებოდა. საკოლმეურნეო მინდვრები უნაყოფო ხდებოდა. და სწორედ ნიკიტას მეფობის წლებში მოხდა როგორც რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ისე საბჭოთა კავშირის ისტორიისათვის არნახული რამ — ქვეყანა უპუროდ დარჩა. მარცვლეულის შეძენა ოქროზე და ვალუტაზე საზღვარგარეთ უხდებოდათ.

საერთაშორისო თვალსაზრისით მდგომარეობა კიდევ უფრო რთული იყო. ხრუშჩოვის ტროცკისტული კურსი „რევოლუციის ექსპორტზე" საბოლოოდ კარიბის კრიზისად გადაიქცა და მსოფლიო კინაღამ ბირთვულ კატასტროფამდე მიიყვანა...

•

1964 წლის 17 აპრილს ნიკიტა ხრუშჩოვმა თავისი 70 წლის იუბილე აღნიშნა. ამ პოლიტიკური არარაობის კულტმა იმ დროისათვის თავის აპოგეას მიაღწია. ყველა ხოტბასა და დითირამბს, რომელთა შესხმაში მისი თანამოსაგრენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ — „მშვიდობის მებაირაღე", „ერთგული ლენინელი", „ღირსშესანიშნავი განმგრძობი" — ხრუშჩოვი სათანადოდ იფერებდა და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მის პატივსაცემად გამართული მდიდრული საიუბილეო ზეიმის მიზანი სულ სხვა გახლდათ — „მებაირაღის" სიფხიზლის მოდუნება. **ეს სადღესასწაულო დღეები კვამლის საფარის როლს ასრულებდა, რომლის უკან ნიკიტას გადაყენების ან სულაც ფიზიკური განადგურების გეგმები მუშავდებოდა.** მედროვის წინააღმდეგ შეთქმულება სწორედ იმ გაზაფხულზე იღებს სტარტს.

შეთქმულების „ჭერქვეშ" პრაქტიკულად მთელი უმაღლესი პარტიული ნომენკლატურა შეიკრიბა. გამალებით მიმდინარეობდა ადგილებზე ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა გადაბირება. „ანტიპარტიული ჯგუფის" მიერ ჩაგდებული „სასახლის გადატრიალების" მწარე გამოცდილებით (პოლიტბიუროზე ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ მათ არ გაითვალისწინეს პლენუმი, რომელმაც ის ხელისუფლებაში დააბრუნა) შეთქმულები სასწრაფოდ იმაგრებდნენ ზურგს.

**შეთქმულების სათავეში ლეონიდ ბრეჟნევი დგას** — ფაქტობრივად, მეორე კაცი ცკ-ში. ცკ-ის მდივნებს პოდგორნის, შელეპინს, დემიჩევს, თავდაცვის მინისტრ მალინოვსკის, პირველ ჩეკისტ სემიჩასტნის, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს კოსიგინს პორტფელები უკვე განაწილებული აქვთ, მთავრობაში პირველ სამ ვიოლინოზე ცკ-ის პირველი მდივანი ბრეჟნევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოსიგინი და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პოდგორნი დაუკრავენ. ამასთან, განსაზღვრულია, რომ ხელმძღვანელობა კოლექტიური იქნება, „ბელადობიას" და „პიროვნების კულტს" სამუდამოდ მოეღო ბოლო. ყველა საკითხს კოლეგიალურად გადაწყვეტს პოლიტბიურო — „პარტიისა და ხალხის კოლექტიური ბელადი".

ახლა ხრუშჩოვის ბედიღაა გასარკვევი.

**შეთქმულთა მთელი რიგი, მათ შორის ბრეჟნევი, ნიკიტა ხრუშჩოვის „ფიზიკურ ლიკვიდაციას" ემხრობოდა. უკრაინის კპ ცკ-ის პირველი მდივნის პეტრე შელესტის** მოწმობით, ამგვარ გამოსავალზე შეთქმულები მისი თანდასწრებით დაწვრილებით და სერიოზულად მსჯელობდნენ. თანაც სხვადასხვა ვარიანტი განიხილებოდა — ბუნებრივ სიკვდილად შენიღბული მოწამვლა, ავია ან ავტოკატასტროფა, აგრეთვე — დაპატიმრება. „მაგრამ მაშინ, — მოგვითხრობს შელესტი, — სიტყვა სემიჩასტნიმ აიღო, კაცმა, რომლის ხელითაც უნდა ჩატარებულიყო ნებისმიერი ოპერაცია — ლიკვიდაცია იქნებოდა ეს თუ დაპატიმრება. მან თქვა: „კი ბატონო, დავაპატიმრებთ, მაგრამ მერე რა იქნება? დახურული სასამართლო პროცესი? თუ მთელი მსოფლიოს წინაშე გასამართლება და ჩვენი ჭუჭყიანი თეთრეულის საქვეყნოდ გამოფენა?" ყველა მაშინვე დაეთანხმა, რომ ამის გაკეთება მიზანშეწონილი არ არის.

მაშინ შელეპინმა, რომელიც ხრუშჩოვთან დაპირისპირებაში ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობდა, წინადადება შემოიტანა, ფიზიკური ლიკვიდაციისაგან თავი შეეკავებინათ. „არ ღირს ხელების გასვრა, — თქვა მან, — ჩვენ ხომ საქმე პიროვნებასთან არ გვაქვს, რომელსაც ხალხის აყოლიება შეუძლია. საკმარისია, ეს პოლიტიკური არარაობა ყველა პოსტს ჩამოვაცილოთ, რომ მისგან ნული დარჩება. ხოლო ჩვენ და მთელი ხალხი შვებით ამოვისუნთქავთ." ასე გადაწყდა პლენუმის მომზადება."

ხმაურიანი იუბილის გადახდის შემდეგ ზაფხულის დასაწყისში ნიკიტა ყირიმში დასასვენებლად გაემგზავრა. და სწორედ ამ პერიოდიდან მისი გადაყენებისთვის მზადება სრული სვლით გაიშალა. „საქმის" (ასე უწოდებდნენ შეთქმულები დაგეგმილ აქციას) ფაქტობრივი ხელმძღვანელი გახლდათ **ალექსანდრე შელეპინი,** ყოფილი კომკავშირული ლიდერი, რომელსაც „რკინის შურიკად" უხმობდნენ. ის ბრეჟნევს შირმად, გარდამავალ ფიგურად თვლიდა და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ დროთა განმავლობაში პარტიის მმართველობის სადავეებს თვითონ დაეპატრონებოდა. **ის, როგორც სტალინის მხურვალე თაყვანისმცემელი, ყველაფერთან ერთად მე-20 ყრილობის გადაწყვეტილებათა გადახედვას და საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტალინურ კალაპოტში დაბრუნებას გეგმავდა.**

•

**მოგვითხრობს დევი სტურუა:** 1964 წლის ზაფხულში საქართველოს ცკ-ის მორიგ პლენუმს ვამზადებდით. და უცებ, მის დაწყებამდე ერთი დღით ადრე შევიტყვეთ, რომ პლენუმის მუშაობაში სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, ცკ-ის მდივანი ალექსანდრე შელეპინი მიიღებს მონაწილეობას. ყველა დაიძაბა. რას უნდა ნიშნავდეს ეს — საქართველოს ხელმძღვანელობის მოსალოდნელ შეცვლას ხომ არა? თუმცა ყველაფერმა ჩვეულებრივად ჩაიარა. პრეზიდიუმში მჯდომი შელეპინი პლენუმის მუშაობის მიმართ ინტერესს არ ამჟღავნებდა, გამომსვლელებს არ უსმენდა, სიტყვით გამოსვლაზე უარი თქვა. შემდეგ მან მჟავანაძის, ინაურის და ჩემი თანხლებით ქალაქში გაიარა, ახალმშენებლობები მოინახულა, მუზეუმები დაათვალიერა, რის შემდეგაც კრწანისის რეზიდენციაში წავიყვანეთ. დამშვიდობებისას შელეპინმა მჟავანაძეს უთხრა: „ცოტა ხნით შემობრძანდით, ვასილ პავლოვიჩ, ჩაი დავლიოთ." მჟავანაძემ მანქანაში მოცდა მიბრძანა და რეზიდენციაში შევიდა. გადიოდა წუთები, საათები, ის კი არ ჩანდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, შელეპინისაგან დილის ოთხ საათზე გამოვიდა მეტად აგზნებული. მანქანაში ჩაჯდა და მთელი გზა ჩუმად იყო. როდესაც მის სახლთან მივედით, მანქანიდან გადმოსვლა მთხოვა და სახლის წინ პატარა ბაღში შემიყვანა. ხუთიოდე წუთი ის ნერვიულად სცემდა ბოლთას ბაღში და კვლავინდებურად დუმდა. ბოლოს მითხრა: „იცი, რისთვის ჩამოვიდა შელეპინი? პოლიტბიუროს წევრთა უმრავლესობა ხრუშჩოვის წინააღმდეგ არის განწყობილი და დაკავებული პოსტებიდან მის გადაყენებას აპირებს. ჩემთვის საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილება მივიღე — მათ შევუერთდები." მეორე დილას მთელი ღამის უძინარებმა შელეპინი გავაცილეთ. რკინის შურიკი ხალისიანი და მხიარული იყო."

•

მოვლენებს გავუსწრებთ და გაუწყებთ, რომ რკინის შურიკის ვარაუდი არ გამართლდა. ბრეჟნევი არც ისეთი ხელწამოსაკრავი აღმოჩნდა, როგორც ეგონა. ეშმაკმა ლეონიდ ილიჩმა ისარგებლა იმით, რომ პოლიტბიუროს დანარჩენ წევრებსაც ეშინოდათ შურიკის „მტკიცე ხელის" და ცკ-ის მდივნის სავარძლიდან რბილად გადაანაცვლა ის ჯერ მთავრობის მეთაურის მოადგილის სავარძელში, მერე პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, ხოლო 1975 წელს — პროფტექგანათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. რკინის შურიკმა სიცოცხლე უსახელოდ, ლამის სიღატაკეში დაასრულა.

•

4 ოქტომბერს ხრუშჩოვმა არხეინად გადაინაცვლა დასასვენებლად ბიჭვინთაში. ნუთუ არც მას, არც მის ახლობლებს შეთქმულების მზადების შესახებ არავითარი სიგნალი არ მიაწოდეს? სიგნალები იყო. ვიღაც ქალმა ხრუშჩოვის ქალიშვილს რადა აჯუბეის დაურეკა და აცნობა, რომ მამამისის წინააღმდეგ რაღაც მზადდება. რადას ამ ზარისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. ანალოგიური ინფორმაციით გავიდა სერგეი ხრუშჩოვზე პოლიტბიუროს ერთ-ერთი წევრის დაცვის უფროსი. სერგეიმ ეს ინფორმაცია მამას შეატყობინა, მაგრამ მან ყურიც არ ათხოვა — სისულელეა. ეს შეუძლებელია!

•

**12 ოქტომბერი.** მოსკოვში მიმდინარეობს სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც დეტალურად განიხილავენ გადაყენების მექანიზმს. მეორე დღეს დედაქალაქში უკვე სათანადოდ დამუშავებული ცკ-ის წევრები ჩამოდიან საგანგებო პლენუმზე, რომელიც კონსპირაციის მიზნით ვითომ სოფლის მეურნეობის საკითხებს ეძღვნება. პირველი მდივნისთვის პლენუმის შესახებ შეტყობინება ბრეჟნევს აქვს დავალებული. ის ბიჭვინთაში რეკავს, საშინლად ღელავს, იბნევა, იმდენად, რომ გვერდით მდგომი შელეპინი იძულებულია, რაღაცები უკარნახოს. „რა გეტაკათ? ერთი დღეც არ ვარგიხართ უჩემოდ", — უხეშად უპასუხებს ხრუშჩოვი და „სოფლის მეურნეობის საკითხებზე" პლენუმის ჩატარებას მის გარეშე სთავაზობს.

ეს ზარი 21 საათზე გაისმა. ერთი საათის შემდეგ შეთქმულთა მოთხოვნით ბრეჟნევი კიდევ ერთხელ ურეკავს ხრუშჩოვს და უცხადებს, რომ პირველი მდივნის გარეშე პლენუმის ჩატარება შეუძლებელია. „მაშინ გადადეთ, რა ცეცხლი მოიკიდეთ? — ამბობს ხრუშჩოვი, მცირე პაუზის შემდეგ კი — ჰო, კარგი, რახან ვერ ითმენთ, ერთი დღით ჩამოვფრინდები მოსკოვში."

•

**13 ოქტომბერს დილის 11 საათზე** ხრუშჩოვი და ბიჭვინთაში დასასვენებლად მყოფი მიქოიანი მოსკოვში გაფრინდნენ. შეთქმულებაში მიქოიანის როლი დღემდე ბურუსით არის მოცული. იცოდა თუ არა მან შეთქმულთა გეგმები? თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ მიქოიანმა გარკვეული ხნით შეინარჩუნა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტი, მერე კი, პენსიაზე გასვლამდე, პრეზიდიუმის წევრად დარჩა, არა მხოლოდ იცოდა, არამედ შეგნებულად მიჰყავდა ხრუშჩოვი სამსხვერპლოზე. გზაში ხრუშჩოვმა მიქოიანს უთხრა: „ანასტას, გული ცუდს მიგრძნობს." რაზეც მიქოიანმა უპასუხა: „სისულელეა, ნიკიტა. ყველაფერი კარგად იქნება და ხვალვე დასასვენებლად დავბრუნდებით." წინათგრძნობა აეროპორტშივე გამართლდა. **პარტიისა და მთავრობის მეთაურს, წესისამებრ, კრემლის მთელი კონკლავი კი არ დახვდა, არამედ KГБ-ს თავმჯდომარე სემიჩასტნი ოფიცერთა ჯგუფთან ერთად. ეს დახვედრა დაპატიმრებას უფრო ჰგავდა.**

კრემლის სხდომათა დარბაზში ხრუშჩოვსა და მიქოიანს უკვე მოუთმენლად ელოდნენ.

•

სკკპ ცკ-ის ოქტომბრის პლენუმის სტენოგრაფირება არ მომხდარა. თუმცა მოგონებებიდან და მოკლე მონახაზებიდან ვიცით, რომ მის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა ხრუშჩოვის წინააღმდეგ გამოვიდა. მას ყველა ცოდვა გაუხსენეს — სახალხო მეურნეობის მოშლა, მსოფლიო ომის პირას მისული საერთაშორისო მდგომარეობა, მრავალრიცხოვანი ნათესაობის სასარგებლოდ სახელმწიფო სახსრების განიავება, საკუთარი პიროვნების კულტის გაღვივება, ის ყველაფერი, რასაც შემდგომში ოფიციალურად უწოდებენ „სუბიექტივიზმსა" და „ვოლუნტარიზმს". **ხრუშჩოვი თავსდატეხილი ბრალდებებისაგან განადგურებული იყო და, თვითმხილველთა მოწმობით, ტიროდა.**

პლენუმის შესახებ საგაზეთო ინფორმაციაში ნათქვამი იყო, რომ **„ნ. ს. ხრუშჩოვი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობებიდან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით და პირადი თხოვნის საფუძველზე."**

გვიან ღამით ჯერ კიდევ გუშინ ძლევამოსილი მმართველი კრემლს „საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერად" ტოვებდა.

მაშ ასე, ოქტომბრის გზა, ისევე, როგორც 1917 წელს, „რევოლუციით" დასრულდა. თუმცა, ამ „მცირე ოქტომბრის რევოლუციამ", მისი ლიდერების არათანმიმდევრულობის გამო, პარტია და ქვეყანა ფართო მაგისტრალზე ვერ გაიყვანა...

*გაგრძელება იქნება*

# ოთარ ჭითანავა:

# ეს ფოტო გაყალბებულია და სინამდვილეში მასზე სტალინისა და ბერიას ორეულები არიან გამოსახული!



***9 მაისს 80 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირმა გმირულად გაიმარჯვა. კაცობრიობის ისტორიაში ამ უპრეცედენტო ტრიუმფის ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელი მიზეზი იყო ის საიდუმლო სამსახურები, რომელთა მოდერნიზაცია და, ფაქტობრივად, თავიდან შექმნა ლავრენტი ბერიამ იტვირთა. მის ღვაწლსა და დამსახურებას სტალინი კარგად ხედავდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ უკვე 1945 წლის 9 ივლისს უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება სწორედ ლავრენტი ბერიას მიანიჭა! საბჭოთა „ენკავედეს“ გენერალი ქაპიტონ ნაჭყებია, რომელმაც თავისი ფიზიკური მონაცემებით 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე უინსტონ ჩერჩილი აღაფრთოვანა, სწორედ ლავრენტი ბერიას კადრი იყო. საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრი, ცნობილი კოლორიტი ოთარ ჭითანავა მასთან შეხვედრას იხსენებს და მის მონათხრობზე დაყრდნობით, არაერთ საინტერესო განცხადებას აკეთებს:***

— „ენკავედეს“ გენერალ-მაიორი **ქაპიტონ ნაჭყებია** 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე, გენერალ **შალვა წერეთელთან** ერთად, სტალინის დაცვას ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი დაარსებულია თბილისის იპოდრომი, რადგან ბავშვობიდან ცხენოსნობის დიდი მოყვარული და კავალერისტი იყო. 1970 წელს გაგრაში სანატორიუმ „თბილისში“ ვისვენებდი და შევიტყვე, იქ ჩამოსული იყო გენერალი **ქაპიტონ ნაჭყებია.** იგი ერთხანს აფხაზეთში შინსახკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, ხოლო მოგვიანებით, დაახლოებით ათი წლის განმავლობაში, საქართველოს მილიციის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გენერალი კაპიტონ ნაჭყებია მაშინვე გავიცანი... სიმართლე გითხრათ, იგი სანატორიუმში უპატრონოდ იყო და 69 წლის კაცს ყურადღება აკლდა, რადგან ოჯახის გარეშე გახლდათ ჩამოსული. მოკლედ, ჩემი მანქანით მე გავხდი მისი პატრონი და მთელი აფხაზეთი მოვატარე, სად არ ვიყავით... მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს პაპანაქება იყო, კაპიტონ ნაჭყებია გენერლის ფორმით დადიოდა...

**— ბატონო ოთარ, ცნობილია, რომ გენერალ კაპიტონ ნაჭყებიას 30-იან წლებში ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული და ბევრი ქართველი ინტელიგენტი ჰყავს გადარჩენილი!**

— კი, ეგ ნაღდია, **ქაპიტონ ნაჭყებია** მართლაც ძალიან ღირსეული და მაგარი კაცი იყო და ბევრი ჰყავს იმ სისხლიან წლებში გადარჩენილი. ამასთან, იგი უნიკალური ინფორმაციის მატარებელიც გახლდათ. ის დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ კურზუში. ნამდვილი კოლხი იყო — მაღალი, ულამაზესი, განთქმული ცხენოსანი, კარგი მანერების პატრონი. სხვათაშორის, ხაზგასმით მითხრა — **თეირანის კონფერენციაზე მე და გენერალ შალვა წერეთელს, რომლებიც სტალინის პირად დაცვასა და უსაფრთხოებას ვხელმძღვანელობდით, ბელადთან დაუკითხავად შეგვეძლო ნებისმიერ დროს შესვლა და ნებისმიერი რამის შეტანაო!** იმავეს ამბობდა **მერაბ ქვიტაშვილის** შესახებაც, რომელიც ბრიტანეთს წარმოადგენდა და ჩერჩილის უსაფრთხოებას იცავდა. მოკლედ, **როგორც ბატონმა ქაპიტონმა სიცილით მითხრა, თეირანში მსოფლიოს ბედი ქართველების ხელში იყო!** სწორედ ამ საუბრების დროს მიმაქცევინა ერთ სურათზე ყურადღება, რომელიც თეირანის კონფერენციაზეა გადაღებული... სურათზე გამოსახული არიან **სტალინი და ბერია.** სტალინს თეთრი, სააპარადო მუნდირი აცვია, ხოლო ბერია კოსტიუმშია გამოწყობილი და პენსნე არ უკეთია, რაც ძალიან საეჭვო დეტალია. გენერალმა **ქაპიტონ ნაჭყებიამ** გამანდო, რომ თეირანის კონფერენციაზე სტალინისა და ბერიას ოთხ-ოთხი ორეული ჰყავდა ჩაყვანილი, რომლებსაც პირადად ხელმძღვანელობდა! მოკლედ, სტალინისა და ბერიას ეს ფოტო გაყალბებულია და სინამდვილეში მასზე სტალინისა და ბერიას ორეულები არიან გამოსახული!

**— მაინც ვინ იყვნენ ეს ორეულები?**

— როგორც მითხრა,

## სტალინის ოთხი ორეულიდან სამი რუსი და ერთი სომეხი იყო.

ამ ფოტოსურათზე, რომლითაც მთელი ინტერნეტია გადაჭრელებული, სტალინის სომეხი ორეული და ბერიას ორეული არიან აღბეჭდილი. **ქაპიტონ ნაჭყებია** იხსენებდა, რომ თეირანის კონფერენციის დასკვნით ბანკეტზე პურმარილი, ღვინო და ლაღიძის წყლებიც კი საქართველოდან ჩამოუტანიათ, ხოლო ჭურჭელი რომ რუსეთის მუზეუმებიდან და, კონკრეტულად, ერმიტაჟიდან ჩამოიტანეს, საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია.

**— მაინც რით ასაბუთებდა გენერალი კაპიტონ ნაჭყებია იმას, რომ ფოტოზე ნამდვილი სტალინი და ბერია არ იყვნენ გამოსახული?**

— **გენერალი ნაჭყებია** მიმტკიცებდა, რომ თეირანის კონფერენციის მსვლელობისას **ლავრენტი ბერია** არათუ კამერების წინ არ ჩნდებოდა, არამედ, საერთოდ ხალხს ერიდებოდა და, ფაქტობრივად, დამალული იყო. გარდა ამისა, **ნაჭყებიამ** იმაზეც მიმაქცევინა ყურადღება, რომ ფოტოსურათზე აღბეჭდილი **ე.წ. ბერია,** ანუ სინამდვილეში მისი ორეული, საკმაოდ გასუქებულია. არადა, ამ დროს ბერია იყო საშინლად გამხდარი, რადგან, კარგად მოგეხსენებათ, კავკასიისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, ხოლო ახალი დასრულებული იყო სტალინგრადის ბრძოლა, რომელმაც ჰიტლერი ხერხემალში გადაამტვრია. ასეთ პირობებში ლავრენტი ბერია, რომელსაც დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა, გამხდარი იყო და არა ისე გასუქებული, როგორც მისი ორეული ფოტოსურათზე გამოიყურება.

**— კიდევ რას გაიხსენებდით გენერალ კაპიტონ ნაჭყებიას ნაამბობიდან?**

— **ნაჭყებიამ** ისიც მითხრა, რომ ვიდრე სტალინი ირანის შაჰის რეზიდენციაში მივიდოდა, მანამდე იქ ბელადის ორეულები გაუგზავნიათ კორტეჟით. როცა უშიშროება დარწმუნდა, რომ ხიფათი არსაიდან იყო, **ნამდვილი სტალინი** რეზიდენციასთან მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა. **გენერალმა ნაჭყებიამ** გაიხსენა, რომ თეირანში, კონფერენციის მსვლელობის დროს, ყოველი შემთხვევისთვის, იმყოფებოდა შორეული ავიაციის მარშლის **ალექსანდრე გოლოვანოვის** ესკადრილია.

**— საინტერესოა, რას ამბობდა გენერალი კაპიტონ ნაჭყებია ბერიას სიკვდილზე?**

— გენერალმა ასეთი რამ მითხრა: **სტალინი** რომ გარდაიცვალა, **მალენკოვის** დავალებით, საქართველოში და კერძოდ, მერხეულში, ბერიას სოფელში, მოსკოვიდან უშიშროების აგენტები ჩამოვიდნენ და ლავრენტის თითოეულ ნაბიჯს ბავშვობიდან სწავლობდნენ. მაშინვე მოვახსენე ამის შესახებ ლავრენტის, რომელმაც მითხრა — ყველაფერი ვიცი, ახლა გერმანიაში მივდივარ და იქ სიტუაციას ჩავაწყნარებ თუ არა, მერე მაგათ ყველას მოვუვლიო! ვერ მოუარა, რადგან, გენერალ **ქაპიტონ ნაჭყებიას** ინფორმაციით, **ლავრენტი ბერია** კრემლში, ვიწრო წრეში გამართული თათბირის დროს დახვრიტეს და მერე მისი გვამი სახლში შეიტანეს! **ბერიას ვაჟს სერგო ბერიას ბოლომდე სჯეროდა, რომ მამამისი სახლში მოკლეს.**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***









**„გენერალმა კაპიტონ ნაჭყებიამ გამანდო, რომ თეირანის კონფერენციაზე სტალინისა და ბერიას ოთხ-ოთხი ორეული ჰყავდა ჩაყვანილი, რომლებსაც პირადად ხელმძღვანელობდა!“**

## რაც გენერალმა მიამბო...

გენერალისიმუსი
2025 წლის 7 აპრილი. №14 (310)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

***კოდორის ხეობაში სააკაშვილის მიერ გაუქმებული ბატალიონ „მონადირის“ ყოფილი მეთაური, პარლამენტის ყოფილი წევრი ემზარ კვიციანი წინა კვირას თეა წულუკიანის საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის წინაშე წარდგა და ვრცლად ისაუბრა იმ პროცესებზე, რომლებიც 2006 წლის ივლისში კოდორში სააკაშვილ-ოქრუაშვილის შეჯირითებასა და საბოლოოდ მისი უბრძოლველად, ტყვიის გასროლის გარეშე ჩაბარებას მოჰყვა.***





# რა მოხდა თეა წულუკიანის კომისიის წინაშე ემზარ კვიციანის გამოსვლის შემდეგ მასსა და მალხაზ მაჩალიკაშვილს შორის?

აშკარად ჩანდა, რომ **ემზარ კვიციანს** კომისიისთვის სათქმელი ბევრად მეტი ჰქონდა, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, ამის საშუალება არ მიეცა.

**ჩვენ მთელი კვირის განმავლობაში ვცდილობდით ემზარ კვიციანთან დაკავშირებას და მისთვის „ასავალ-დასავალის“ მაღალი ტრიბუნის დათმობას რუბრიკით — „რისი თქმაც კომისიის სხდომაზე არ დამცალდა!“** — მაგრამ კომუნიკაცია შეუძლებელი აღმოჩნდა — კვიციანი ჩვენს სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა!

**სამაგიეროდ, მან ოპერატიულად უპასუხა მალხაზ მაჩალიკაშვილის ფეისბუქსტატუსს, სადაც ამ უკანასკნელმა ემზარ კვიციანს წარმოუდგენელი რამ დააბრალა — რუსებს კოორდინატები გადაეცი და ჩვენი ხალხი დააბომბინეო!**

„ასავალ-დასავალის“ მკითხველს კომენტარებითურთ ვთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ამონარიდს **ემზარ კვიციანის** საპარლამენტო ჩვენებიდან, რომელმაც კოდორის ხეობის ჩაბარებისა და აფხაზეთის ტრაგედიის შესწავლის საქმეში შესაძლოა, გასაღების ფუნქცია შეასრულოს!

დავიწყოთ ასე: **სააკაშვილი რომ კოდორის ხეობის ჩაბარებას აპირებდა და აფხაზეთი „მიცემული იყო“, ემზარ კვიციანის განცხადებით, ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორესაც სცოდნია!** სამწუხარო ის არის, რომ საქართველოს მოსახლეობას ამის თაობაზე არც ერმა და არც ბერმა არაფერი ამცნო. როგორც სააკაშვილის **ე.წ. გენერალმა ზაზა გოგავამ** არ გააფრთხილა კოდორის ხეობისა და შიდა ქართლის მშვიდობიანი მოსახლეობა და ევაკუაცია არ განახორციელა, ფაქტობრივად, ასევე მოიქცა **საპატრიარქოც** და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა!

აი, სწორედ ეს იკვეთება **ემზარ კვიციანის** მონოლოგიდან, რომელსაც უცვლელი სახით აქვე გთავაზობთ:

*„1992 წელს, მას შემდეგ, რაც აფხაზეთში დაძაბულობები დაიწყო, და ჩრდილოეთ კავკასიის უღელტეხილებიდან „ბოევიკებმა“ დაიწყეს ჩამოსვლა, იძულებული გავხდით, შევკრებილიყავით დალის ხეობაში, დაგვედო ფიცი და შეგვექმნა* ***რაზმი „მონადირე“.*** *1993 წელს შევხვდი აფხაზებსა და რუსებს... მაშინვე მივხვდი, რომ არანაირი შერიგება მაგათ არ აწყობდათ და დავიწყე გზის კეთება საკენი-ჭუბერის მიმართულებით. საწვავის სათხოვნელად ვიყავი თბილისში მთავრობასთან ჩამოსული და საწვავი არ მომცეს.* ***რაჟდენ ჩაკვეტაძე*** *იყო ასეთი — მეგზევე, რომელმაც 8 ტონა დიზელი და 2 ტონა ბენზინი გამომიყო... 2004 წლიდან 2006 წლამდე თბილისში ვიმყოფებოდი და ვრცელდებოდა ჭორები იმის შესახებ, რომ* ***ირაკლი ოქრუაშვილს*** *ორფოლოს პოლიგონზე ჰყავდა გადაყვანილი მთელი შეიარაღებული ძალები და კოდორში აპირებდა წასვლას. ამას ხალხიც მეუბნებოდა, რადგან იქ ჯარი იდგა და სამხედროებს ოჯახები ჰყავთ, სადაც ისინი ამაზე საუბრობდნენ. მე ამას ვერ ვიჯერებდი და ჩემთვის ვფიქრობდი — კოდორში რა უნდათ?* ***ოქრუაშვილი გაიძახის — ახალ წელს ცხინვალში უნდა ვიყო! — და კოდორში რა უნდა, ასე ჯარს როგორ დაქსაქსავს-მეთქი?!***

*რაც უფრო ახლოვდებოდა 2006 წლის ივლისი, უფრო და უფრო დამაჯერებელი გახდა ეს ყველაფერი. აქედან გამომდინარე, შევედი პატრიარქთან და ვუთხარი —* ***თქვენო უწმინდესობავ, ირაკლი ოქრუაშვილი და დღევანდელი ხელისუფლება კოდორის ხეობაში თავდაცვის ძალების შემოყვანას აპირებენ, რაც აუცილებლად გამოიწვევს კონფლიქტს და რუსები იქნებიან მართლები, რადგან არსებობს 1994 წლის შეთანხმება, რაზეც ხელი გვაქვს მოწერილი, ამას გამოიყენებენ და ლეგიტიმაცია მიეცემათ რუსებს, რომ ხეობაში შემოვიდნენ-მეთქი!*** *პატრიარქი წამოდგა... მეც წამოდგომას ვაპირებდი, მაგრამ დამსვა, მარცხენა ლოყაზე ხელი მომადო და მითხრა —* ***ემზარ, შვილო, გაკურთხოს უფალმა! არ შეგეშვებიან, სანამ კოდორი არ ჩაბარდება, აფხაზეთი მიცემულია!*** *სიტყვასიტყვით ასე მითხრა... პატრიარქს ბევრად უფრო დიდი ინფორმაციები ჰქონდა მაშინაც, ვიდრე მე მქონდა.*



*2006 წლის ივლისში რუსეთის სპეცსამსახურებმა ქართველების საშუალებით ჩამიტყუეს კოდორის ხეობაში, სადაც მე და მალხაზი დაგვიჭირეს, ჩაგვსვეს მანქანაში და გაგვიყვანეს... ქართველები, რომლებმაც კოდორის ხეობაში მაშინ ჩამიტყუეს, იყვნენ:* ***იგორ გიორგაძე, ტარიელ ონიანი და გონდო შალიკიანი!*** *ამ დროს* ***ოქრუაშვილი*** *მოდის ხეობის წინააღმდეგ ჯარით. პირველი ვინ გაისროლა? — დაისვა ასეთი შეკითხვა და* ***ანზორ მარგიანმა*** *მისცა ასეთი ჩვენება —* ***პირველი გაისროლა ლევან გვაზავამ! — რატომ გაისროლა? — იმიტომ, რომ რაციები არ მუშაობდა და წინა მანქანა გაჩერებულიყო!*** *სინამდვილეში რაციებიც მუშაობდა და ყველაფერი მუშაობდა. ამ ყველაფერმა გამიჩინა ეჭვი, ის პირველი გასროლა ხომ არ იყო ნიშანი დანარჩენი ჯგუფებისთვის, რომლებსაც* ***ემზარ კვიციანისთვის*** *უნდა ესროლათ?*

*დაიჭრა ორი ადამიანი, რაზეც* ***ოქრუაშვილი*** *იძახდა —* ***კვიციანმა ორი კაცი დაგვიჭრაო!*** *სასამართლოზე შემოვიდნენ ის დაზარალებულები, რომლებიც ვითომ მე დავჭერი. ერთს ტყვია წინიდან ჰქონდა მოხვედრილი...* ***— გახსოვს, როგორ იდექი ტყვიის მოხვედრის მომენტში?*** *— ვკითხე.* ***— კი, როგორ არ მახსოვს!*** *— მიპასუხა.* ***— მდინარე საკენი შენგან რომელ მხარეს იყო? — მარჯვენა მხარეს!*** *ანუ კაცი შემოტრიალებული იყო თავისი ჯგუფისკენ და იქიდან მოხვდა ტყვია....* ***— მერედა, არ გიფიქრია, რომ შენიანმა გესროლა-მეთქი? — როგორ არ მიფიქრია, ზუსტად ვიცი, რომ ჩემიანებმა მესროლეს!***

*მეორეც შემოიყვანეს, რომელიც ზურგიდან იყო დაჭრილი. იმასაც იგივე შეკითხვა დავუსვი და მიპასუხა —* ***საკენი ჩემგან მარცხნივ იყოო!*** *ანუ ზურგიდან ესროლეს თავისიანებმა... არადა, ამ ყველაფერს მაბრალებდნენ მე. ეს ყველაფერი დაგეგმილი იყო კოდორის ჩასაბარებლად. რა თქმა უნდა, ეს დაგეგმილი იყო მოსკოვში, მაგრამ ამერიკელები მაგ საქმეში ერივნენ... ეს ყველაფერი იყო კოლექტიური ღალატი, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ჩაიფიქრეს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, შეიარაღებული ძალები არაფრის საქმის კურსში არ იქნებოდნენ და არ მგონია, რომელიმე სარდალს და* ***ზაზა გოგავას*** *რამე სცოდნოდათ მაგის შესახებ! ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც შეთანხმებული იყო. მოსახლეობის გაფრთხილებაც იმიტომ არ მოხდა, რომ მოსახლეობას შეიარაღებისა და წინააღმდეგობის გაწევის დრო არ ჰქონოდა. არ არის* ***გოგავას*** *გაცემული ბრძანება, ის თავის თავზე იღებს მაგას!“*

კიდევ უფრო საინტერესო და შოკისმომგვრელია **ემზარ კვიციანის** ის ჩვენება, სადაც მან კოდორის ხეობაში ნაცხროვის შეჯირითებამდე ერთი თვით ადრე, **სააკაშვილისა და პუტინის გასაიდუმლოებულ შეხვედრაზე ილაპარაკა.** ვფიქრობთ, ეს ინფორმაცია განსაკუთრებით საყურადღებოა, რომლითაც შესაბამისი სამსახურები და სპეციალური უწყებები უნდა დაინტერესდნენ... აი, ეს ჩვენებაც:

*„2006 წლის 13 ივნისს, ქალაქ სოჭში, ერთმანეთს შეხვდნენ* ***სააკაშვილი და პუტინი.*** *იცით, ამის შესახებ რამე? ზღვაში რომ გავიდნენ და ორი საათი რომ იყვნენ იქა... იქიდან რომ დაბრუნდა საქართველოში და ხელად რომ ორფოლო წამოიწყეს, აი, იქ იყო მოლაპარაკებული ეს ყველაფერი!“*

შეუძლებელია, ემოციის გარეშე ჩაიკითხო **ემზარ კვიციანის** ის მონოლოგი, სადაც ქართველებისა და აფსუების შერიგებაზეა ლაპარაკი. **ამ ყველაფრის დანგრევა და კოდორის ხეობაში უმძლავრესი ქართული ბასტიონის მოშლა რომ შემთხვევით არ მომხდარა, ფაქტია. ამიტომ,**

## ვინც თეა წულუკიანის კომისიაზე არ გამოცხადდება და ჩვენებას არ მისცემს, იმას სასამართლომ და პროკურატურამ 50-ათასლარიანი გირაო კი არ უნდა შეუფარდოს, როგორც ეს მამუკა ხაზარაძესთან მიმართებაში ჩაიდინეს, არამედ ვირის აბანოში მიაბრძანონ და სამშობლოს ღალატის მუხლით ბრალი წაუყენონ!

ვფიქრობთ, **ემზარ კვიციანის** წინამდებარე ჩვენება საგანგებოდ შესწავლას საჭიროებს. განსაკუთრებით ის უნდა დადგინდეს, **ვის არ აძლევდა თბილისში ხელს ქართველებისა და აფსუების შერიგება.** ისიც გასარკვევია, კიდევ ვინ იდგა საკენი-ჭუბერის გზის მშენებლობის უკან მაშინ, როცა აფხაზეთში **შევარდნაძე** პოზი-

გაგრძელება 20-ე გვერდზე

# „ძალიან მაგრად იმუშავეს რუსულმა, აფხაზურმა და ჩვენმა სპეცსამსახურებმა, რათა ჩვენ ერთმანეთისთვის გადავეკიდებინეთ!“

დასაწყისი მე-19 გვერდზე



## ემზარ კვიციანი:

# ქართველები, რომლებმაც კოდორის ხეობაში ჩამიტყუეს, იყვნენ – იგორ გიორგაძე, ტარიელ ონიანი და ბონდო შალიკიანი!

ციებს მიზანმიმართულად აბარებდა?

*ემზარ კვიციანი: — „1992 წლის 3 აგვისტოს შევიკრიბეთ სოფელ ჩხალთაში და ოთხმოცმა კაცმა სამშობლოს დაცვისა და ერთგულების მიზნით ფიცი დავდეთ. შეიქმნა რაზმი „მონადირე“. გავაკეთეთ გზა, თითქმის ერთი თვე ვიმუშავეთ, სანამ ე.წ. „პერემირია“ იყო. განსაკუთრებული შემოტევა იყო 1994 წლის მაისში, რამაც განაპირობა 1994 წლის მოსკოვის შეთანხმება. ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველომ, რუსეთმა, გაერომ და აფხაზებმა.* ***ძალიან მაგრად იმუშავეს რუსულმა, აფხაზურმა და ჩვენმა სპეცსამსახურებმა, რათა ჩვენ ერთმანეთისთვის გადავეკიდებინეთ.***

*ერთ დღესაც აფხაზები და რუსები ამოვიდნენ ხეობაში ძალიან ცუდად და დაგვიწყეს ლაპარაკი იმაზე, თუ რა ცუდები ვართ ჩვენ, ქართველები, და მოიტანეს ფაქტები, თუ სად რა ჩაიდინეს ქართველმა ჯარისკაცებმა. მე გავაჩერე და ვუთხარი —* ***მე ნურაფერს მომაწერთ-მეთქი და დავუდე ფაქტები! — პირველი 45 კაცი რომ აგიყვანეთ აფხაზები ტყვედ ზურაბ დადვანთან ერთად, იარაღი ჩამოგართვით, ხარი დაგიკალით, პატივი გეცით და სახლში გაგიშვით, ყველამ ხომ მოაღწია შინ მშვიდობით-მეთქი?*** *— დიახ, ყველა დაბრუნდაო!* ***მეორეჯერ ცამეტი კაცი რომ გვყავდა ტყვედ აყვანილი, იმათაც პატივი ვეცით, იარაღი ჩამოვართვით და გამოვუშვით სახლში, ხომ ყველანი დაბრუნდნენ საღსალმით, ვინმეს წკიპურტი მოხვდა-მეთქი?*** *— არა, მადლობელი ვართო! —* ***თოთხმეტკაციანი ჯგუფი რომ დავატყვევეთ, გაფუჭებული ვერტმფრენი რომ დაჯდა საკენში და არძინბას მოადგილე ლაგახუაც გვყავდა დაპატიმრებული, გამოვუშვით თუ არა მშვიდობიანად-მეთქი?*** *— კი, მასე იყოო! არადა, ხუთ ადამიანს ვითხოვდით, რომლებიც გაგრაში იყვნენ დაკარგული და არ დააბრუნეს, მაგრამ დაგვიბრუნეს ოჩამჩირეში, ძველ კინოში ტყვედ აყვანილი ჩემი ბიძაშვილი* ***ელვარდი კვიციანი,*** *რომელსაც არც ყურები ჰქონდა, არც ცხვირი ჰქონდა და დაგლეჯილ-დაფლეთილი დაჭრილი ჰყავდათ აყვანილი. „გრანატამიოტის“ ნაღმი აუფეთქეს და ამის გამო გათიშული იყო... ფაქტობრივად, აფხაზების ხელში გაიღვიძა და ნაწამები დაგვიბრუნეს... ეს რომ ვთქვი, აფხაზებმა ჩამოყარეს ყურები და ხმა ვერ ამოიღეს. ამ დროს მომკიდა ხელი რუსმა გენერალმა და მითხრა — შეიძლება, ცოტა ხანს დაგელაპარაკოთ? რუსის გენერალმა* ***იაკუშევმა*** *ხელი ჩამომართვა... ხელზე ორი თითი აკლდა, თურმე ავღანეთში მსახურობდა. გენერალმა* ***იაკუშევმა*** *მითხრა —* ***მე, გენერალი იაკუშევი, პირობას გაძლევთ, რომ არცერთი გასროლა არც შენი და არც შენი ხალხის წინააღმდეგ ამ ხეობაში დღეიდან არ მოხდება, ოღონდაც მითხარით, სად წავიდეთო!*** *მოგეხსენებათ, რუსებს ხეობაში არ ვუშვებდით... არადა, 1994 წლის ფორმატით, ხეობაში უნდა შემოსულიყვნენ და მთელ ხეობაში საგუშაგოები გაეკეთებინათ.* ***გენერალმა იაკუშევმა*** *რომ მითხრა —* ***სადაც გინდათ, იქ ჩავდგებიო!*** *— ეს მისწრება იყო ჩვენთვის... თუ რუსებს შუაში ჩავაყენებდი, აფხაზების ფართომასშტაბიანი შემოტევები აღიკვეთებოდა. ამით ჩვენც დაცული ვიქნებოდით და არც აფხაზებს ექნებოდათ შიში, რომ ჩვენ შეტევაზე გადავიდოდით! მოკლედ ამაზე შევთანხმდით, რაც ჩვენი გამარჯვება იყო... დავუძახე ბიჭებს, გამოიტანეს ყველაფერი და გაიშალა სუფრა. ამ სუფრაზე დავიწყე აფხაზური სიმღერა. ამყვნენ ჩემებიც და ძალიან ლამაზი აფხაზური სიმღერა გამოგვივიდა. აფხაზები ფეხზე ადგნენ და ცრემლები მოსდიოდათ...* ***იმ დღეს მოხდა ჩვენი შერიგება... იმ დღის შემდეგ აფხაზებს ჩვენს წინააღმდეგ ნაბიჯი არ გადაუდგამთ. მხოლოდ ის იყო, რომ აფხაზების სპეცსამსახურები, ჩვენს სპეცსამსახურებში ჩანერგილი ხალხი და ასევე რუსეთის სპეცსამსახურები თუ რამეს მოგვიწყობდნენ და ისიც კანტიკუნტად, თორემ არასოდეს მაგათთან იარაღით დაპირისპირება არ მოგვსვლია. ამდიოდნენ შეხვედრაზე, ამოჰქონდათ პურმარილი, ჩვენც ვახვედრებდით პურმარილს და მთელი ეს წლები აფხაზებსა და ქართველებს შორის იყო მხოლოდ და მხოლოდ ტკბილი საუბარი და ნორმალური ურთიერთობა, რასაც თბილისში რატომღაც ვერ ეგუებოდნენ.“***



**იგორ გიორგაძე, ტარიელ ონიანი, ბონდო შალიკიანი**

საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიისთვის **ემზარ კვიციანის** მიერ მიცემული ჩვენების ყველაზე უფრო სკანდალური ნაწილი მაინც ეს მცირე ამონარიდი გვგონია... **კვიციანი ამჯერად ხაზგასმით საუბრობს იმის შესახებ, რომ კოდორის ხეობაში გაეროს ვერტმფრენის ჩამოგდება ჩეჩნებს სოროსმა შეუკვეთა!** ცხადია, ინფორმაცია მართლაც სენსაციურია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1991 წლის ზაფხულში ამერიკელებმა სოხუმში **ბინ ლადენი** ჩამოიყვანეს, მაშინ რა გასაკვირია, სოროსსა და მის დამქაშებს სიტუაციის ასარევად ვიღაც ტერორისტებისთვის აფხაზეთში გაეროს ვერტმფრენის ჩამოგდება მართლაც შეეკვეთათ? **აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქართული სპეცსამსახურები ამ ინფორმაციით განსაკუთრებით უნდა დაინტერესდნენ და თუ საჭირო გახდა, პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციას საგანგებო წერილით მიმართონ, რომ სოროსი და მისი დამქაშები ტერორისტებთან თანამშრომლობენ!**

*ემზარ კვიციანი: — „უთენია, რიჟრაჟზე ისმის ვერტმფრენის ხმა... რა უნდოდა იქ გაეროს ვერტმფრენს? ჩეჩნებმა ესროლეს და ჩამოაგდეს გაეროს სამშვიდობო ძალების ვერტმფრენი, სადაც ცხრა ადამიანი იჯდა, მათ შორის ერთ-ერთი ჩვენი გოგონა იყო. იმ ჩეჩენმა პირდაპირ მითხრა — ვინც მე დამაფინანსა, იმის დავალება უნდა შევასრულოო! ჩვენ, ჩეჩნებმა, შეცდომა დავუშვით, როცა პროპაგანდას ავყევით და ქართველების წინააღმდეგ ვიბრძოლეთ.* ***სოროსმა დამაფინანსაო!*** *— პირდაპირ ასე მითხრა. არც ეს დავუჯერე და ვკითხე —* ***კი მაგრამ, რაში აინტერესებდა სოროსს გაეროს ვერტმფრენის ჩამოგდება-მეთქი?*** *ბოლოს ვნახეთ, რომ, თურმე, ვერტმფრენის ჩამოგდება ყველას აწყობდა!“*

ახლა კი იმის შესახებ, რა ფეისბუქპოსტიც **მალხაზ მაჩალიკაშვილმა ემზარ კვიციანის** საპარლამენტო კომისიაზე გამოსვლის შემდეგ გამოაცხო!

**ეს ე.წ. „პოსტი“ გაურანდავი ქართულითაა დაწერილი, რომელშიც ვკითხულობთ:**

*„სოროსის ომი აფხაზეთში.*

*ტელევიზიებს მივმართავ, არ აქვს მნიშვნელობა, ეს სამთავრობო თუ კრიტიკული, დამოუკიდებელი ტელევიზიები. დაპატიჟონ ეს ვაჟბატონი, მოვალ მეც, ყველაფერს თავისი სახელს დავარქმევ, მთელი ქვეყნის მოსახლეობას ფაქტებით დავულაგებ, რამხელაზე იტყუება ეს კაცი. ერთ სიტყვით, ამისი აესეთი გამაოგნებელი მაშტაბის ტყუილებმა, მთელი საპარლამენტო საგა კომისია გააშიშვლა.*

***შენ კვიციანო, არ დაგავიწყდეთ და გახსოვდეთ, იმ გარიჟრაჟის მერე როგორც შენ ყველა კოორდინაცია გადეცი რუსებს, იმის მერე დაიბომბა ის ლოკაცია და დაიღუპა გამორჩეული 7 ვაშკაცი, მის მერე კი გილაევისთვის ასეთი მწარე ღალატი, ჩვენ ეს არ დაგვიწყებია და ვერც დავივიწყებთ.***

*არც ის დამვიწყებია , მე რომ ვითხივდი მაჩალიკაშვილის საქმეზე, საგა კომისიის შექმნა და მხარი რომ დამიჭირე, ამისთვის მადლობა, შეიძლება ეს სიკეთე რაღაც ეტაპზე გამოგადგეს კიდეც.*

***ტყუილი ეს კაცებში ტვეკაზე დაბალი საფეხურია.***

***ამ პოსტით დაინტერესდებით თუ არა , მე ორივე შემთხვევაში, წინასწარ მადლობას გიხდით“.***

ჩვენ შეგნებულად უცვლელად გთავაზობთ **მალხაზ მაჩალიკაშვილის** ამ „პოსტს“ და აქვე გთავაზობთ ამონარიდს ე.წ. ფეისბუქპოსტზე **ემზარ კვიციანის** პასუხიდან, რომელიც მან ოპერატიულად გამოაქვეყნა:

*„გამარჯობათ, ბატონო მალხაზ! ანუ ხელთათმანი მესროლეთ, ასე გამოდის! კი, ბატონო, მიღებულია!* **არ**

## „ჩეჩნებმა ესროლეს და ჩამოაგდეს გაეროს სამშვიდობო ძალების ვერტმფრენი, სადაც ცხრა ადამიანი იჯდა, მათ შორის ერთ-ერთი ჩვენი გოგონა იყო. იმ ჩეჩენმა პირდაპირ მითხრა – სოროსმა დამაფინანსაო!“

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*



კოდორის ხეობა, რომელიც **13 წელი შეინარჩუნა ადგილობრივმა მოსახლეობამ,** 2008 წელს **მოღალატეობრივად, ტყვიის გაუსროლელად ჩააბარა მიხეილ სააკაშვილმა.**

„პირველი არხი“

**ბექა ლილუაშვილი**
*„ქართული საქართველოსთვის“ წევრი*



**ნაცებთან გაერთიანება შეუძლებელია,** წარმოუდგენლად მიგვაჩნია ამ ხალხთან გაერთიანება, ვისთანაც **არანაირი თანხვედრა არ არსებობს.**

„პირველი არხი“

**გიორგი ბარამიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ზურაბიშვილის ახალი პლატფორმა** ახალი ნამდვილად არაა, სახელის გარდა, **ზურაბიშვილს უნდოდა, ყველა პარტიის ლიდერი ყოფილიყო,** მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან სწორი ნაბიჯები არ ან ვერ გადადგა.

„პირველი არხი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



მოვუწოდებ ამ ქვეყნის პატრიოტებს, **თუნდაც დაგვჭირდეს ძალის გამოყენება, უნდა გვესმოდეს, ძალას დავუმარცხებთ ძალით** — ვიდრე ფიზიკურად არ დავიცავთ თავს, მანამდე ვიქნებით თავდაცვის რეჟიმში.

„აიპრესი“

**გიგი უგულავა**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**სალომე ზურაბიშვილს** უნდა, სცენაზე მარტო იდგეს, მაგრამ **პასუხისმგებლობა სხვებმა აიღონ,** სასწორზე მთელი ქვეყანაა, **ხელების ჩამოშვების და ცხვირის აზიდვის დრო არაა.**

„პირველი არხი“



**„პატრიარქი წამოდგა... მეც წამოდგომას ვაპირებდი, მაგრამ დამსვა, მარცხენა ლოყაზე ხელი მომადო და მითხრა — ემზარ, შვილო, გაკურთხოს უფალმა! არ შეგეშვებიან, სანამ კოდორი არ ჩაბარდება, აფხაზეთი მიცემულია!“**

***მოველოდი თქვენგან ასეთ საქციელს! ესე იგი, თქვენ ამდენი წელი იცოდით, რომ მე გადავეცი რუსებს იმ ჯგუფის ადგილსამყოფელი, რომლის აზრზეც არ ვიყავი და გაჩუმებული იყავით?*** *ის, ვინც თქვენ ეს გითხრათ ან სხვისი პირით გადმოგცათ, რა თქმა უნდა, ჩემი მტერია და არც თქვენი მეგობარი. მისი მთავარი ამოცანაა, სახელი გამიტეხოს, მაგრამ ცოდნა არა აქვს, რა ხდებოდა შიგნით, გარედან აკვირდებოდა სიტუაციას.* ***ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო? იმ სამსახურის მაღალჩინოსანი ან ყოფილი მაღალჩინოსანი, რომლებმაც შვილი მოგიკლეს*** *(ბოდიშს ვიხდი ტკივილის შეხსენებისთვის).* ***ვფიქრობ დღეს, ვინ შეიძლება ყოფილიყო ეს პიროვნება და დავასკვენი, რომ ეს პიროვნება იქნება ის, ვინც ბელაევის მარში მოაწყო კოდორისკენ, ვინც ბელაევი შემატოვა 475 კაცით, ტყიბულის სპეცრაზმი 70 კაცით და ჩემი 8 კაცით ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე. ვინც გააუქმა შემდგომ გუბერნია კოდორის ხეობაში, ჩაიბარა ხეობა, მოამზადა ჩასაბარებლად და გადასცა სხვას გამზადებული, რათა თავად სუფთად გამოსულიყო და აღასრულა ნება მტრისა!*** *აბა, თუ მიხვდებით, მეგობრებო, ვინაა ეს კაცი? დარწმუნებული ვარ, ბატონი მალხაზი ხელად მიხვდა! დიახ, ეს* ***ირაკლი*** *იქნება,* ***ალასანია*** *— ის რუხი კარდინალი, რომელიც ჩუმად გვგმავდა თურმე გატაცებებს კოდორში, სადენების აფეთქებებს და სხვა მრავალ ცუღლუტობებს. წერტილი!* ***ეხლა კიდევ, თუ გექნა სურვილი ჩემთან პაექრობისა, მზად ვარ, მოვიდე ბიბლიით ან ხატით, ასევე მოვითხოვ შენგან ყურანს და მუფტიც უნდა გახლდეს, რომელიც დაიფიცებს შენს სისწორეში და მეც მოვიყვან მამას.*** *მე ინტერნეტით გამოვაცხადებ და ვთხოვ მამაოებს, ვინც მენდობა, მოვიდეს. მოსულთაგან თავად აგარჩევინებ, ვინ დამიდგეს ხატთან ფიცზე... ესაა ჩვენი მთის წესი და შევასრულოთ! პატივისცემით,* ***ემზარ კვიციანი!“***

ძვირფასო მეგობრებო, არც ემზარ კვიციანის ფეისბუქსტატუსისთვის გვიხლია ხელი და ყველაფერი უცვლელად გაგაცანით!

**როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფრის ფონზე ემზარ კვიციანს აღარ დარჩა სათქმელი, რომელიც კომისიის სხდომაზე ვერ თქვა და „ასავალ-დასავალი“ სიამოვნებით დაბეჭდავს?**

*მოამზადა*

***დიტო ჩუბინიძემ***

# ჰალსტუხიანი ხვლიკი და უჰალსტუხო გველი





***საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, რომელიც 2003 წლიდან მოყოლებული, ნაცმოძრაობისა და მთელი მისი სამგლეთის ჩადენილ დანაშაულებს იკვლევს, ორი თარგამაძე გამოიძახეს, მაგრამ არცერთი არ მივიდა!***

## საკაშვილს ისე ჰყავს გასვრილი და გამოწვრთნილი, ცხრაპირი ტყავი რომც გაიძრონ და გველის პერანგი ასგზის გამოიცვალონ, გველობას ვერც გივია თარგამაძე მოიშლის, ვერც ზაზა გოგავა, ვერც გია ლორთქიფანიძე და ვერც ჭუჭუ ვაშაძე ან ნიკუტუ გვარამია!

ერთი გახლავთ **გივია თარგამაძე,** ანუ **უჰალსტუხო გველი** — სააკაშვილის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერს ქართველ ხალხს **სულის ამოხდით** დაემუქრა! ხოლო მეორე — **გიორგი თარგამაძე,** ანუ **ჰალსტუხიანი ხვლიკი,** რომელიც, სადაც კი ფეხს შედგამს და დაიბუდებს, მაშინვე ტრაგედიები და გვამთა ცვენა იწყება!

**გივია თარგამაძეს** თეა წულუკიანის კომისია იმიტომ იხმობს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომისა და უკრაინიდან ჩამოწერილი იარაღის შესყიდვების შესახებ ყველაფერი იცის. უფრო მეტიც, არსებობს ინფორმაცია, რომ გორის დაბომბვის დროს **გივია თარგამაძე და ვანო მერაბიშვილი** რუსებს ევაჭრებოდნენ და სტალინის ძეგლის აფეთქებაში დიდძალ ფულს სთავაზობდნენ.

**სააკაშვილის უჰალსტუხო გველი,** რომელსაც რაიხსფიურერ მიხეილის დავალებით **ბადრი ხეჩუაშვილმა** უკანალი აუფეთქა და კინაღამ ჩვენი ჭირიც წაალებინა, უკრაინიდან არმატურისა და სხვა სამშენებლო მასალების უმსხვილესი შემომტანი იყო. **გივია თარგამაძე,** რომელსაც ადრე თავისუფლების ინსტიტუტში პონჩიკებისა და ლობიანების ფულს მიუგდებდნენ, დღეს ოფიციალური მულტიმილიონერია, რომელიც ნაცმოძრაობისგან დისტანცირებას და ნაალაფარის შეხვილიფებას ცდილობს, მაგრამ **დედო-გველს** — სააკაშვილს, **უჰალსტუხო გველი** მოატყუებს?

სააკაშვილს ისე ჰყავს გასვრილი და გამოწვრთნილი, ცხრაპირი ტყავი რომც გაიძრონ და გველის პერანგი ასგზის გამოიცვალონ, გველობას ვერც **გივია თარგამაძე** მოიშლის, ვერც **ზაზა გოგავა,** ვერც **გია ლორთქიფანიძე** და ვერც **ჭუჭუ ვაშაძე** ან **ნიკუტუ გვარამია.**

როგორც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, **გივია თარგამაძე** პირდაპირ თუ ირიბ კავშირშია ნაცხროვის მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულთან და მათ შორის გახმაურებულ მკვლელობებთან! მაგალითად, ვინმეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ **ბადრი პატარკაციშვილის** მოცილება **ჰალსტუხიან ხვლიკსა** და **უჰალსტუხო გველს,** ანუ **გივი და გიორგი თარგამაძეებს** აერთიანებთ? ბადრის მკვლელობამ არათუ **თარგამაძეები,** არამედ **ვალერი გელბახიანი და ელისტრაკო ქილაძეც** კი გააერთიანა, თუმცა, ამაზე სხვა დროს.

მკითხველს შევახსენებთ **ბადრი პატარკაციშვილის** მკვლელობიდან სულ ცოტა ხანში სააკაშვილის მიერ გაჟღერებულ ერთ ფრაზას, უფრო სწორად, წამოცდენას — **„ჩვენ რომ ლონდონში სპეცოპერაცია ჩავატარეთ!“**

როცა **სააკაშვილი** ამას ამბობდა, კადრში გამოჩნდა იქვე ახლოს მყოფი **უჰალსტუხო გველი — გივი თარგამაძე,** რომელსაც იქედნურად გაეღიმა. დარწმუნებული ვარ, თუ ამ ყველაფერს უყურებდა, კადრს მიღმა აუცილებლად გაიღიმებდა **ჰალსტუხიანი ხვლიკიც,** ანუ **გიორგი თარგამაძეც,** რომელიც საქართველოს ისტორიაში **შადიმან ბარათაშვილის, კახაბერ ყორღანაშვილის, სერგო ორჯონიკიძისა და გიგლა ბერბიჭაშვილის** გვერდით დაიმკვიდრებს ადგილს.

**ჰალსტუხიანი ხვლიკი** თეა წულუკიანის კომისიამ გამოკითხვაზე იმიტომ დაიბარა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომიდან ორ თვეში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუცია №1633-ს **გიორგი თარგამაძემ** დანარჩენ ნაცებთან ერთად მოაწერა ხელი და ქართველ ჯარისკაცებს ომის დანაშაული დააბრალა. ამ რეზოლუციაში ბევრი რამ წერია, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა **მე-11 პუნქტი,** სადაც ვკითხულობთ: *„ასამბლეა შეშფოთებულია ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ფაქტების გამო, რომლებიც ჩადენილ იქნა ორივე მხარის მიერ ომის მიმდინარეობისას, როგორიცაა მშვიდობიან მოქალაქეთა განზრახი ან გაუფრთხილებლობით გამოწვეული მოკვდინება ან დაჭრა ისევე, როგორც საკუთრების ხელყოფა. კერძოდ, განურჩეველი ძალისა და შეიარაღების გამოყენება სამოქალაქო ტერიტორიებზე როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის სამხედრო ძალების მიერ, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს, როგორც ომის დანაშაულები, რაც საჭიროებს საფუძვლიან გამოძიებას.“*

აი, სწორედ ამ რეზოლუციაზე ხელმოწერას ედავება **წულუკიანის კომისია ჰალსტუხიან ხვლიკს,** რომელიც ფელდეგერის მიერ საგანგებოდ გადაცემული მოსაწვევის მიუხედავად, კომისიაზე არ გამოცხადდა და დაიმალა!

მოკლედ, სიტუაცია ასეთია — **გივია თარგამაძე და გიორგი თარგამაძე,** რომლებმაც ცხონებული **ბადრი პატარკაციშვილი**, სავარაუდოდ, ერთად გაასუხარეს, ყველას და ყველაფერს უღალატეს და მერე 2008 წლის აგვისტოში ქართველი ჯარისკაცები ჰააგის სასამართლოს საჯიჯგნად გაწირეს, **თეა წულუკიანის კომისიას** ემალებიან. **ჰალსტუხიანი ხვლიკი** და **უჰალსტუხო გველი** საპარლამენტო-საგამოძიებო უწყებაში არ მიდიან, ჯერჯერობით იხტიბარს არ იტეხენ და ყინჩად აცხადებენ — **ეს ხელისუფლება არალეგიტიმურია და, შესაბამისად, არალეგიტიმური ხელისუფლების პარლამენტს არავითარ ჩვენებას არ მივცემთო!**

სწორედ ასე გაიძახოდნენ **მამუკა ხაზარაძეც და ბადრი ჯაფარიძეც,** მაგრამ მას შემდეგ რაც მათი საქმე გენერალურ პროკურატურას გადაეცა, ერთსაც და მეორესაც სახეზე **გივია თარგამაძის** აფეთქებული უკანალის ფერი ადევთ!

რა იქნება ხვალ და რა ფერი დაედებათ სახეზე **ჰალსტუხიან ხვლიკსა და უჰალსტუხო გველს,** ღმერთმა უწყის, თუმცა, **თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ, ვინც „არალეგიტიმურ“ კომისიას ეურჩებოდა, ყველა „არალეგიტიმური“ სასამართლოს წინაშე წარდგა,** მაშინ თარგამაძეების საქმე **მთლად კარგად არ უნდა იყოს!**

***დიტო ჩუბინიძე***

## ვინც „არალეგიტიმურ“ კომისიას ეურჩებოდა, ყველა „არალეგიტიმური“ სასამართლოს წინაშე წარდგა

## კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



მიზნის მისაღწევად საჭიროა, **ქუჩის პროტესტთან ერთად ბრძოლას მიეცეს პოლიტიკური ფორმატი** — შეიქმნას პროევროპული პოლიტიკური სპექტრის მონაწილეობით **წინააღმდეგობის პლატფორმა.**

„ახალი თაობა“

**თინა ბოქუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



საკმაო დრო გავიდა, რომ **ოპოზიციის რიგებში გაერთიანების რესურსი თუ არსებობს,** ეს მომხდარიყო, ამისთვის იყო **ზურაბიშვილის ფორმატი,** გაერთიანება თუ ვერ ხერხდება, დრო არ უნდა დავკარგოთ.

„პირველი არხი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



**სალომე ზურაბიშვილი** უფრო პრინციპული უნდა იყოს და **თბილისის მერად იყაროს კენჭი.**

„ახალი თაობა“

**ბაია პატარაია**
*არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ ხელმძღვანელი*



ზოგი თვლის, რომ **შენობები უნდა ავიღოთ,** ეს ნიშნავს დიდ დაპირისპირებას და **ციხეების გავსებას დემონსტრანტებით** — მე არც კი ვიცი, ვის შეუძლია ამის გაკეთება.

„აიპრესი“

***ბოლო რამდენიმე კვირაა, „ოცნების“ ხელისუფლება კანონს კანონზე იღებს და დროებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიაზე ერთმანეთის მიყოლებით იბარებს საზოგადოების ამა თუ იმ სპექტრის წარმომადგენლებს. რა ხდება ცის კაბადონზე და რას შეიძლება ველოდოთ უახლოეს მომავალში? — პოლიტიკურ ანალიზსა და პროგნოზს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი აკეთებს:***



მიხეილ ცაგარელი:

# ბეწვის ხიდი ჯერ კიდევ

— ტრადიციულად აპრილი, აგვისტო და ნოემბრის თვეები საქართველოსთვის მძიმეა, თუმცა, ამჯერად ასტროლოგიურად სხვა სიტუაციაა.

**— მაინც, როგორი?**

— იქნება ცალკეული გამოხტომები, მაგრამ მთლიანობაში 26 რიცხვამდე პერიოდი სტაბილურია. აპრილში მზე ვერძის ძალიან აგრესიულ ნიშანში იმყოფება ხოლმე. ამიტომაც არის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული თვე, მაგრამ ახლა გონების მმართველი პლანეტა მერკური და სიყვარულის მმართველი პლანეტა ვენერა თევზების ზოდიაქოში იმყოფება და მათი ადგილმდებარეობა თევზებში არბილებს აგრესიას. თუ არ ჩავთვლით 13 რიცხვს — სავსემთვარეობას — წელს აპრილი უფრო მშვიდი იქნება.

26 რიცხვის შემდეგ დედამიწა უარყოფით ენერგოველში გადადის და პლანეტებს შორისაც ურთიერთობა დაიძაბება. 27 აპრილს ახალმთვარეობა გვაქვს, შემდეგ — ორი ბოროტი პლანეტის, მარს-პლუტონის დაპირისპირება. ამიტომ **მაისი და ივნისი საკმაოდ რთული იქნება.** ძირითადი მოვლენები მსოფლიო მასშტაბით სწორედ ამ პერიოდში განვითარდება და გადაწყდება.

**ჩვენს მთავრობას ვურჩევ, 26 აპრილამდე მოაგვაროს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეები. მერე შეიძლება, მსოფლიოშიც აირიოს სიტუაცია და გაუჭირდეს კანონების თუ სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. ევროკავშირსაც, შეიძლება, მაისში უფრო მკაფრი რეაქციები ჰქონდეს.**

მესმის, რატომ ფრთხილობს და ითმენს დასავლეთიდან წამოსულ შეურაცხყოფას ჩვენი ხელისუფლება. არ სურს ბოროტების იმპერიის ნაწილის, ევროკავშირის ზედმეტად გაღიზიანება, იქაურების აყაყანება, თორემ გერმანიის ელჩი დიდი ხნის წინ უნდა გაეძევებინათ ქვეყნიდან. მე მაინც მიმაჩნია, რომ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები უნდა დაჩქარდეს. აპრილის თვე ამ მხრივ ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს.

**ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ეს მთავრობა ამომრჩევლის წინაშე დადებულ პირობას ასრულებს და აკეთებს იმას, რაც ქვეყანას სჭირდება!**

***— ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები, ინიციატივები თუ დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის მუშაობა ამაზე არ მიანიშნებს?***

— გასულ კვირას ისევ ესროლეს პიროტექნიკა პარლამენტის შენობას. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ აქვთ გაცნობიერებული, რას ნიშნავს სახელმწიფო და როგორ იქცევა წესიერი სახელმწიფო მაშინ, როდესაც მოქალაქე კანონს არღვევს. ყველა დამნაშავე ყოველმიზეზგარეშე უნდა დაიჭირონ და შესაბამისად აგებინონ პასუხი. ჩვენმა მსახიობებმა და ვაიინტელიგენციამ თავიანთი ზღაპრები — ცოდოა და როგორ შეიძლება მაგათთვის პასუხის მოთხოვნაო, — თავიანთ ბებია-ბაბუებს მოუყვნენ. გადახედონ მათ სათაყვანებელ ამერიკასა და ევროპას, ამგვარ კანონდარღვევაზე როგორ იქცევა იქ პოლიცია. თუ ევროპაში უნდათ შესვლა, ნუ უკვირთ, რომ დამნაშავის დასჯა აუცილებელია. ასე რომ, ხელისუფლებამ იმოქმედოს ისე, როგორც ევროპელები მოქმედებენ!

ძალიან კარგი ქნეს, **ელენე ხოშტარია** რომ დააკავეს. დიდი ხანია, დასაჭერი და გასაროზგია ისიც და მამამისიც. ხომ გახსოვთ, პირველი, ვინც ზვიად გამსახურდიას უღალატა, სწორედ **გოგი ხოშტარია** იყო. შეიძლება ახალგაზრდებმა არ იციან, მაგრამ ჩვენ გვახსოვს, როგორ ღრიალებდა ტელევიზიის შენობაში — რატომ გაუშვით ზვიადი აქედან ცოცხალიო? კვიცი გვარზე ხტის, მაგრამ, მგონი, ამ ქალბატონმა მამამისსაც გადაუსწრო ღალატში!

12 წელიწდია, ბაქიბუქობენ და კაციშვილი ხელს არ ჰკიდებს ოპოზიციონერებს. ამასობაში ახალი ძალებიც გამოზარდეს, რომელთაც მუდმივად ჩასძახიან — მიდით, მიაწექით, ეს მთავრობა ვერაფერს დაგაკლებთო. ისინი ჯერ კიდევ იღებენ დაფინანსებას სოროსის ფონდიდან და ევროკავშირისგან. გასაგებია, რომ ხელისუფლება ერთი ხელის მოსმით ყველა პრობლემას ვერ მოაგვარებს, მაგრამ ახლო მომავალში სოროსის ფონდიც უნდა გააძევოს საქართველოდან და ევროპული ფულიც დააკონსერვოს. როცა ხელისუფლება გადამწყვეტ ზომებს მიიღებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს, მერე ნახეთ, როგორ შეიცვლება მათი რიტორიკა!

კარგია, რომ **ბიძინა ივანიშვილმა** დაპირებული პირობის შესრულება დაიწყო და დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია შეიქმნა, მაგრამ სიტყვები მხოლოდ სიტყვებად არ უნდა დარჩეს.

## ყველა ის ადამიანი, ვინც უარი თქვა კომისიის სხდომაზე მისვლაზე, პროკურატურის მიერ სათანადოდ უნდა დაისაჯოს!

***— მამუკა ხაზარაძემ ამის შესახებ განაცხადა — ხელისუფლების არ მეშინია, არალეგიტიმური პარლამენტის ცირკში არ მივალო!***

— **მამუკა ხაზარაძე** რას ამბობს, ვის რაში აინტერესებს?! მასე, ჩემთვის **მამუკა ხაზარაძეა** არალეგიტიმური ტიპი და რამე იცვლება ამით? **არ ეშინია, იმიტომ, რომ 12 წელიწადია, ჯეჯილობს, რაც უნდა, იმას ამბობს და აკეთებს.** დიახ, **მამუკა ხაზარაძე** ამ ხელისუფლების გაფუჭებულია. ახლა, კეთილი ინებოს და თავისი გაფუჭებული საქმე გამოასწოროს!

კიდევ ერთი — დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია 2008 წლის მოვლენებთან ერთად, რატომ არ იძიებს, სად გაქრა მუზეუმიდან განძეულობა, მათ შორის, ირანის შაჰის ნაქონი ნივთები? სააკაშვილის მთავრობის წევრებმა ბათუმიდან ერთ ღამეში გაიტანეს და გაყიდეს ყველაფერი. უზარმაზარი ფული აიღეს. ეს ხომ უდიდესი ეროვნული დანაშაულია ქვეყნის წინაშე?!

სათანადოდ უნდა იქნას გამოძიებული, ვის და როგორ დაუთმეს დავითგარეჯი. თუ ერთი კომისია ვერ აუვა საქმეს, მეორე, მესამე კომისია შედგეს, რომელიც ამ თემებსაც საფუძვლიანად შეისწავლის.

რაც შეეხება მკვლელობებზე სიმართლის დადგენას, ვფიქრობ, ამ საქმეებს თავად შეერთებული შტატები და ევროპა აკონსერვებდა. რამდენჯერაც მოინდომეს გამოძიება, იმდენჯერ დაუქნიეს იქიდან ხელი. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო და **ბიძინა ივანიშვილი** სწორედ ამ სიფრთხილეს იჩენს. ეროვნული განძეულობის გამოძიების საკითხი ამერიკას ნაკლებად ადარდებს, მაგრამ იქ, სადაც მათი ხელი ურევია, ჯერ ამ საქმეების თაროდან ჩამოღება სახიფათოა, ყოველი შემთხვევისათვის მანამ, ვიდრე გაირკვევა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობა და შტატებში სიტუაცია ჩვენს სასიკეთოდ შეიცვლება. **თუ ტრამპის ადმინისტრაცია საჭიროდ მიიჩნევს, რომ დემოკრატების მიერ ხელშეწყობილი მკვლელობის საქმეები გაიხსნას, მათ შორის, ზურაბ ჟვანიას მკვლელობაც, ეს მოხდება.**

***— ფიქრობენ, რომ 2008 წლის თემის წინ წამოწევით ბიძინა ივანიშვილი რუსეთის საქმეს აკეთებს. ომის დაწყებაში საქართველოს დადანაშაულებას ცდილობსო...***

— აბა, ხომ არ იტყვიან, ბიძინა ივანიშვილი გენიალური პიროვნებაა და საქართველოს აღორძინებისთვის იბრძვისო?! ივანიშვილი და პუტინი უნდა აგინონ, ამით შოულობენ ფულს.

## მე ის ადამიანები მაკვირვებს, ვისაც კიდევ სჯერა, რომ ე.წ. ოპოზიცია რუსეთს უპირისპირდება და ბიძინა ივანიშვილი პუტინის კაცია.

მათ წარმოდგენა არა აქვთ, რა არის გეოპოლიტიკა. რუსეთის საქმე დიდი ხანია, გაკეთებულია, ასე რომ, რაც არ იცით,





## „დიდი ხანია, დასაჭერი და გასაროზგია ელენე ხოშტარიაც და მამამისიც!“

## კვირგვინოსნები

**ანა მიქაძე-ჩიქვაიძე**
*ყველის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე*



ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ **ლაშა პაპაშვილი რომ საკვებში ურევს სკინტლს რაღაც დოზით, ახლა გაიგეს?** სკინტლის მთები და გორები რომ იდგა ლაშას ფერმაში, ახლა გაიგო მომხმარებელმა და საზოგადოებამ ან თუნდაც მაკონტროლებელმა? ახლა რომ ანეკდოტად გადაიქცა და წყევლიან და კრულავენ, **სად იყო 20 წელი ეს საზოგადოება, რომელმაც არაერთხელ ნახა სკინტლი მის ფერმაში.** იცით, რამდენი ადამიანი ჩადიოდა იქ ექსკურსიაზე? სულ იდგა ის გორა იქ. ეს ახალი ამბავი არ არის, რომ რაღაც დოზით მონაწილეობს კვებაში. **რატომ აკრძალა ევროპამ სკინტლი თავის საკვებში? რატომ აკრძალა ამერიკამ რამდენიმე წლის წინ?** იმიტომ, რომ მოიმატა ქათმების კვებაში ზრდის ჰორმონმა. მოიმატა ანტიბიოტიკებმა, რადგან სახორცე ქათმების ბიზნესი გაიზარდა. **რძე გავიგეთ, მაგრამ ვინმემ დავსვით კითხვა, იმ ხორცსა და კვერცხს რომ ვჭამთ, იქ რა არის?** ქათმების გამოსაკვებად ზრდის ჰორმონს და ანტიბიოტიკებს იყენებენ, რაც უსაფრთხო არ არის არც ქათმის ხორცისა და კვერცხის მოხმარების შემთხვევაში.

„NEWS.GE“

**სოსო მანჯავიძე**
*ანალიტიკოსი*



სურსათის ექსპორტიორი იყო უკრაინა, ჩვენ იმპორტიორი ქვეყანა ვართ. არ გვაქვს სტრატეგიული ზურგი და სიღრმე, **ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა დატრიალდებოდა აქ.** გავიხსენოთ, 2008 წლის აგვისტოში, **ომის დაწყებიდან მეორე დღეს, მაღაზიაში პურს და ძეხვს ვერ დაინახავდი.**

„თბილისელები“

**თათული ელიშერაშვილი**
*მსახიობი*



**ქუჩაში ცეკვა** პატრიოტიზმია და **დაბადების დღეზე ცეკვა** სამშობლოს ღალატი ყოფილა. **ვერ იტანენ კარგ ხასიათზე მყოფ ადამიანებს**. მიხედეთ თქვენს ცხოვრებას და იქნებ უკეთესად იგრძნოთ თავი. **როგორ ბედავთ ან ვინ გეკითხებათ, დამიდგინოთ, სად ვიარო, სად ვიმუშაო და ვინ მიყვარდეს?!**

„ახალი თაობა“

იმაზე ნუ საუბრობთ, გაჩუმდით მაინც, სასაცილოები ხართ!

ის, რაც 2008 წელს მოხდა, ჩვეულებრივი გარიგება იყო. **ორმაგმა აგენტმა მიხეილ სააკაშვილმა** საქართველოს ხარჯზე ჯერ რუსეთის საქმე გააკეთა, მერე — დასავლეთის. კაცმა იყო. დღესაც ნაციონალები ამერიკასთან შეთანხმებით ვითომ ანტირუსულ საქმეს აკეთებენ, არადა, ამერიკელები და რუსები ერთმანეთთან არიან მოლაპარაკებული და ჩვენ გამოვყავართ სულელების როლში.

დღეს **გიული ალასანია** კომენტარებს კი არ უნდა იძლეოდეს და თავის შვილს აღმაშენებელს ადარებდეს, სირცხვილით თავს გარეთ არ უნდა ჰყოფდეს. უნდა რცხვენოდეს, რომ ქვეყნის მოღალატე, ფაშისტი შვილი გაზარდა! ასე რომ, სასწრაფოდ უნდა ამოქმედდეს ღალატის მუხლი და, პირველ რიგში, სწორედ სააკაშვილს უნდა წაუყენონ!

არაერთხელ მითქვამს, მათ შორის თქვენთან ინტერვიუშიც, სანამ ქვეყანაში სამართალი არ აღდგება და ნაციონალები პოლიტიკურად არ დასრულდებიან, საქართველო წინ ვერ წავა-მეთქი! **იმედია, დროებითი**

### „რაც შეეხება მკვლელობებზე სიმართლის დადგენას, ვფიქრობ, ამ საქმეებს თავად შეერთებული შტატები და ევროპა აკონსერვებდა. რამდენჯერაც მოინდომეს გამოძიება, იმდენჯერ დაუჭკნიეს იქიდან ხელი. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო და ბიძინა ივანიშვილი სწორედ ამ სიფრთხილეს იჩენს!“



## „ჩვენს მთავრობას ვურჩევ, 26 აპრილამდე მოაგვაროს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეები!“

# გასავლელი გვაქვს!

## ყველაფერი რუსეთს ჩააბარა — ენერგომატარებლები, ტერიტორიები და **ბიძინა ივანიშვილია** კიდევ რუსეთის კაცი?

2003 წელს ნოემბრის მოვლენების დროს რატომ ჩამოვიდა საქართველოში **ივანოვი?** ვინ მოიყვანა სააკაშვილი ხელისუფლებაში? ფართოდ გაახილეთ თვალები! ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ სააკაშვილის ბიოგრაფიას. კიევში სწავლის დროს იყო „კაგებეს“ ეფრეიტორი, რუსეთის მიერ გადაბირებული. როცა ყველაფერი გაუკეთა რუსეთს და ფული შემოელია, მერე ამერიკელებთან გადავიდა. მაკკეინის ინსტიტუტიდან უზარმაზარ თანხებს იღებდა. 2008 წელს, ფაქტობრივად, ორივეს საქმე გააკეთა, რუსეთისაც და ამერიკისაც. მაკკეინი კი იმ მომენტში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა და ძალიან სჭირდებოდა რუსეთისგან მონსტრის დახატვა.

სააკაშვილი თავისი ორმეტრიანი ენით საქართველოს მოსახლეობას აჯერებდა, რუსეთი მტერიაო. სინამდვილეში რუსეთთან თავიდანვე შეკრული

**საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის მუშაობა წყალში არ ჩაიყრება და ამ შედეგებამდე მივალთ!**

**— მისცემს კი დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას მსგავსი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას?**

— კიდევ ერთხელ ვამბობ — ევროკავშირი, ბაიდენი და ა.შ. არიან დემონური ძალების მოციქულები, ბოროტების იმპერიის წარმომადგენლები. ასეთ ევროპასთან და ამერიკასთან არანაირი საქმის დაჭერა არ ღირს და ნაკლებად მნიშვნელოვანია, რას იტყვიან!

**— არც ტრამპის ამერიკასთან?**

— ამ კუთხით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი. წინა ინტერვიუში გითხარით, **დიფ სთეითი** არსად წასულა, უბრალოდ, ლიბერალური ფრთა კონსერვატიულმა ჩაანაცვლა და ტრამპი აღარ გვახვევს თავზე ლგბტ პროპაგანდას, არ მიდის ოჯახური ღირებულებების წინააღმდეგ. თუმცა, მეორე მხრივ, მძიმე რიტორიკით მოვიდა — დანიას გრენლანდიის წართმევას უპირებს, მექსიკის ყურეს ამერიკის ყურე უნდა ეწოდოსო... ვინ მისცა ამის უფლება?!

დიდი ხანია, ვამბობ, 2025 წელი რთული იქნება-მეთქი. სწორედ წელს უნდა გაირკვეს,



## „მამუკა ხაზარაძე ამ ხელისუფლების გაფუჭებულია. ახლა, კეთილი ინებოს და თავისი გაფუჭებული საქმე გამოასწოროს!“





## „დღეს გიული ალასანია კომენტარებს კი არ უნდა იძლეოდეს და თავის შვილს აღმაშენებელს ადარებდეს, სირცხვილით თავს გარეთ არ უნდა ჰყოფდეს. უნდა რცხვენოდეს, რომ ქვეყნის მოღალატე, ფაშისტი შვილი გაზარდა!“

გადანაწილების შედეგად, ვის რა დარჩება. მესმის **ბიძინა ივანიშვილის** და საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ლიდერების და ნამდვილად არ ვისურვებდი მათ ადგილზე ყოფნას. მაქსიმალურად ფილიგრანულად უნდა იმოქმედონ, თან შიდა ოპოზიცია გაანადგურონ, რათა გზა გაუხსნან ახალ ძალას. საქართველომ ერთი პატარა შეცდომაც რომ დაუშვას, შესაძლოა, სავალალო შედეგამდე მივიდეთ, რადგან ბეწვის ხიდი ჯერ კიდევ გასავლელი გვაქვს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ვსვამ კითხვას — როგორ არის ძალიან მძიმე ვითარება, **როცა ამ მიტინგებზე საქართველოს მასშტაბით სტატისტიკური ნული დადის,** მილიონნახევრიან ქალაქში **რამდენიმე ასეული ადამიანი გროვდება.** „რეზონანსი“

**გიორგი კაპანაძე**
*2008 წელს თილვის თემის გამგებელი*



არავის არ უთქვამს, **გამეკეთებინა მოსახლეობის ევაკუაცია,** ჩვენ თვითონ მოვიფიქრეთ — **ხალხმა თავს თვითონ უშველა.** „იმედინიუსი“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



როცა ჩვენს ქვეყანაში არის დიქტატურა, **ჩვენ დემოკრატიულ არჩევნებზე არ უნდა ვისაუბროთ.** ეს დაახლოებით იგივეა, **რომ ნიანგს ლექცია წაუკითხო** ვეგეტარიანელობის აუცილებლობის შესახებ. „ახალი თაობა“

**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*



ევროპელი პოლიტიკოსების მნიშვნელოვანი ნაწილი **რუსოფობიის მწვავე ფორმით დაავადდა,** საუკეთესო წამალი **უახლესი რუსული რაკეტებია.** „რეზონანსი“

**პაატა ბაირახტარი**
*ეკონომისტი*



არ ველოდები, რომ **ბინების ფასი** 10-15 წლის წინანდელ ნიშნულს დაუბრუნდება, მაგრამ **აუცილებლად დაიკლებს.** „რეზონანსი“

**რუსუდან თევზაძე**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



**ნაცებთან ერთად ყოფნა ვერ წარმოგვიდგენია.** „ახალი თაობა“

***მადის აღმძვრელი ქიმიური ნივთიერებები, რომლითაც საკვები პროდუქტებია გაჟღენთილი, კაცობრიობის წინაშე ნამდვილ დილემას ქმნის. ქართველი მეცნიერი და ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი გვაფრთხილებს, რომ რაც უფრო მიმზიდველი და მადის აღმძვრელია გასაყიდად გამოტანილი საკვები პროდუქტი, დიდი ალბათობით, საშიში ქიმიური დანამატებით არის გაჯერებული, რაც ჯანმრთელობისთვის სახიფათოა:***





**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი: სურსათის გლობალურ მაფიას ნატრიუმის გლუტამატის საშიშ პროდუქტად გამოცხადება არ აწყობს!




— ალბათ, ხშირად გვინახავს და გაგვისინჯავს ე.წ. გრილში შემწვარი და კარგად დაბრაწული გაურკვეველი წარმომავლობის ქათმები და ხორცეული, რომლებიც ძალიან მაცდურად გამოიყურებიან და მადის აღმძვრელ სურნელს გამოსცემენ. უმეტეს შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალიან საშიშ პროდუქტებთან, რომლებსაც, როგორც გარეგნული ეფექტის, ისე მადის აღმძვრელი სურნელისა და გემოს მისაცემად უმატებენ ისეთ სახიფათო სინთეზურ საღებავს, რომელსაც **სუდანი** ეწოდება.

**— ბატონო კახა, რა არის სუდანი და თუ ასეთი საშიში ნივთიერებაა, რატომ შემოაქვთ ის საქართველოში?**

— სუდანს კვების პროდუქტებთან საერთო არაფერი აქვს. ის საშიში ქიმიური ნაერთია, რომელსაც დიზელის საწვავის წარმოებაში იყენებენ. **სუდანი** ფართოდ არის დანერგილი საფეიქრო მრეწველობაში ქსოვილების შესაღებად, მაგრამ საკვებად მისი გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია. **სუდანი** არის სხვადასხვა ფერის და გრილში შემწვარ ქათმებს კანზე უმეტესწილად სწორედ მას უსვამენ, რათა ხორცმა კარგად დაბრაწულის შთაბეჭდილება დატოვოს და კლიენტი მიიტყუოს.

**სუდანის** წარმოება საქართველოში აკრძალულია, ამიტომ ის ჩვენში არალეგალურად შემოაქვთ, ძირითადად, ინდოეთიდან, ჩინეთიდან, ტაილანდიდან და აზიის სხვა ქვეყნებიდან. **ვაფრთხილებ მოსახლეობას:** როცა ე.წ. გრილში შემწვარ და გასაყიდად გამოტანილ ქათამს არაბუნებრივად კაშკაშა ფერი აქვს და საუკეთესოდ დაბრაწულის შთაბეჭდილებას ტოვებს, იცოდეთ, რომ მას ქიმიური შხამი სუდანი აქვს წასმული, რომელიც კიბოს იწვევს!

**არაკეთილსინდისიერი მწარმოებლები სუდანს ურე-**



**ვენ ძეხვში, სოსისში, სარდელსა და ყველა იმ ხორცპროდუქტში, სადაც კლიენტის მისაზიდად ხასხასა წითელი ფერის მიღება აუცილებელია.** ხასხასა და მიმზიდველი ფერის მისაცემად იგი შესაძლოა, ე.წ. პიკულშიც კი გამოიყენონ!

**— ე.წ. გრილში შემწვარ ქათმებს სუნიც მართლაც გასაოცარი აქვთ, ეს რისი დამსახურებაა და რამდენად ბუნებრივია ეს ყველაფერი?**

— როცა პომიდორს მოვწყვეტთ, დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში მას აქვს სასიამოვნო არომატი და სურნელი, რაც ბუნებრივი ნაერთის გლუტამინის მჟავას მარილების დამსახურებაა. ეს ნაერთი პირველად იაპონელებმა აღმოაჩინეს... მე-20 საუკუნის 50-ან წლებში შექმნეს მისი ხელოვნური, ქიმიური ანალოგი — **ნატრიუმის გლუტამატი,** რომელიც გამოსცემს საოცრად მადის აღმძვრელ სურნელს. **ნატრიუმის გლუტამატი** აღაგზნებს ადამიანის გემოვნების რეცეპტორებს, თავის ტვინს და გვაიძულებს, სულ ისეთი საკვები მივიღოთ, რომელიც სწორედ ამ ნივთიერებით იქნება გაჟღენთილი!

ნებისმიერი ხორცპროდუქტი, რაგინდ უგემური და საზიზღარი გემოსი იყოს, **ნატრიუმის გლუტამატის** დამატების შემდეგ ხდება არაჩვეულებრივად გემრიელი, მადის აღმძვრელი და სურნელოვანი. თუ ასეთი პროდუქტი გარედან **სუდანით** არის გაფორმებული, ჩათვალეთ, რომ ჩვენ წინაშეა, ერთი შეხედვით, დელიკატესი, მაგრამ სინამდვილეში — შხამი! **ნატრიუმის გლუტამატით** გაჯერებული საკვების ხშირად მიღებას ახასიათებს ღებინება და თავის ტკივილი. ამ ემულგატორის სახელწოდებაა E-621.

**— ნატრიუმის გლუტამატი ყველა წყაროში უსაფრთხო პროდუქტად არის აღიარებული. რა ხდება?**

— კი ბატონო, **ნატრიუმის გლუტამატი** მართლაც აღიარებულია უსაფრთხოდ. ვიკიპედიაში პირდაპირ წერია, რომ ეს საკვები დანამატი არატოქსიკურია და მის ნეგატიურ თვისებებზე არავითარი სარწმუნო მონაცემები არ არსებობს. ამიტომ ის თითქმის ყველგან გვხვდება — ჩიფსებში, პოპკორნში, ქათმის ბულიონში, ჰამბურგერებში, ძეხვეულში, სოსისში, სალათებში, ფასფუდში და ა.შ. **ხელოვნური ნატრიუმის გლუტამატი** პროდუქტის გემოს აძლიერებს, წარმოუდგენლად სასიამოვნო შეგრძნებებს იწვევს და სულ უფრო და უფრო მეტი გვინდა მივიღოთ... მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ **ნატრიუმის გლუტამატიანი** საკვებით თაგვები გასუქდნენ, დაემართათ დიაბეტი, მეტაბოლური დარღვევა და ღვიძლის გაცხიმოვნება? მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ნატრიუმის გლუტამატი ნახშირწყალი არ არის, საცდელ თაგვებში მან ასეთი კატასტროფული შედეგები მაინც გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ხომ წარმოგიდგენიათ, რას უზამს მისი ხშირი მიღება ადამიანებს?!

**— თუ ნატრიუმის გლუტამატმა ცხოველებში ასეთი დამანგრეველი შედეგები გამოიწვია, მაშინ რატომ არ არის ამის შესახებ მითითებული ცნობარებში და რატომ არ აფრთხილებენ ადამიანებს, რომ ის სახიფათოა?**

— საქმე ის გახლავთ, რომ **ნატრიუმის გლუტამატით** გაჯერებული საკვების მწარმოებლებს უფლება აქვთ, აწარმოონ კვლევა, მაგრამ ისინი ამ კვლევებს არ ატარებენ!

**— კი მაგრამ, სახელმწიფომ ჩაატაროს ეს კვლევა!**

— ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ სურსათის გლობალურ მაფიას ხელოვნური **ნატრიუმის გლუტამატის** საშიშ პროდუქტად გამოცხადება არ აწყობს! მიზეზი მარტივია — **ხელოვნური ნატრიუმის გლუტამატით** გაჯერებულ საკვებს ადამიანი შეჭამს უზომოდ ბევრს მაშინ, როცა **გლუტამატის** გარეშე დამზადებულ იმავე საკვებს ნორმალური ოდე-

**„ხელოვნური ნატრიუმის გლუტამატი ჰიპოთალამუსს თრგუნავს, რის შემდეგაც ადამიანი საკუთარ შეგრძნებებს ველარ აკონტროლებს და იმაზე მეტ საკვებს ღებულობს, ვიდრე სჭირდება!“**

## კვირგვინოსნები

**არსენ გვენეტაძე**
*ექიმი, პედაგოგი, პროფესორი*



მე ვისწავლე ცხოვრება ისე, **თითქოს ყოველი დღე უკანასკნელია.** მას შემდეგ, რაც **სიმსივნე დავამარცხე,** ჩემს თავს ვუთხარი, რომ შეუძლებელი არაფერია და ამას მივუძღვენი **4-ტონიანი მონუმენტი,** რომელიც ახლა კუს ტბაზე დგას, ჰქვია **„მზის ამოსვლა“** და აწერია, რომ **ეძღვნებათ ადამიანებს, რომლებმაც სიკვდილის შიში დაამარცხეს.**

„კვირის პალიტრა“

**მარიკა სამანიშვილი**
*მსახიობი*



არ მჯერა, როცა ამბობენ — **არასოდეს მიეჭვიანია.** მიუხედავად იმისა, რომ თენგო ის მამაკაცია, რომელსაც არ უღალატია ჩემთვის **და მისთვის ეჭვიანობის სცენები არასდროს დამიდგამს,** მიგრძნია, როცა ვილაცას მოსწონებია.

„სარკე“

**თამუნა გომართელი**
*ჟურნალისტი, ტელეწამყვანი*



ქმარი მეუბნება, რომ **ჩემში ერთდროულად ხუთი სხვადასხვა ქალია.**

„სარკე“

**ლაშა ლონტი**
*მომღერალი*



**საქართველოს 3 დღით რომ ვშორდები,** დეპრესია მეწყება და წარმომიდგენია, რას განიცდიან ადამიანები, რომლებიც **წლებია, სამშობლოში არ ყოფილან.**

„კვირის პალიტრა“

**დავით კენჭიაშვილი**
*მომღერალი*



მინდა, **ძაღლების სასტუმრო მქონდეს,** ქუჩის ძაღლებს იქ გადავიყვანდი და მათზე ვიზრუნებდი.

„კვირის პალიტრა“

# «ვაფრთხილებ მოსახლეობას:

**როცა ე.წ. გრილში შემწვარ და გასაყიდად გამოტანილ ქათამს არაბუნებრივად კაშკაშა ფერი აქვს და საუკეთესოდ დაბრაწულის შთაბეჭდილებას ტოვებს, იცოდეთ, რომ მას სუდანი აქვს წასმული, რომელიც კიბოს იწვევს!“**



ნობით მიირთმევს და მოკლე ხანში დანაყრდება!

**— მაინც რას აკეთებს ხელოვნური ნატრიუმის გლუტამატი ისეთს, რომ ადამიანს მგლური მადა მოსდის და ზომაზე მეტს ჭამს?**

— ჰიპოთალამუსი თავის ტვინის ის ნაწილია, რომელიც, ფაქტობრივად, ადამიანის ორგანიზმში თითქმის ყველაფერს აკონტროლებს. მასში არის განსაკუთრებული ზონა, რომელიც შიმშილსა და მაძღრობას შორის ბალანსს განსაზღვრავს. თაგვებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ **ხელოვნური ნატრიუმის გლუტამატი** სწორედ ჰიპოთალამუსს ანგრევს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ **ხელოვნური ნატრიუმის გლუტამატი** ჰიპოთალამუსს თრგუნავს, რის შემდეგაც ადამიანი საკუთარ შეგრძნებებს ვეღარ აკონტროლებს და იმაზე მეტ საკვებს ღებულობს, ვიდრე სჭირდება!

ყოველდღიურად ადამიანი საკვების მეშვეობით დაახლოებით 600-დან 2500 მილიგრამამდე ხელოვნურ ნატრიუმის გლუტამატს ღებულობს. რესტორანში ერთხელ ქეიფის დროს კი ეს მაჩვენებელი შესაძლოა, 5000 ერთეულამდეც კი ავიდეს... ბევრი იტყვის, **ნატრიუმის გლუტამატი** საკვებ პროდუქტებში ბუნებრივად ისედაც არსებობსო! კი ბატონო, ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ქიმიური წესით მიღებული **ნატრიუმის გლუტამატი,** რომელსაც წინასწარ თავისუფალ ფორმებად შლიან, სისხლში კოსმოსური სიჩქარით, არაბუნებრივად ხვდება, რაც საზიანოა. იგივე შეიძლება ითქვას **ფრუქტოზის სიროფზეც...** მთელი უბედურება ის არის, რომ საკვებში ბუნებრივად შემავალ **ნატრიუმის გლუტამატში** თავისუფალი გლუტამატი ძალზე მცირეა მაშინ, როცა ხელოვნურში მისი მაჩვენებელი 80 პროცენტია. ჩინურ რესტორნებში მადის აღმძვრელი გემოები, ძირითადად, **ხელოვნური ნატრიუმის გლუტამატით** არის შექმნილი. სწორედ ეს განაპირობებს ე.წ. ჩინური რესტორნის სინდრომს, როცა დანაყრების შემდეგ ბევრ ადამიანს თავისტკივილი და თავბრუხვევა აღენიშნება...

**— კიდევ რომელი მადის აღმძვრელი საშუალება ვიცით, რომელიც ჯანმრთელობისთვის საშიშია?**

— ჯანმრთელობისთვის ძალზე სახიფათოა E-250, ანუ **ნატრიუმის ნიტრატი,** რომელიც კონსერვატიც არის და მადის აღმძვრელი დანამატიც... მწარმოებლები **ნატრიუმის ნიტრატით** ახერხებენ, გაზარდონ ამა თუ იმ პროდუქტის ვარგისიანობის ვადა. პურის მწარმოებლები ხშირად პურს უმატებენ E-924-ს, ანუ **კალიუმის ბრომატს,** რომელიც მას ანიჭებს არომატს, ჰაეროვნებას, სირბილესა და დიდხანს შენახვის უნარს, მაგრამ **კალიუმის ბრომატი** კიბოს იწვევს!




**«სვანური მარილი იმდენად ბუნებრივი და მადის აღმძვრელი საშუალებაა, რომ ნებისმიერ კერძში შეიძლება გამოვიყენოთ!»**



**— მერედა, ვინმე ამას საქართველოში ამოწმებს?**

— არ მგონია, რომ საქართველოში პურში **კალიუმის ბრომატის** შემცველობა მოწმდებოდეს! ღვინოში ხშირად უმატებენ E-220-ს, ანუ გოგირდის დიოქსიდს, რომლის ხშირი მიღებაც თირკმლის უკმარისობას იწვევს! აი, ასეთ მადის აღმძვრელ შხამებთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა საქართველოში უხსოვარი დროიდან გახლავთ დამკვიდრებული ქართული ბუნებრივი სანელებელი **ულუმბო,** ანუ იგივე **უცხო სუნელი,** რომელიც არამარტო მადის აღმძვრელი ბუნებრივი საშუალებაა, არამედ იცავს და არეგულირებს ენდოკრინულ, ნერვულ, გულსისხლძარღვთა და იმუნურ სისტემებს. უცხო სუნელი შეიცავს **კუმარინს,** რომელსაც ძალიან ძლიერი ანტივირუსული მოქმედება გააჩნია... უცხო სუნელი შეიცავს აფროდიზიაკებსა და საპონინებს, რომლებიც მამაკაცურ პოტენციას ამაღლებენ. **უცხო სუნელის მიღების შედეგად მამაკაცებში ტესტოსტერონის გამომუშავება 25 პროცენტით იზრდება და სპერმა უფრო ხარისხიანი ხდება.**

გასაოცარი ბუნებრივი მადის აღმძვრელი საშუალებაა ე.წ. **სვანური მარილი,** რომელიც ნივრის, ზაფრანის, მარილის, ძირასა და სხვა ქართული, ბუნებრივი სანელებლების იშვიათი ნაერთია. სვანური მარილი იმდენად ბუნებრივი და მადის აღმძვრელი საშუალებაა, რომ ნებისმიერ კერძში შეიძლება გამოვიყენოთ!

**— რას იტყვით აჯიკის შესახებ?**

— **აჯიკა** უნიკალური მეგრული პროდუქტია. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ, ვინც ხშირად ღებულობს შავ წიწაკას, ვირუსული ინფექციების მიმართ მისი ორგანიზმი საოცრად მდგრადია. **ჩემი რჩევაა, მეგრული აჯიკა და შავი წიწაკის შემცველი სანელებლები, რომლებიც ამავე დროს მადის აღმძვრელი საშუალებებია, აუცილებლად და ხშირად მივიღოთ!** როგორც წითელ, ისე შავ წიწაკაში შედის **კაპსაცინი,** რომელიც ძლიერ ტკივილგამაყუჩებელი ნივთიერებაა... ხმელი სუნელი, რომელიც უამრავი ქართული კერძის, მათ შორის, ლობიოსა და ხარჩოს შემადგენლობაში შედის, უძლიერესი მადის აღმძვრელი საშუალებაა. ამ თვალსაზრისით ასევე განსაკუთრებით საინტერესოა **ზაფრანაც,** რომელიც ყველა დანარჩენ სიკეთესთან ერთად შარდმდენიც არის და ნაღვლმდენიც.

**— თუ არის შემთხვევა, როცა ქართული სანელებლების გამოყენება ჯანმრთელობისთვის სახიფათოა?**

— გულის არითმიის დროს, იმისათვის, რომ თრომბები არ წარმოიშვას, ექიმები ნიშნავენ პრეპარატ **ვარფარინს.** ქართული სანელებლები, მათ შორის, აჯიკა და სვანური მარილი, ძალიან მდიდარია K ვიტამინით, რომელიც ჭრილობების შეხორცებას უწყობს ხელს და ორგანიზმისთვის ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ამავდროულად ის არის სისხლის ანტაგონისტი და ვარფარინის მოქმედებას ანეიტრალებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართულმა სანელებლებმა და მადის აღმძვრელმა დანამატებმა შესაძლოა, თრომბის განვითარებას შეუწყოს ხელი. ზოგადად, სანელებლები და მწვანილები მსოფლიოში არის ერთ-ერთი უდიდესი ბიზნესი. ქართული მწვანილი და სანელებლები თავისი გემური თვისებებითა და მახასიათებლებით მსოფლიოში საუკეთესოა, მაგრამ ამ ბოლო დროს ქართულ მწვანილს შავი პიარი აუგორეს და დაგვაბრალეს — თქვენი სანელებლები და მწვანილები დიდი რაოდენობით ტყვიას შეიცავსო! ცხადია, ეს გაკეთდა ხელოვნურად, რათა ქართული მწვანილისთვის გზა მოეჭრათ და საქართველოში ინდოეთიდან და ჩინეთიდან **სუდანის** მსგავსი შხამი შემოეტანათ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**მარიამ შენგელია**
*მომღერალი*



ყველაფრისთვის მზად ვარ, რადგან არავინ იცის, **რა შეიძლება „ევროვიზიაზე“** მოხდეს. ჩემზე არ არის დამოკიდებული, იქ რა გადაწყდება, თუმცა, **ჩემი ქვეყნისა და ჩვენი ემიგრანტების გვერდით დგომის იმედი მაქვს.**

„თბილისელები“

**ვახო ბიჭიკაშვილი**
*მსახიობი*



**ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები,** წარმატებულები თითქმის ყველა სფეროში, გაფანტულები ვართ სხვადასხვა ქვეყანაში და **ჩვენი ერის წარმომადგენლების წარმატებებით მართლა ანათებს ჩვენი ქვეყანა მსოფლიო რუკაზე.**

„თბილისელები“

**ალექსანდრე ზაზარაშვილი**
*მომღერალი*



**ჩემი თავი ბოლომდე მყავს შესწავლილი** და ხელში მიჭირავს, **როგორც მინდა, ისე მოვმართავ.**

„თბილისელები“

**ცისანა სეფიაშვილი**
*კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის მეუღლე*



**ჩემი ოცნება,** რომელიც არ ამიხდა, იყო ის, რომ **მინდოდა, მოლარე ვყოფილიყავი.**

„თბილისელები“

**ლოლა ნუცაშვილი**
*ინფლუენსერი*



ადრე **ზედმეტი წონის გამო არ მეპატიჟებოდნენ პაემანზე,** ახლა მიუწვდომელ ქალად მთვლიან.

„სარკე“

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი აცხადებს, რომ საქართველო უძველესი საზღვაო ქვეყანაა, რომლის ისტორიაც ამ კუთხით ცუდად არის შესწავლილი:*

— მთელ ევროპაში გემის უძველესი სახელწოდებაა **ნავი** და **პლოტი**, რაც ძველი ბერძნული ენიდან მომდინარეობს. საკუთრივ **გემი** თურქული სიტყვაა, **იალქანიც** თურქულია... რაც შეეხება მცურავი ობიექტის ქართულ სახელწოდებას, ეს არის **ტივი**, რაც წყალზე ტივტივს უკავშირდება. ამასთანავე, ქართულში არსებობს ცნება და სიტყვა **ხომალდი**, რომელიც წარმოშობილია მეგრული და სვანური სიტყვიდან **ხვამარდი** და ორი სიტყვის კომპოზიტს წარმოადგენს. ერთია **ხვა**, რომელიც წმინდა ქართული მარცვალია და ბევრი მნიშვნელობა აქვს, ხოლო **მარდი** ასევე უძველესი ქართული სიტყვაა და **სწრაფს, ცქვიტს** ნიშნავს. **ხვამარდი** ნებისმიერ შემთხვევაში იშიფრება, როგორც სწრაფად მოძრავი ობიექტი.

მსოფლიო ნაოსნობაში, უძველესი დროიდან მოყოლებული მე-19 საუკუნემდე, გემები ორ კატეგორიად იყოფოდა — სავაჭრო და სამხედრო-სამეკობრეოდ. სავაჭრო გემები იყო დიდი და ნელი, ხოლო სამხედრო-სამეკობრეო — შედარებით პატარა და სწრაფი. ძველი ბერძნული ფლოტი, ძირითადად, სავაჭრო იყო, ხოლო ქართული გემები, კერძოდ, მეგრული, აფხაზური და ლაზური ხომალდები, როგორც **ვახუშტი ბატონიშვილი** გვაუწყებს, ძირითადად, სამხედრო-სამეკობრეო გემებს წარმოადგენდნენ.

**— სხვათაშორის, მეკობრეც სუფთა ქართული სიტყვაა!**

— ევროპულ ენებში **მეკობრეს** შეესატყვისება **პირატი** და **კორსარი... მეკობრე** იმდენად თავისთავადი სიტყვაა, შეუძლებელია, იმ ხალხის ლექსიკონში გაჩენილიყო, რომელსაც ზღვასთან და ზღვაოსნობასთან კავშირი არ ჰქონდა... ჯერ კიდევ **აპოლონიოს როდოსელი**, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში ცხოვრობდა, თავის **არგონავტიკაში** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბერძნების მიერ ოქროს საწმისის გატაცებიდან დაახლოებით 12 საათის შემდეგ ბერძნულ ფლოტს გამოეკიდა კოლხური ფლოტი, რომელსაც მედეას ძმა და აიეტის ვაჟი **აფსირტე** მეთაურობდა. მართალია, საზღვაო ბრძოლაში იგი დაიღუპა, მაგრამ ის ფაქტი, რომ **იასონსა** და მის ამფსონებს დადევნებული კოლხური ფლოტი ზღვაში თორმეტი საათის შემდეგ გავიდა და ბერძნულ ფლოტს მაინც დაეწია, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ კოლხებს ბერძნებთან შედარებით გაცილებით მაღალხარისხოვანი და სწრაფმავალი გემები ჰყავდათ.

შესაძლოა, მთელი ეს ამბავი მითია, მაგრამ მთავარი სხვა რამეა — ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნის ბრძენი მეცნიერი **აპოლონიოს როდოსელი** სრულიად დასაშვებად მიიჩნევს, რომ კოლხებს უძველესი დროიდან ბერძნულზე ბევრად ძლიერი სამხედრო ფლოტი ჰყავდათ!

**— აპოლონიოს როდოსელის ამ ვარაუდს რა რეალური საფუძველი აქვს?**

— გემთმშენებლობისთვის საჭირო მატერიალურ შესაძლებლობებს რომ თავი გავანებოთ, რომელიც კოლხებს ყოველთვის ბერძნულზე უკეთესი ჰქონდათ, აქ საგულისხმოა მეორე ფაქტიც. კერძოდ, მეცნიერების მიერ ძალიან კარგად არის შესწავლილი **მითრიდატე მეექვსე ევპატორის** ომები რომთან, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 89 წლიდან 63 წლამდე, ანუ მის სიკვდილამდე გაგრძელდა. ამ ომების საწყის ეტაპზევე **მითრიდატემ** შექმნა გრანდიოზული სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომლის გამოყენებით მთელი საბერძნეთის დაპყრობას შეეცადა.

**მითრიდატე მეექვსე ევპატორის** ფლოტი თითქმის თავიდან ბოლომდე დაკომპლექტებული იყო კოლხებით და კოლხეთში დამზადებული გემებით. მოგეხსენებათ, **მითრიდატე** პირველივე ომში დამარცხდა რომაელ სარდალ **ლუციუს კორნელიუს სულასთან** და დროებითი ზავის თანახმად, პონტოში დაბრუნება მოუწია. სწორედ ამ დროს **მითრიდატემ** დაკარგა კონტროლი ამ გრანდიოზულ კოლხურ ფლოტზე, რომელიც უკვე შავი ზღვიდან იყო გასული და ეგეოსის ზღვაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, მეზღვაურებს რომთან ბრძოლაზე ხელი არ აუღიათ და ხმელთაშუა ზღვაში მოძებნეს ხელსაყრელი ადგილი საიმედო სადგომის მოსაწყობად. ეს სადგომი თავისი ბუნებრივი პირობებით ძალიან წააგავდა აჭარის, ლაზიკისა და აფხაზეთის სანაპიროებს. საუბარია კილიკიაზე, სადაც ისევე, როგორც აჭარაში, აფხაზეთსა და ლაზიკაში, შესაძლებელი იყო ნავების ზღვის ნაპირზე გადაყვანა და მთიან ხეობებში მათი დამალვა. როგორც ჩანს, ამ ტაქტიკას ლაზი მეკობრეები საქართველოს სანაპირო ზოლში უხსოვარი დროიდან წარმატებით იყენებდნენ.

კოლხების ნავები და თავად კოლხი მეზღვაურები ამ ტაქტიკას იდეალურად იყვნენ მორგებული და მოწინააღმდეგის მიერ მათი შეპყრობა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. ძველი წელთაღრიცხვის 80-ანი წლებიდან დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 60 წლამდე რომის რესპუბლიკას თავზარს სცემდნენ ე.წ. **კილიკიელ პირატებად** ქცეული კოლხი მეკობრეები. გამორიცხული არ არის, ამ პერიოდში კოლხმა ზღვაოსნებმა რომის ასაკლებად სხვა ეთნიკური წარმოშობის პირატებიც შეიერთეს. ფაქტი ერთია — ხანდახან იქმნებოდა ვითარება, როცა ძლევამოსილი რომი არათუ ეგვიპტიდან, თვით სიცილიიდანაც კი ვერ ახერხებდა ხორბლის მიღებას პირატების შიშით. **გნეუს პომპეუსს** ათ წელზე მეტი დასჭირდა, რათა **კილიკიელ მეკობრეთა**, ანუ სინამდვილეში **კოლხ ზღვაოსანთა** ეს ძალმომრეობა აღეკვეთა!


დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2, 3-14

## სვიმონ მასხარაშვილი:

## 1962 წლის ოქტომბერში, ე.წ. კარიბის კრიზისის დროს, ქართველმა ზღვაოსანმა, ვიცე-ადმირალმა გიორგი აბაშვილმა არ შეასრულა სულელი ნიკიტა ხრუშჩოვის ბრძანება და მსოფლიო ბირთვული კატასტროფისგან იხსნა!

**— კოლხურ ფლოტს, როგორც „ძლევამოსილს“ საგანგებოდ ახსენებენ რომაელი ისტორიკოსები, მათ შორის აპიანეც!**

— კოლხეთის, როგორც საზღვაოსნო ქვეყნის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული **ანიკეტის** სახელთან. **დიონ კასიუსის** ცნობით, **ანიკეტი** წარმოშობით სამეგრელოდან, კერძოდ, ხობისწყლის ხეობიდან იყო. იმ პერიოდში, როცა ის დაიბადა, კოლხეთი, პონტო და კილიკია ერთ სამეფოდ იყო გაერთიანებული და რომის ვასალურ სახელმწიფოდ ითვლებოდა. ამ სამეფოს მართავდა **მარკუს ანტონიუსის** შთამომავალი **პოლემონი**. ძველი წელთაღრიცხვის 27 წლიდან, როცა რომის რესპუბლიკა იმპერიად იქცა, მასში რამდენიმე ავტონომიური სამეფო შევიდა — იუდეა, კაბადოკია, არმენია, ბოსფორის სამეფო, პონტო, ლაზიკა და კილიკია. იბერია ამ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, რომელიც რომის მეგობარი და მოკავშირე გახლდათ. **ანიკეტი** არ იყო რომის მოქალაქე. ყველაზე იოლი გზა, რათა ვინმე რომის იმპერატორის პირად სამსახურში აღმოჩენილიყო, იყო იმპერატორის მონად გაფორმება. **ანიკეტი** იურიდიულად გახდა **პოლემონის** მონა და ჩაირიცხა მის ფლოტში, რომელიც ერთიანი რომაული ფლოტის სტრუქტურას წარმოადგენდა. ძალიან მალე **ანიკეტი** პონტოს ფლოტის სარდალი გახდა. ახალი წელთაღრიცხვის 58 წელს მან მოხიბლა იმპერატორი **ნერონი** და რომის იმპერატორის პრეტორიანული ფლოტის მეთაურად დაინიშნა. 59 წელს სწორედ **ანიკეტის** რჩევით მოხდა **ნერონის** მიერ დედამისის **აგრიპინა უმცროსის** მკვლელობის ორგანიზება. **ნერონმა** ნეაპოლის სიახლოვეს უმასპინძლა დედას, სადაც **ანიკეტის** ფლოტი იყო განთავსებული და ქალი ერთ-ერთი საუცხოოდ მოწყობილი გემით სასეირნოდ გაუშვა. გემი ჩაიძირა... მართალია, **აგრიპინა** მაშინ გადარჩა, მაგრამ იმავე დღეს ნაპირზე გამოსულს მოუღეს ბოლო... როგორც ჩანს, **ანიკეტი** ამის შემდეგ **ნერონის** უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა. ისიც აშკარაა, რომ **ნერონმა პოლემონი** სწორედ **ანიკეტის** რჩევით გადააყენა, პონტოს მეფობა თავად შეითავსა, ხოლო რეალური ძალაუფლება **ანიკეტის** ხელში გადმოვიდა. 63-69 წლებში **ანიკეტი**, ფაქტობრივად, მართავდა პონტოს.

**— ცნობილია, რომ სწორედ ამ პერიოდში კოლხეთმა დაიბრუნა დამოუკიდებლობა და იქ გამეფდა სედოხეზი, რომელიც ასევე ხობისწყლის ხეობიდან იყო.**

## – მდინარე ხობისწყლის ხეობის მკვიდრი ანიკეტი იურიდიულად რომის იმპერიის ადმირალი იყო, მაგრამ, ფაქტობრივად, კოლხური ფლოტით თავის ჭკუაზე მართავდა მთელ შავ ზღვას!

68 წელს **ნერონი** რომ დაამხეს, ერთმანეთს ოთხი იმპერატორი ჩაენაცვლა. რომში არეულობა დაიწყო... **ანიკეტი** მხარს უჭერდა იმპერატორ **ვიტელიუსს**. როდესაც იგი **ვესპასიანემ** დაამხო, **ანიკეტმა** დაიკავა ტრაპიზონი და გადაწყვიტა, მთელი შავი ზღვა რომისთვის მოეწყვიტა. **ვესპასიანემ** მთელი რომის ფლოტი დაძრა **ანიკეტის** წინააღმდეგ. **ანიკეტი**, ბოლოს და ბოლოს, დამარცხდა და ხობისწყლის ხეობაში თავი შეაფარა კოლხეთის მეფე **სედოხეზს**. სამწუხაროდ, **სედოხეზი** და **ვესპასიანე** გარიგდნენ — **სედოხეზმა** ანიკეტი იმპერატორს გადასცა, ხოლო რომმა, ფაქტობრივად, ლაზიკის დამოუკიდებლობა აღიარა!

**— ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ყველაფერი, მგონი, სხვანაირად არის აღწერილი...**

— საუბედუროდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ფაქტი მხოლოდ **„მონა ანიკეტის აჯანყების“** სახელით არის


ვიცე-ადმირალი გიორგი აბაშვილი


ნიკიტა ხრუშჩოვი

# „ოსმალეთის სამსახურში მყოფმა წარმოშობით ქართველმა ადმირალებმა უდიდესი როლი ითამაშეს ეგვიპტეში ნაპოლეონის განადგურებაში!“



## „გნეუს პომპეუსს ათ წელზე მეტი დასჭირდა, რათა კოლხ ზღვაოსანთა ძალმომრეობა აღეკვეთა!“

ცნობილი და საერთოდ გამოტოვებულია მისი კონტაქტები **ნერონთან, აგრიპინასთან, ვიტელიუსთან და ვესპასიანესთან.** უფრო მეტიც, კოლხთა მეფე სედოხეზის სახელი გაიგივებულია ტომთან, რაც სიგიჟეა... სწორედ ამიტომაა, რომ ქართული ზღვაოსნობის შესახებ ცნობები მწირია. არადა, ოსმალეთის იმპერიაში ე.წ. **კაპუდან-ფაშების,** ანუ უმაღლესი ადმირალების სიაში დომინირებს ორი ეთნოსი — მე-15-მე-17 საუკუნეებში სერბები და ბოსნიელები, ხოლო მე-17 საუკუნის შუახანებიდან მე-19 საუკუნის ბოლომდე — ქართველები! მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეული იყვნენ: **ხოჯა დერვიშ მეჰმედ-ფაშა, აბაზა სიაუშ-ფაშა, ბალთაჯი მეჰმედ-ფაშა, სილახდარ სულეიმ-ფაშა, ჯეზაირლი ღაზი ჰასან-ფაშა, ხოჯა იუსუფ-ფაშა, ქუჩუკ ჰუსეინ-ფაშა, ხოჯა ხუსრევ მეჰმედ-ფაშა, დამა ბურჯუ ხალილ რიფად-ფაშა.** ესენი არიან ეთნიკური ქართველები, საქართველოში დაბადებული ქართველი ბავშვები, რომლებიც ან გაიტაცეს, ან გაყიდეს, ან თავისი ინიციატივით წავიდნენ სამშობლოდან. თითქმის ყოველ მათგანს რამდენჯერმე ეკავა ოსმალეთის დიდი ვეზირის, ანუ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, მათ მოაწყვეს ოსმალეთის ფლოტი ევროპულ ყაიდაზე და ეხმარებოდნენ დიდით ქართველ **სელიმ მესამეს** (1789-1807 წ.წ.) რეფორმების გატარებაში. სწორედ მათ სახელთან არის დაკავშირებული ცნობილი ტანზიმატი — როცა მე-19 საუკუნეში ოსმალეთის იმპერია ევროპულ სახელმწიფოდ უნდა გარდაქმნილიყო. **ოსმალეთის სამსახურში მყოფმა წარმოშობით ქართველმა ადმირალებმა უდიდესი როლი ითამაშეს ეგვიპტეში ნაპოლეონის განადგურებაში!**

**— ცნობილია, რომ ერთმა ქართველმა ზღვაოსანმა მსოფლიო ბირთვული კატასტროფისგან იხსნა!**

— 1962 წლის ოქტომბერში, ე.წ. კარიბის კრიზისის დროს, ქართველმა ზღვაოსანმა, ვიცე-ადმირალმა **გიორგი აბაშვილმა** არ შეასრულა სულელი **ნიკიტა ხრუშჩოვის** ბრძანება და არ დაბომბა ვაშინგტონი ბირთვული ჭურვებით. ამით მან მსოფლიო ბირთვული კატასტროფისგან იხსნა! მოგეხსენებათ, მაშინ საბჭოთა ფლოტი კუბაში იდგა და **აბაშვილი** სწორედ ამ ფლოტს სარდლობდა. ისიც ცნობილია, რომ **ნიკიტა ხრუშჩოვმა** პირველი ბრძანების გაცემიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ბრძანა, გაეუქმებინათ ვაშინგტონის დაბომბვა... **აბაშვილის** ადგილზე რომელიმე რუსი სალდაფონი რომ ყოფილიყო და სულელი **ნიკიტა ხრუშჩოვის** ბრძანება მონური მორჩილებით შეესრულებინა, მერე ვერავინ ვერაფერს გააუქმებდა და, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „აპოლონიოს როდოსელი სრულიად დასაშვებად მიიჩნევს, რომ კოლხებს უძველესი დროიდან ბერძნულზე ბევრად ძლიერი სამხედრო ფლოტი ჰყავდათ!“




**იმედის კლინიკა**
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80
სამშობიარო სახლი
საავადმყოფო



**მაღაზია «ბუკვიცა»**
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
**გიდმედი**
GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

**მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!**

წლების განმავლობაში ვერ მოვირჩინე **ჰაიმორიტი**, ბოლოს ვეღარც კი ვსუნთქავდი. პირველად თქვენს გაზეთში ვნახე რეკლამა **თოდუების საგვარეულო წამლებისა და მალამოების** შესახებ და **ქალბატონ ლამარასთან** მივედი. მან **ამ სენისგან სამუდამოდ განმკურნა,** წლებია, თავს ჩინებულად ვგრძნობ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი. ***პატივისცემით მარინა ქებაძე***

**ქალბატონ ლამარას** ემადლიერება ასევე **სერგო ბარამიძე,** რომელსაც **ცხვირზე სიმსივნე** ჰქონდა. **თოდუების საგვარეულო მალამოს** წყალობით პაციენტი **ცხვირის დაჩირქებული ნაწილის მოჭრას გადაურჩა.** მკურნალისადმი მადლიერებას გამოთქვამს **ანა სანაიაც,** რომელსაც **სახეზე ორი ვირუსული მეჭეჭის** მოწვის შემდეგ ვირუსი მთელ სახეზე მოედო. მისი განკურნება მხოლოდ **ქალბატონმა ლამარამ** შეძლო. **ზურა ლალოშვილი და მაყვალა უგრეხელიძე ლამარა თოდუას** ოჯახის ექიმად თვლიან, წლების განმავლობაში, როცა **მკურნალობა სჭირდებათ,** მათთან დახმარების სათხოვნელად მიდიან.

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52


**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. ლისიმაქე; 7. ღორჯო; 11. ქვირითი; 12. ტურა; 13. პარალელი; 14. ღვინო; 15. მგოსანი; 16. მოკო; 17. ანაბიოზი; 21. ნაირა; 22. ფილიპი; 25. ქსილოფონი; 26. პიპინია; 30. ტიტანია; 31. პალანტინი; 35. სტუმარი; 36. პილოტი; 39. ინკუბატორი; 40. დეკორი; 41. ნარჩიტა; 42. აპელანტი; 46. სოფია; 49. მისისიპი; 53. დეკემბერი; 55. კალია; 58. იდიოტი; 59. მაზარინი; 60. კოსტავა; 61. სპინინგი; 62. გირაო; 63. პი; 64. ჩოჩარა.

შვეულად: 1. ლეპრა; 2. სირმა; 3. მულტი; 4. ექიმი; 5. სინოდი; 6. პირატი; 7. ღილინი; 8. როინიში; 9. ოტომანი; 10. ბროკერი; 18. ნასკა; 19. ბელუგა; 20. ზლოტი; 22. ფიტი; 23. ლიტრი; 24. პონტო; 26. პასი; 27. პიურე; 28. ნიამორი; 29. ამიმია; 31. პრიმა; 32. ლაკმე; 33. ნუბია; 34. ნეონი; 35. პინკი; 37. ლარსი; 38. ტაიტი; 40. დასი; 43. პრელატი; 44. ლიეპაია; 45. ნიბლია; 47. ფხა; 48. ასი; 49. მი; 50. სედანი; 51. სტოუნი; 52. პაიკი; 54. რეისი; 55. კასკო; 56. ლიანა; 57. ავარა.

**მონაკოლეგატიტანინიკოლონაგრიგიშერიფიფაფარი**
**არგონილოსიონიქსილოლიტაბუხარაკირილეკვირადა**

## საეკლესიო კალენდარი



7 აპრილი - ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა



8 აპრილი - კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა

✝ 7 აპრილი. ორშაბათი. **ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.**

✝ 8 აპრილი. სამშაბათი. **წარგზავნა ღმრთისმშობლის ხარების დღესასწაულისა. კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა;** მღვდელმოწამისა ირინეოსისა, სირმიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: ბათუსი და ვერკი ხუცესთა, არპილე მონაზონისა, საეროთა: აბიბოსი, აგნისა, რეასესი, იგათრაქსისა, ისკოისა, შილასი, სიგიცესი, სონირილესი, სვიმგლესი, თერმესი, ფილესი და დედათა: ანასი, ალასი, ლარისასი, მოიკოსი, მამიკასი, უირკოსი, ანიმაისასა, გაათასი — გუთელი დედოფლისა და დუკლიდასი; ღირსისა მალქოს ასურისა; ღირსისა ვასილი ახლისა; ღირსისა თეოფილე იკონომოსისა.

✝ 9 აპრილი. ოთხშაბათი. მოწამისა მატრონა თესალონიკელისა; მოწამეთა მანუელისა და თეოდოსისა; ღირსისა იოანე წინამხედველისა, ეგვიპტელისა.

✝ 10 აპრილი. ხუთშაბათი. იოანესი, მანგლელი ეპისკოპოსისა; ღირსისა ილარიონ ახლისა, პელიკიტელი იღუმენისა; ღირსისა სტეფანე სასწაულმოქმედისა, აღმსარებელისა, ტრიგლიელი იღუმენისა; მოწამეთა: იოანასი, ბარაქისესი და სხვათა მათთანა; მოწამისა ბოიანისა, ბულგარელი მთავრისა.

✝ 11 აპრილი. პარასკევი. მოწამეთა: მარკოზისა, არეთუსიელი ეპისკოპოსისა, კირილე დიაკონისა და სხვათა მრავალთა; ღირსისა იოანე მეუდაბნოისა, ევსტათი აღმსარებელისა, ბითვინიელი ეპისკოპოსისა.

✝ 12 აპრილი. შაბათი. **ლაზარეს შაბათი. ქებაი და დიდებაი ქართული ენასაი.** ღირსისა იოანე სინელისა; წინასწარმეტყველისა იოადისა; მოციქულთა, სამოცდაათთაგანთა: სოსთენისა, აპოლოსისა, კეფასი, კესარისა და ეპაფროდიტესი; წმიდისა ევბულასი, დიდმოწამე პანტელეიმონის დედისა; ღირსისა იოანე მდუმარისა.



13 აპრილი - ბზობა

✝ 13 აპრილი. კვირა. ბზობა. **უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში.** მღვდელმოწამისა იპატისა, ღანგრელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამეთა: ავდასი, სპარსელი ეპისკოპოსისა და ბენიამენ დიაკონისა; ღირსისა იპატისა, რუფიანელი იღუმენისა.

# კროსვორდი

თარაზულად: 1. ანდრეი ტარკოვსკის ფილმი; 6. ქათმის „სამშობლო“; 7. კანფეტის სახეობა; 8. ქალაქი საქართველოში; 9. რძის პროდუქტი; 14. ბალახოვანი მცენარე, რომელიც გამოიყენება საკმაზად; 15. სარწყავი არხი; 16. ძველი ეგვიპტის უზენაესი ღვთაება, ოსირისის და; 18; თურქეთის დედაქალაქი; 19. ერთი იაპონურად; 20. კარაქის წარმოებისას წარმოქმნილი პროდუქტი; 22. ქართული ანბანის მეთვრამეტე ასო; 23. საჭადრაკო ფიგურა; 23. მესამე მუსიკალური ნოტი; 25. საცივის ინგრედიენტი; 27. სკანდინავიის ქვეყნებში მიმართვა გათხოვილი ქალისადმი; 28. ცნობილი ქართული ანსამბლი; 29. მაიონეზის მწარმოებელი ფირმა; 30. მდინარე კოლუმბიაში; 31. გოგრა მეორენაირად.

შვეულად: 1. მუსიკალური გამის მე-2 საფეხური; 2. განსაზღვრული ფაქტორების მიმართ ორგანიზმის ზემგრძნობელობა; 3. მამრი ადამიანის სინონიმი, რომელიც ქართულში მდედრსაც ახლავს; 4. აშშ-ის მე-40 პრეზიდენტი; 5. ლამაზი ფარფატა მწერი; 10. ისლამური კალენდრით მარხვის პერიოდი, მე-9 თვე; 11. წითური; 12. ერთწლოვანი ბოლქვიანი მცენარე; 13. შემოდგომის ხილი; 17. ქალთევზა; 21. ვრცელი მიდამოს ხედი ზემოდან; 22. შიგთავსიანი გადახვეული ნამცხვარი; 26. ვარდისებრთა ოჯახის სამკურნალო მცენარე; 27. თოფის სახეობა.



1. კაცი, რომელსაც ლიზვარაზურა ძლიერ უყვარდა; 2. მადამ ბოვარი; 3. პასტერნაკის პერსონაჟი – ექიმი; 4. დროის მონაკვეთი; 5. წვრილი ხმა; 6. ავერიკელები ო-ს შემდეგ ამბობენ; 7. უთვალავი; 8. ლედი...; 9. ერთი ქულა ნარდში; 10. კუბის დედაქალაქი; 11. იაპონური თამაში; 12. სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ ტაოში; 13. ღვთაებრივების მამა; 14. რისი ექიმია კარდიოლოგი?; 15. მამათა მონასტერი; 16. რუსული თვითმფრინავი; 17. ააშენა; 18. ლორის ჯოგი; 19. მოპასანის სახელი; 20. სამად მოსაკეცი ხატი; 21. ავტომობილებით შეჯიბრება; 22. დიდი ბალი; 23. ცისფერი; 24. ... – ურბნისის კრება; 25. მეორე ნოტი; 26. წინაღობის ერთეული; 27. მუცელში ჩასავარდნი; 28. ქალაქი რაჭაში; 29. მონადირის ჩანთა; 30. დარტყმით ამობურცული ადგილი შუბლზე; 31. ბატონო (იაპ.); 32. კაცის მოსწავლე; 33. რას ამბობენ თანხმობისას?; 34. ... რიჩი; 35. შესაძლებლობა; პასუხები იხ. ამავე გვერდზე; 36. ზღაპრის დასასრული; 37. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 38. ინდირა...; 39. მოკლე თავთავის კონა; 40. პარაგვაის დედაქალაქი; 41. ხელის ხელზე ცემა; 42. კავშირი არჩევანის დროს; 43. სასვენი ნიშანი; 44. ... ბარსია; 45. მარდი, ცქვიტი; 46. ბოტი; 47. თანხმობა ფრანგულად; 48. ხვედის საპირისპირო





**კროსვორდის პასუხები**

თარაზულად: 1. სტალკერი; 6. კვერცხი; 7. ნუგა; 8. ვალე; 9. არაჟანი; 14. ომბალო; 15. რუ; 16. ისიდა; 18. ანკარა; 19. იჩ; 20. დო; 22. სანი; 23. კუ; 24. მი; 25. ნიგოზი; 27. ფრუ; 28. რერო; 29. კალვე; 30. მეტა; 31. კვახი.

შვეულად: 1. სეკუნდა; 2. ალერგია; 3. კაცი; 4. რეიგანი; 5. პეპელა; 10. რამადანი; 11. ჟღალი; 12. ნიორი; 13. კარალიოკი; 17. სირინოზი; 21. პანორამა; 22. სიგარეტი; 26. კუნელი; 27. ფილთა.

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:** მურმან ლებანიძე, პიზის კოშკი, ენდი მაკდოუელი

1. კეჟერაძე; 2. ემა; 3. ჟივაგო; 4. ერა; 5. კრინი; 6. ქეი; 7. მირიადი; 8. დი; 9. ოინი; 10; ჰავანა; 11. გო; 12. ოშკი; 13. პო; 14. გულის; 15. ლავრა; 16. ილ; 17. ააგო; 18. კოლტი; 19. გი; 20. ტრიპტიქი; 21. რალი; 22. პარკი; 23. ზის; 24. რუის; 25. რე; 26. ომი; 27. ენა; 28. ონი; 29. იაგდტაში; 30. კოპი; 31. სან; 32. ლომი; 33. კის; 34. გაი; 35. უნარი; 36. აქა; 37. გენია; 38. განდი; 39. ძნა; 40. ასუნსიონი; 41. ტაში; 42. ან; 43. ტირე; 44. ენდი; 45. კისკასი; 46. შტო; 47. ვი; 48. ძუ.

## კვირგვინოსნები

**ვიკა კალანდია**
*მსახიობი, ტელეწამყვანი*



**ჩადიხარ პატარა გოგო უცხო ქვეყანაში** და ყველას უნდა დაუმტკიცო, რა შეგიძლია — ეს დიდი გამოწვევაა. **გადავწყვიტე, ჩემი კომფორტის ზონა დამეტოვებინა საქართველოში და წამოვსულიყავი.** „თბილისელები“

**ნინო დავითიანი**
*მომღერალ გია დავითიანის შვილი*



მამას **შვილებმა მოვაყვანინეთ ცოლი,** არ გვინდოდა, მარტოობისთვის ყოფილიყო განწირული. „სარკე“

**ანი ქექუა**
*მომღერალი*



**არ მინდა, ძლიერი ქალი ვიყო,** დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი **საზრუნავ ობიექტად.** „თბილისელები“

**გვანცა ციხელაშვილი**
*მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი ლათინურ ცეკვებში*



გადის დრო და მერე ხვდები, თურმე იმიტომ შეგხვდა ამდენი წინააღმდეგობა, რომ **მსოფლიო მასშტაბის ადამიანი** უნდა გამხდარიყავი. „თბილისელები“

**ბექა ქაფიანიძე**
*მსახიობი*



მამა რომ ცოცხალი იყოს, გულში ჩამიკრავდა. **ყოველთვის მარიგებდა და გზას მასწავლიდა.** უნდოდა, სამშობლოსთვის მეცხოვრა. „სარკე“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



**ნარკოპოლიტიკა** ეხება არა მხოლოდ **ნარკოტიკების მომხმარებლებს,** არამედ მთელ საზოგადოებას. „იმედინიუსი“

***ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" გმირი ლამარა — იგივე მარინა დარასელია, ჰოროსკოპის მიხედვით, ხარის წელიწადშია დაბადებული, ხოლო ზოდიაქოს ნიშნით ვერძია. როგორც თვითონ ამბობს, ვერძის თვისებები ემთხვევა მის ხასიათს, რაც, ძირითადად, მის ენერგიულობასა და გულწრფელობაში გამოიხატება:***



# მარინა დარასელია:

# ჩემი ნიშანია ვერძი და დაბადებული ვარ ხარის წელიწადში!

— ჰოროსკოპი ძალიან მაინტერესებს, ყოველთვის ვუსმენ **მიხეილ ცაგარელს,** რომელიც არაჩვეულებრივი მოსაუბრეა და საინტერესოდ ხსნის ზოდიაქოს ნიშნების ხასიათსა და თვისებებს. ჩემი ნიშანია **ვერძი** და დაბადებული ვარ **ხარის წელიწადში.** ახლა წარმოიდგინეთ, ერთ პიროვნებაში მოქცეული ძლიერი **ხარი** და ენერგიული **ვერძი,** რომელიც ყველაფრის მოთავეა და სულ პირველობა უნდა. ამას ემატება ჩემი მფარველი პლანეტის — **მარსის** ძლიერება (იცინის).

**— დაბადებული ხართ 9 აპრილს...**

— ასაკი არასოდეს დამიმალავს, დავიბადე 1961 წლის 9 აპრილს, 64 წლის ვხდები. ცნობილი ფრანგი მსახიობი **ჟან პოლ ბელმონდოც** 9 აპრილს იყო დაბადებული. ძველი თაობა ამბობდა, 14 აპრილამდე ჯერ კიდევ მარტის თვე გრძელდება, ცვალებადი ამინდები იცის და ამ პერიოდში დაბადებული ადამიანებიც ცვალებადი ხასიათისანი არიანო. ვეთანხმები, მართლაც ძალიან ცვალებადი ხასიათი მაქვს, შეიძლება, სულაც არ მაწყენინონ, მაგრამ გუნება-განწყობა უცებ შემეცვალოს. საერთოდ, ვცდილობ, არ გამოვიდე წონასწორობიდან, მაგრამ, თუ რაღაც არ მომეწონა, უცებ ვფეთქდები, მერე კი ვნერვიულობ, თავი რომ ვერ შევიკავე. ჭკვიანი კაცის ნათქვამია: როგორც გესმის, ისე იქცევიო — ხშირად ასე ხდება.

**— სულსწრაფი ხართ?**

— **ვერძები** სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებებს და ნაბიჯებს მაშინვე დგამენ. ახალგაზრდობაში ვიყავი ასეთი, საქმეს ვიწყებდი და სანამ ბოლომდე არ მივიყვანდი, არ ვეშვებოდი. ახლა ასე აღარაა, დავიწყებ რაღაცას და მერე, შეიძლება, აღარც გავაგრძელო. რაც ასაკში შევედი, მივხვდი, რომ სულსწრაფობა კარგ შედეგს არ მოიტანს, ყველაფერი უნდა აწონდაწონო და გააანალიზო, ასჯერ გაზომო და ერთხელ გაჭრა. ვცდილობ, არ ვიჩქარო, მშვიდად ვარ და ასეთი დამოკიდებულებით მოვლენებს უფრო სწორად ვხედავ და ვაფასებ.

**— ვერძი რომელ ნიშანს ვერ ეწყობა...**

— 30 წელია, ვმეგობრობ თხის რქის ნიშნით დაბადებულ ადამიანთან. წესით, ერთმანეთს ვერ უნდა ვეწყობოდეთ, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, ასე არ არის. სევდა თუ შემომაწვა ან დეპრესია, ჩემს მეგობარს გულს გადავუშლი ხოლმე. ისე მამხნევებს და მანუგეშებს, მისი იმედიანი სიტყვების ისე მჯერა, სიმშვიდე მეუფლება, აღარც მეშინია და ვიცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება. სიტყვას ძალიან დიდი ძალა აქვს.

**— თქვენი ძირითადი საზრუნავი?**

— ჩემი დისშვილი და დის შვილიშვილი, მათგან ვიღებ უდიდეს სიყვარულსა და სასიცოცხლო ენერგიას. მათთვის ვცხოვრობ, რომ ლაღი მომავალი ჰქონდეთ გაბრწყინებულ საქართველოში. ასევე მყავს ჩემი გაზრდილი ჰასკები. ერთმა მსახიობმა მითხრა — მარი, როგორც ამ ძაღლებს უვლი, მეც მომიარე და ყეფასაც დავიწყებო *(იცინის).* მსახიობებს დიდი შემოსავალი არა გვაქვს, ვალებით ვცხოვრობთ, მაგრამ, ვინც გვიყვარს, მათთვის არაფერს ვიშურებთ, ჩიტის რძეს არ ვაკლებთ.

**— 9 აპრილი განსაკუთრებული დღეა საქართველოს ისტორიაში...**

— 1989 წლის 9 აპრილს, როცა თბილისში ტრაგედია მოხდა, ზუგდიდში ვიყავი. არ მავიწყდება ის პერიოდი, ეს იყო ხალხის ერთ მუშტად შეკვრის მაგალითი. ახლანდელი 9 აპრილი და ის 9 აპრილი ერთია? ახლა ერთმანეთს უპირისპირდებიან პარტიული კუთვნილების გამო, სიძულვილი და ღვარძლი ილვრება, სიყვარული დეფიციტი გახდა. ჩვენს თეატრში სპექტაკლი — „სამშობლო" დავდგით, მხოლოდ პრემიერის თამაში მოვასწარით, მერე სიტუაცია აირია. ამ სპექტაკლში **ნოე ჟორდანიას** დედის როლს ვთამაშობ. გამოქვეყნდა ფოტოები სპექტაკლიდან, ჩემმა ყოფილმა თანამშრომელმა ფოტოს ქვეშ დამიწერა: **თქვენი სამშობლო რუსეთიაო.** გული ჩამწყდა, მაგრამ პასუხის ღირსად არ ჩავთვალე, ვიფიქრე, ღმერთი ხომ ყველაფერს ხედავს-მეთქი.



**„ასაკი არასოდეს დამიმალავს, დავიბადე 1961 წლის 9 აპრილს, 64 წლის ვხდები. ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟან პოლ ბელმონდოც 9 აპრილს იყო დაბადებული!"**

რადგან „ქართული ოცნების" მომხრე ვარ, გული რატომ უნდა მატკინო, მე ხომ არასოდეს მიმიყენებია ვინმესთვის შეურაცხყოფა. მახსოვს 90-ანი წლების სიმძიმე, **ზვიად გამსახურდიას** მომხრე ვიყავი, ის დღემდე ჩემს გულსა და სულშია დარჩენილი. მამაჩემი ზუგდიდის მილიციის უფროსი იყო, **ედუარდ შევარდნაძის** მეგობარი და, დედას გეფიცებით, პოლიტიკური შეხედულებების გამო, მამაჩემისთვის შეურაცხყოფა არასოდეს მიმიყენებია და არც მას დაუშლია ჩემთვის ზვიადის პატივისცემა, თუმცა, ესეც იყო, რომ იგივე პოლიტიკური სიტუაციის გამო დედამთილი რძალს არ ელაპარაკებოდა და და — ძმას.

**— ამ ყველაფერს საქართველოსთვის სიკეთე არ მოუტანია...**

— მახსოვს ზუგდიდში ჩამოსული **ჯაბა იოსელიანიც,** მისი ვერტმფრენი სტადიონზე დაჯდა, შემდეგ წალენჯიხაში მანქანით წავიდნენ. იქ დარჩენილმა მხედრიონელმა კი თავისივე „მხედრიონის" წევრი მოკლა, ზვიადისტი ეგონა. ეს მხედრიონელები ზუგდიდის თეატრში ცხოვრობდნენ და როიალზე საჭმელს ჭამდნენ. ყველაფერი საკუთარი თვალით მაქვს ნანახი და, ღმერთმა ნუ ქნას, იგივე განმეორდეს. ჩვენ ყველამ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, როგორ შეიძლება, მსახიობები ან სხვა პროფესიის ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ? **„ჩემი ცოლის დაქალების"** გადამღები ჯგუფიდან უმეტესობა ნაციონალების მომხრე იყო, მაგრამ, როცა გადაღებაზე მივდიოდი, ჩემს საქმეს ვაკეთებდი და არასოდეს ყოფილა, ერთმანეთისთვის გვეთქვა, რადგან სხვადასხვა პარტიებს ვუჭერთ მხარს, ფილმი აღარ გადავიღოთო. ამიტომაც ერთად უნდა იდგეს საქართველო და ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქვეყანაზე!

**— სერიალის გადაღებები საბოლოოდ შეჩერდა?**

— გადაღებები შეჩერდა. დღემდე მახსენებენ მეგრელების ეპიზოდებს, ბოლო ორი წელი სერიებში აღარ ჩანდნენ, ძალიან გვენატრებიანო.

**— დაბადების დღეს სად აღნიშნავთ?**

— 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ორი წელი დაბადების დღე არ გადამიხდია... შარშან ბათუმში ვიყავი ჩემი სიძის ძმასთან, გადაღებები მქონდა. ჩემს დაბადების დღეზე ჩამოსულები იყვნენ **ნუგზარ ერგემლიძე, ნუგზარ ქვაშალი, კახა ფირცხალაიშვილი, დათო კვირცხალია.** ვიქეიფეთ, ძალიან კარგი დრო გავატარეთ, ბედნიერი ვიყავი. ახლა კი დაბადების დღეს ჩემი თეატრის მსახიობებთან ერთად მოსწავლეთა სასახლეში აღვნიშნავ, რადგან ზუგდიდის თეატრის შენობაში უკვე 7 წელია, რემონტია და სპექტაკლებს ხან კომბინატში ვთამაშობთ, ხან — კულტურის სახლში, ხანაც — მოსწავლეთა სასახლეში. შემოქმედებითად არ ვჩერდებით, ახალ სპექტაკლს ვამზადებთ, პიესის სახელია „მარინა რევია" — მარინას მე ვთამაშობ, დედის როლია. თავს არ დავზოგავ, რომ დაუვიწყარი სახე შევქმნა.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**მამუკა გამყრელიძე**
*პოლიტიკოსი*



როგორც ვხედავ, „ქართული ოცნება" თანმიმდევრულად მიდის იქითკენ, რომ **ნაციონალური მოძრაობა, როგორც პარტია, საერთოდ მოსპოს. სალომე ზურაბიშვილის** მიმართ ჩემი დამოკიდებულება კარგად იცით, **ქალი არის ნული, ზერო!** არაფერს არ წარმოადგენს, უბრალოდ, აიღეს და **დადეს პრეზიდენტის სავარძელში.**

„ახალი თაობა"

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



კიდევ ერთხელ ვნახეთ თვითმარქვია **„მადამ ფრანცუჟენკას"** გაუგებარი ინიციატივები — **ჯერ ქარტიაო, ახლა წინააღმდეგობის ჯგუფიო** — მგონია, **ამათ „ეკაიფება".**

„პირველი არხი"

**ავთანდილ კუნჭულია**
*ფრაქცია „ქართული ოცნების" აპარატის უფროსი*



სისხლის სამართლის კოდექსში **აღდგა სამშობლოს ღალატის მუხლი,** რომ მომავალში ვერავინ შეძლოს და გაბედოს თავისი სამშობლოს, ხალხის და ქვეყნის ინტერესებს უღალატოს.

„იმედინიუსი"

**რობერტ ფიცო**
*სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი*



**ურსულა ფონ დერ ლაიენმა** სატელეფონო საუბრისას მითხრა, რომ **სრული იდიოტი ვარ.**

„REZONANSIDEILI"

**ლუიზა კობალაძე**
*მომღერალი, კომპოზიტორ ბუთხუზ ბასილაიას მეუღლე*



**ბუთხუზს კლდესავით ვიყავი შეფარებული,** არ მეგონა, სიბერეში მის გარეშე თუ დავრჩებოდი. **ქალისთვის მთავარი მეუღლეა,** ის კი გამორჩეული ადამიანი გახლდათ. **მის გვერდით ბედნიერი ქალი ვიყავი.**

„სარკე"

# ვერძის ზოდიაქოს ნიშანი –

***აპრილის ვერძები გამოირჩევიან ენერგიულობით, ლიდერული თვისებებითა და სიმამაცით. ისინი ვერ ითმენენ საქმის გაჭიანურებას და სწრაფად უყვართ გადაწყვეტილებების მიღება. ბუნებით ინიციატორები არიან, არ ეშინიათ საკუთარი აზრის გამოთქმის, ყოველთვის მზად არიან რისკისა და თავგადასავლებისათვის. ემოციურად ცეცხლოვანებს, სწრაფად შეუძლიათ გაბრაზება, თუმცა, ამავე დროს სწრაფადვე მშვიდდებიან. აპრილის ვერძებს ახასიათებთ შეუპოვრობა და სიმტკიცე, რაც ეხმარება მათ დასახული მიზნების მიღწევაში.***

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.



## მიმდინარე კვირა: 7 - 13 აპრილი

### ვერძის ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1952 წლის 7 აპრილს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **დარეჯან ხარშილაძე.**



**1956 წლის 7 აპრილს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **დავით მუჯირი.**



**1966 წლის 7 აპრილს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი მკლავჭიდში, ევროპის რვაგზის და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ერეკლე გურჩიანი.** 2010 წელს ის აირჩეულ იქნა მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტად.



**1955 წლის 8 აპრილს, თხის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის თასის ორგზისა და თასების მფლობელთა თასის მფლობელი (თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში), 1982 წლის ესპანეთისა და 1986 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე **ალექსანდრე ჩივაძე.**



**1966 წლის 8 აპრილს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ბიზნესმენი, ჯგუფ „ლოიალ კაპიტალ გრუპის" დამფუძნებელი, თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი **როman ფიფია.**

**1987 წლის 9 აპრილს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა სპორტსმენი (სამბო), ევროპის თასის გამარჯვებული, საქართველოს ჩემპიონატის სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი **ვახტანგ ზოიძე.**





**1974 წლის 10 აპრილს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მოკრივე, მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი კანდელაკი.**



**1984 წლის 10 აპრილს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, ესეისტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილი გენერალური დირექტორი, „ბიბლუსის" შემოქმედებითი დირექტორი **გიორგი კეკელიძე.**



**1991 წლის 11 აპრილს, თხის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი **ნინი ქარსელაძე.**



**1944 წლის 13 აპრილს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ჟურნალისტი, კომენტატორი და სპორტსმენი, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარე **ჰამლეტ ხუხაშვილი.**

### ვერძის ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1894 წლის 7 აპრილს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ფერმწერი-პორტრეტისტი, საქართველოს სახალხო მხატვარი **ქეთევან მაღალაშვილი.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1890 წლის 9 აპრილს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს სახალხო არტისტი, რეჟისორ **კოტე მარჯანიშვილის** მეუღლე **ელენე დონაური (ელენე ვაჩნაძე).** გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1902 წლის 9 აპრილს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერების დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ალექსანდრე ბარამიძე.** გარდაიცვალა 92 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1909 წლის 9 აპრილს, მამლის წელიწადში,** დაიბადა, ლიტერატურათმცოდნე **იოსებ მებრელიძე.** გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილის, მოსე გოგიბერიძის, ნიკო მარისა და სხვათა ნაშრომები. გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1928 წლის 10 აპრილს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ჟურნალისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე **მელორ სტურუა.** გარდაიცვალა 93 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1927 წლის 10 აპრილს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა პოეტი **გიორგი წერეთელი.** მისი ლექსების პირველი წიგნი „ეს ძველი და სხვა ახალი" გამოიცა 1961 წელს. გარდაიცვალა 70 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1929 წლის 10 აპრილს, გველის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი, საქართველოს სახალხო არტისტი **გიული ჩოხონელიძე.** გადაღებულია ოსკაროსან ფილმში „ომი და მშვიდობა" (1968 წელი). გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1904 წლის 11 აპრილს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა კინორეჟისორი. სტალინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **დავით რონდელი (ცაგარეიშვილი).** გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1928 წლის 12 აპრილს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, სსრკ სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი **ზურაბ ანჯაფარიძე.** გარდაიცვალა საკუთარ დაბადების დღეს, 12 აპრილს, 69 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1936 წლის 12 აპრილს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე **გიზო ჟორდანია.** გარდაიცვალა 88 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1929 წლის 12 აპრილს, გველის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი **მუხრან მაჭავარიანი.** გარდაიცვალა 81 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1912 წლის 12 აპრილს, გველის წელიწადში,** დაიბადა მოჭიდავე, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ცხრაგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში და შვიდგზის ჩემპიონი სამბოში **არსენ მეკოკიშვილი.** გარდაიცვალა 60 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1870 წლის 13 აპრილს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, პირველი ქართული საბჭოთა ფილმის „არსენა ჯორჯიაშვილის" რეჟისორი **ივანე პერესტიანი.**

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 7 აპრილი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.34 საათზე, ჩადის 18.33 საათზე. **მთვარე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 13.02 საათზე, ჩადის 03.16 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 13.45 საათზე). **ტენდენციები:** გონების, ინტელექტის, კომუნიკაციის მმართველი პლანეტა მერკური ხდება დირექტული (სწორადმავალი), რაც მეტად ხელს შეუწყობს და გააუმჯობესებს კომუნიკაციას, მოლაპარაკებებს, იდეათა რეალიზაციას, მგზავრობა-მოგზაურობას, ტექნიკური საშუალებების უკეთ მუშაობას, საჭირო ინფორმაციის მიღებას და სხვა სასიკეთო ცვლილებებს, თუმცა, ჯერ კიდევ მაღალია სატრანსპორტო საკითხების ალბათობა. დღეს კარგია ლოცვა, დააპურეთ ჩიტები, ცხოველები. სიკეთის უანგაროდ გაკეთების დღეა. შედეგიანია თვალების, ნერვული სისტემის, ვენების მკურნალობა. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ხელშეკრულების დადებას, ადგილსამყოფლის (ბინის) შეცვლას, მცენარეების დარგვა-გადარგვას, ნიშნობასა და ქორწინებას, ცხოველებით ვაჭრობას, ყურების გახვრეტას, სოლარიუმს, აბანოს, ნერვიულობას, ფიზიკურ გადაღლას, სიმძიმეების აწევას. გაუფრთხილდით გულს. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისათვის, ახალი სამსახურის ან თანამდებობის დასაკავებლად, მშენებლობისთვის, თმის შეჭრა-მოვლისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, სარდიონი, მთის ბროლი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

### 8 აპრილი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.32 საათზე, ჩადის 18.34 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში 17.47 საათზე. ამოდის 14.09 საათზე, ჩადის 03.42 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 15.08 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.09 საათიდან 17.41 საათამდე. **ტენდენციები: ქირონის** დაძაბული ასპექტი **პლანეტა მარსთან** გააღვივებს ადამიანებში **მარსის** აგრესიულობას და, ამავდროულად, **ქირონის** კომპრომისადმი მიდრეკილებას, გაამახვილებს ადამიანებში შურს, წყენას, კონფლიქტებს, ჭორებს, ინტრიგებს. იყავით ყურადღებით. დღეს ეცადეთ, თქვენი შემოქმედებითი იდეები განახორციელოთ. საქმიანობა უფრო წარმატებულ ელფერს შეიძენს. კარგად მოფიქრებული გეგმების მატერიალიზაციაა მოსალოდნელი. პარტნიორული ურთიერთობა აქტიურად და სწრაფად განვითარდება. შედეგიანია თვალების, ვენების, ნერვული სისტემის მკურნალობა. საკვებ რაციონში მეტად გამოიყენეთ ხილის და ბოსტნეულის წვენები. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ხელშეკრულების დადებას, ადგილსამყოფლის (ბინის) შეცვლას, მცენარეების დარგვა-გადარგვას, ნიშნობასა და ქორწინებას, ყურების გახვრეტას, ცხოველებით ვაჭრობას. სასიკეთო დღეა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ძვირფასეულობის, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ლატარიის ბილეთის შესაძენად. მოერიდეთ სოლარიუმს, აბანოს, ნერვიულობას, გადაღლას, სიმძიმეების აწევას. კარგი დღეა ახალი სამსახურის ან თანამდებობის დასაკავებლად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, საჩუქრებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გული, სისხლძარღვები, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

### 9 აპრილი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.31 საათზე, ჩადის 18.35 საათზე. **მთვარე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 15.13 საათზე, ჩადის 04.04 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 16.28 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ მეტად ფრთხილი და ყურადღებიანი უნდა იყოთ ნებისმიერ საქმიანობაში. აკონტროლეთ ემოციები, ნუ იკამათებთ, ნუ იწუწუნებთ, აკონტროლეთ გამახვილებული ამპარტავნობა. პარტნიორულ ურთიერთობებში მოერიდეთ მნიშვნელოვანი საკითხებისა და პირობების განხილვას. კარგია ლიმფური სისტემის, მხედველობის, ნერვული სისტემის მკურნალობა. მოერიდეთ მნიშვნელოვანი საკითხებისა და პირობების განხილვას, სიყვარულს და ქორწინებას, მეგობრულ კონტაქტებსა და ახალ ნაცნობობას, გამოცდების ჩაბარებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, ცხოველთა კასტრაციას, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში სარისკო მოქმედებებს. სასიკეთო დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, ვაჭრობისთვის, აუდიტისთვის, ქიმწმენდისთვის, დიეტის დასაწყებად, თმების შესაჭრელად, მანიკიურისა და პედიკიურისთვის, ხელშეკრულების დასადებად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, ცხოველებთან ურთიერთობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის.

### 10 აპრილი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.29 საათზე, ჩადის 18.36 საათზე. **მთვარე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 16.15 საათზე, ჩადის 04.24 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 17.45 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.50 საათიდან 01.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** აქტიურად ჩაერთეთ კოლექტიურ საქმიანობაში, რომელიც ნოვატორულ პროექტებს მოიცავს. კარგი დღეა თქვენი იდეის სხვათა დარწმუნებაში. შესაძლებელია, მიიღოთ საჭირო და ბრძნული რჩევები, ასევე ფარული ცოდნა. მაღალია მშობლებთან დაპირისპირებისა და ქალებთან კონფლიქტის ალბათობა. შედეგიანია ღვიძლის, ლიმფური სისტემის, თვალების, ტერფების მკურნალობა. საკვებ რაციონში შეიტანეთ მჭლე ხორცი, თევზეული, ბოსტნეული. რთული დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, მეგობრობისა და ახალი კონტაქტებისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად, წყლის ტრანსპორტით მგზავრობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველთა კასტრაციისთვის, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად, სარისკო მოქმედებისთვის. მაღალია ინტერესების, მაქინაციების, მოტყუების ალბათობა. სასიკეთო დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, ვაჭრობისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ქიმწმენდისთვის, დიეტის დასაწყებად, თმების შესაჭრელად, ხელშეკრულების დასადებად, გასაუბრებისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ოპალი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპებისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

# 21 მარტი – 20 აპრილი

გარდაიცვალა 89 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1887 წლის 13 აპრილს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ენათმეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი, აკადემიკოსი **გიორგი ახვლედიანი.** გარდაიცვალა 86 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.

## ვერძის ნიშნით დაიბადნენ:



**1939 წლის 7 აპრილს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა იტალიური წარმოშობის ამერიკელი რეჟისორი, პროდიუსერი და სცენარისტი **ფრენსის ფორდ კოპოლა.** მისი ყველაზე ცნობილი ფილმია „ნათლია“ და „აპოკალიფსი ახლა“.



**1964 წლის 7 აპრილს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ავსტრალიელი მსახიობი, „ოსკარის“ სამგზის ნომინანტი და 2000 წლის „ოსკარის“ პრემიის ლაურეატი **რასელ კროუ.**

**1963 წლის 8 აპრილს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ბრიტანელი მომღერალი და სიმღერების ავტორი **ჯონ ლენონის** პირველი შვილი **ჯულიან ლენონი.**





**1990 წლის 9 აპრილს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მოდელი და მსახიობი, საფრანგეთის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს — სეზარის მფლობელი პირველი ამერიკელი მსახიობი **კრისტენ სტიუარტი.** 2010 და 2012 წლებში ის ითვლებოდა მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობად.



**1952 წლის 10 აპრილს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, პროდიუსერი, მუსიკოსი და მწერალი **სტივენ სიგალი.**



**1956 წლის 12 აპრილს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი და პროდიუსერი **ენდი გარსია.** ამერიკულ მხატვრულ ფილმში „აგვისტოს 5 დღე“ ითამაშა საქართველოს პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** როლი.



**1979 წლის 12 აპრილს,** თხის წელიწადში, დაიბადა ამერიკელი მსახიობი და პროდიუსერი, ამერიკული სათავგადასავლო სერიალების გმირი **ჯენიფერ მორისონი.**



**1963 წლის 13 აპრილს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა საბჭოთა და რუსი მოჭადრაკე, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი ჭადრაკში, საერთაშორისო დიდოსტატი, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი **გარი კასპაროვი,** რომელსაც თერთმეტჯერ მიენიჭა საჭადრაკო ოსკარი.



**1948 წლის 13 აპრილს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, მუსიკალური პროდიუსერი, რუსული შანსონის შემსრულებელი **მიხეილ შუფუტინსკი.**

## ვერძის ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1902 წლის 7 აპრილს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა სომეხი მოქანდაკე, სომხეთში მონუმენტური ქანდაკებისა და ერევნის მხატვართა კავშირის დამფუძნებელი, ერევნის პირველი სახვითი ხელოვნების ინსტიტუტის ფუძემდებელი, სსრკ სახვითი ხელოვნების აკადემიის აკადემიკოსი **არა სარქისიანი.** გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1892 წლის 8 აპრილს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ოსკარის მფლობელი კანადელ-ამერიკელი კინოვარსკვლავი, „კინემატოგრაფიული ხელოვნებისა და მეცნიერებების აკადემიის“ ერთ-ერთი დამაარსებელი ამერიკაში **მერი პიკფორდი.** გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1938 წლის 8 აპრილს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა გაეროს რიგით მეშვიდე გენერალური მდივანი 1997-2006 წლებში, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი **კოფი ანანი.** გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1941 წლის 8 აპრილს, გველის წელიწადში,** დაიბადა მსოფლიოში ცნობილი ინგლისელი დიზაინერი, თანამედროვე პანკისა და მოდის ახალი ხაზის ფუძემდებელი **ვივიენ ვესტვუდი.** გარდაიცვალა 81 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1821 წლის 9 აპრილს, გველის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი პოეტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი **შარლ ბოდლერი.** გარდაიცვალა 46 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1830 წლის 9 აპრილს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი ფოტოგრაფი **ედვარდ მეიბრიჯი,** რომელმაც ფოტოგრაფიის ისტორიაში პირველად დაიწყო რამდენიმე კამერის ერთდროულად გამოყენება. გარდაიცვალა 74 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1933 წლის 9 აპრილს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მსახიობი, საფრანგეთის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს — სეზარის გამარჯვებული **ჟან პოლ ბელმონდო** (მამაკაცის მთავარი როლის შესრულებისთვის ფილმში „ბედით განებივრებული“). გარდაიცვალა 88 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1932 წლის 10 აპრილს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ამერიკაში მოღვაწე ეგვიპტელი მსახიობი **ომარ შარიფი.** მიღებული აქვს ოსკარის ერთი ნომინაცია და ოქროს გლობუსის ორი ჯილდო. გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1937 წლის 10 აპრილს, ხარის წელიწადში,** დაიბადა რუსი პოეტი **ბელა ახმადულინა.** გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1933 წლის 12 აპრილს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ესპანელი სოპრანო, როსინის, ბელინისა და დონიცეტის კლასიკურ ოპერებში წამყვანი პარტიების შემსრულებელი **მონსერატ კაბალიე.** გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1743 წლის 13 აპრილს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მე-3 პრეზიდენტი, ამერიკის „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ავტორი, იურისტი და პოლიტიკოსი **თომას ჯეფერსონი.** გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1906 წლის 13 აპრილს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ირლანდიელი მწერალი, პოეტი და დრამატურგი **სამუელ ბეკეტი.** წერდა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, გველის წელიწადში.




## 11 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.27 საათზე, ჩადის 18.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 17.16 საათზე, ჩადის 04.42 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 19.00 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 05.13 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებების შესატანად. დღეს და ხვალ ნუ აჰყვებით სიზარმაცეს და სხვა ცდუნებებს. მიაქციეთ ყურადღება სამყაროს მინიშნებებს. დროს და ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ წვრილმანებზე. კარგია ტანსაცმლის განახლება, აქსესუარების, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემების შეძენა-დაყენება. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს სტაბილურობა, დიპლომატიურობა, პრობლემები მშვიდად გადაწყვიტეთ. შედეგიანია კბილების, ენდოკრინული სისტემის, სწორი ნაწლავის მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება. ნუ მიიღებთ ბევრ სითხეს, შეზღუდეთ ცხარე, მარილიანი საკვები. მოერიდეთ მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, ცხოველთა კასტრაციას, მჭრელ საგნებთან ურთიერთობებს, თაფლის, ნივრისა და სხვა ალერგიის გამომწვევი პროდუქტების გამოყენებას. პოზიტიური დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ხელოვნების ნიმუშების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, თოფაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 12 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 18.38 საათზე. **მთვარე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 18.17 საათზე, ჩადის 05.00 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 20.17 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ნუ ეცდებით ნებისმიერი ხერხით თქვენს მართებულობაში სხვათა დარწმუნებას, რომც იყოთ მართალი, ეს ურთიერთდაპირისპირებას გამოიწვევს. ეცადეთ, თქვენი გასაკეთებელი საქმე სხვას არ გადააბაროთ. ხვალინდელი სავსემთვარეობის წინ გამახვილდებიან მოშურნენი, ფარული მტრები. კარგი დღეა შოპინგისთვის, მათ შორის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, აქსესუარების, ხელოვნების ნიმუშების, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად, ფანჯრების შესაცვლელად, დიზაინისა და არქიტექტურისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, კბილების მკურნალობისთვის.

პარტნიორულ ურთიერთობებში შესაძლებელია დამაბნეველი სიტუაციების წარმოქმნა, საკითხები მშვიდობიანად, დიპლომატიურად და კომპრომისებით მოაგვარეთ. საკვებ რაციონში გამოიყენეთ ბოსტნეული, თევზეული, არ ვარგა ხორცის, ნიგვზის, თაფლის და სხვა ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. მოერიდეთ მარილიან საკვებს, ბევრი სითხის მიღებას, მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, მჭრელ საგნებთან ურთიერთობას. კარგი დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 13 აპრილი , კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.24 საათზე, ჩადის 18.40 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ღრიანკალის ზოდიაქოში 17.52 საათზე. ამოდის 19.19 საათზე, ჩადის 05.19 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 21.35 საათზე. **სავსემთვარეობა** 04.24 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.02 საათიდან 17.55 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: დღეს სავსემთვარეობაა — მძიმე კოსმოსური ენერგიების დღეა. მზის და მთვარის** ენერგიათა დაპირისპირება **ვერძი-სასწორის** ზოდიაქურ ღერძზე მეტად განაპირობებს კონფლიქტებს, გაღიზიანებებს, აგრესიას, დეპრესიას, ტრავმულ-ავარიულ ტენდენციებს, ცდუნებებს, შეცდომებს, სხვათა ზეგავლენის ქვეშ მოქცევას, ჯანმრთელობის გაუარესებას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს — იყავით ყურადღებით, რთულ სიტუაციებში შეიძლება დაეყრდნოთ წინაპართა ავტორიტეტს. დაიცავით სიმშვიდე, კარგად გამოიძინეთ, თავი აარიდეთ უსიამოვნო საუბარს. საქმეები გადადეთ შეძლებისდაგვარად. ილოცეთ და დალოცეთ ყველა. არ ვარგა ყიდვა-გაყიდვა, ფულის სესხება-გასესხება, ალკოჰოლური სასმელების, ხორცეული ნაწარმის, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. მოერიდეთ ცეცხლთან, მჭრელ საგნებთან ურთიერთობას, მარილიან საკვებს, ბევრი სითხის მიღებას, ცეცხლსასროლ იარაღთან და ასაფეთქებელ ნივთიერებებთან ურთიერთობას. ყურადღება არ მოადუნოთ საჭესთან. კარგი დღეა შემოქმედებითი მუშაობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, საიუბილეო საღამოებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, გიშერი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

**ფირმა „იადიგარ დაუდის“ (დავით ბაგრატიონი) დირექტორი-მკურნალი-პარაფსიქოლოგი მკურნალობს 50-წლიანი გამოცდილებით და განკურნების სრული გარანტიით**

**1. ფუტკრის პროდუქტებით** — კუჭ-ნაწლავის წყლულებს და ეროზიებს, შებერილობას, ფაღარათს, ბუასილს, ქოლეცისტიტს, ჰაიმორიტს, პირიდან სუნს, პირის ღრუს, ენურეზს, ცისტიტს, პიელონეფრიტს (შარდში ცილები, ლეიკოციტები). მოზარდებში პენისის განუვითარებლობას, წვრილ ჭიას, კანისა და ფრჩხილების სოკოს, საერთო სისუსტეს, ბრონქიტს, ელენთას, კლიმაქსს.

**2. მამაკაცებში** — პროსტატიტს, სქესობრივ სისუსტეს, სპერმის ნაადრევ და უნებლიე გამოყოფას, სპერმის უხარისხობას, პენისის ანთებას, კონტაქტის შიშს.

**3. ფოტოსურათით** — ალკოჰოლიზმს, აზარტულ თამაშებს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, შებოჭილობას, გაუმართლებლობას.

თბილისი, წერეთლის 57.

მიღება წინასწარ ჩაწერით სატელეფონო კონსულტაციის შემდეგ.

599-49-84-23

ცირანანა

| ქალაქი საფრანგეთში | რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი | მთრიმლავი ნივთიერება | ძეგლი სვეტის სახით | ნორვეგიელი კომპოზიტორი | თანამდებობის პირი აშშ-ში | ლომის „ვარცხნილობა“ |
|---|---|---|---|---|---|---|

| უუფლებო ადამიანი | ამხანაგი სამსახურის მიხედვით | ქიმიური ელემენტი | ... კიდმანი | გარეული ვირი, გავრცელებულია ირანში | ქვანახშირის სახეობა | ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია | ძველი საომარი იარაღი |
|---|---|---|---|---|---|---|---|




თარაზულად: 1. ალექსანდრე მაკედონელის პირადი მცველი; 7. თევზის სახეობა; 11. თევზის კვერცხების ერთობლიობა; 12. გარეული ცხოველი; 13. პარალელურად გავლებული წარმოსახვითი ხაზი დედამიწის ზედაპირზე; 14. დადუღებული ყურძნის ნაწური; 15. გამოჩენილი დიდი პოეტი (ზოგად); 16. წვრილმარცვლოვანი ყავა; 17. სასიცოცხლო პროცესის დროებითი შენელება ზოგ ორგანიზმში; 21. მწერალი ... გელაშვილი („დედის ოთახი“); 22. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 25. სარტყამი მუსიკალური საკრავი; 26. აგულის მამა (ფილმი); 30. პლანეტა ურანოსის თანამგზავრი; 31. ბეწვის ან ხავერდის ქალის მხრებზე წამოსასხამი; 35. ოჯახში მოსული საგანგებოდ დაპატიჟებული პირი; 36. თვითმფრინავის მართვის სპეციალისტი; 39. წიწილების ხელოვნურად გამოსაჩეკი აპარატი; 40. დეკორატიული ელემენტების ერთობლიობა; 41. რეზად ნური გუნთექანის რომანი; 42. აპელაციის შემტანი; 46. ბულგარეთის დედაქალაქი; 49. მდინარე აშშ-ში; 53. ზამთრის თვე; 55. ნათესების მავნებელი მწერი; 58. თეოდორ დოსტოევსკის რომანი; 59. ფრანგი კარდინალი; 60. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი; 61. სპორტული სათევზაო ხელსაწყო; 62. ვალის წინდი; 63. მათემატიკური მუდმივა (3,14); 64. ა. მორავიას რომანი.

შვეულად: 1. მძიმე ქრონიკული დაავადება, კეთრი; 2. ოქრომკედი; 3. სიტყვის ნაწილი, ნიშნავს მრავალფეროვნებას; 4. მკურნალი მედიცინის მუშაკი; 5. პატრიარქის სათათბირო ორგანო; 6. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე; 7. დაბალი ხმით მღერა; 8. კლავიშებიანი საკრავების გერმანული ფირმა; 9. რბილი დივანი; 10. შუამავალი ვაჭრობაში; 18. უდაბნო პერუში; 19. ნიშნობის ბეჭედი; 20. ფულის ერთეული პოლონეთში; 22. მცენარესთან დაკავშირებული რთული სიტყვის ნაწილი; 23. სითხის საზომი ერთეული; 24. უძველესი სახელმწიფო მცირე აზიაში; 26. ბურთის გადაცემა თანაგუნდელისათვის; 27. აზელილი კარტოფილი; 28. კლდის თხა, ქურციკი; 29. მიმიკის მოშლა; 31. წამყვანი ბალერინა; 32. ბელინის ოპერა; 33. ეგვიპტის ისტორიული ოლქი; 34. „გასანათებელი“ გაზი; 36. ამერიკელი მომღერალი ქალი; 37. საკონტროლო გამშვები პუნქტი საქართველო-რუსეთის საზღვარზე; 38. ვულკანური კუნძული წყნარ ოკეანეში; 40. თეატრალური კოლექტივი; 43. კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 44. ქალაქი ლატვიაში; 45. პატარა ჭრელი მგალობელი ჩიტი; 47. თევზის ძვალი; 48. განთქმული მფრინავი; 49. მესამე ნოტი; 50. დახურული მსუბუქი ავტომობილის ტიპი; 51. მსახიობი შერონ ...; 52. ჭადრაკის ფიგურა; 54. გზა, რომელსაც გადის ტრანსპორტი; 55. გემის კორპუსის და ყველა მექანიზმის დაზღვევა; 56. ხვიარა მცენარე; 57. ფილმი რაჯ კაპურის მონაწილეობით.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 27-ე გვერდზე*

| ქიმიური ელემენტი – გაზი | საპარფიუმერო სითხე | ორგანული ნაერთი, იყენებენ გამხსნელად | აკრძალვა | მუცლის გამოფატვრის იაპონური მეთოდი | ძაღლის ნაშიერი | უკრაინის პარლამენტი |
|---|---|---|---|---|---|---|

| იაზონის ხომალდი | მდინარე აფრიკაში | აქატის ნაირსახეობა | ნაბოკოვის რომანი | ქალაქი უზბეკეთში | კირილიცას ავტორი | 7-დღიანი მონაკვეთი | დედ-მამიშვილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ-დასავალი
2025 წლის 7 – 13 აპრილი №15 (1586)
გამოდის ორშაბათობით
2 009882 637296

მეწარმე-იურიდიული პირი... მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი
*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

